

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია
КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ

საქართველოს ისტორიის წყაროები

38



**ИНОСТРАННЫЕ ИСТОЧНИКИ ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ
XVII**

СВЕДЕНИЯ ДЕ ГРАИ ДЕ ФУА О ГРУЗИИ

*перевод с французского, предисловие, комментарии
и указатели Д. Э. Одишели*

საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები

XVII

.

დე ბრაი დე ფუას ცნობები საქართველოს
შესახებ

ფრანგულიდან თარგმნა,
შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო
ჯ უ მ ბ ე რ ო დ ი შ ე ლ მ ა

რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წწ. ომის პერიოდში საქართველოში გამოვჩაენილი რუსული კორპუსის სარდლის, გენერალ ტოტლებენის ყოფილი ადიუტანტის შარლ დე გრაი დე ფუას რელაციაში საომარ სიტუაციასთან შესაბამისად წარმოსახულია თვითმხილველის საკმაოდ დაკვირვებული თვლით დანახული იმდროინდელი საქართველოს სურათი; გადმოცემულია საკმაოდ საინტერესო ცნობები ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის თვალსაზრისით; შენიშნულია ქართველების, ზოგიერთი სხვა კავკასიელი ხალხის ყოფის ეთნოგრაფიულად შეტად საინტერესო დეტალები.

რელაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს იმის დასტურად, რომ საქართველოს მეფე-მთავრები და, უპირველეს ყოვლისა, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II, მიუხედავად პოლიტიკური კონიუნქტურის მკვეთრი მერყეობისა, მტკიცედ ადგანან მათ მიერ შერჩეული რუსული ორიენტაციის გზას.

რელაცია დატულია საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში.

В реляции Шарля де Граи де Фуа, бывшего адъютанта генерала Тотлебена, командующего, посланного в Грузию во время русско-турецкой войны 1768—1774 гг. экспедиционного корпуса, в соответствии со сложившейся военной ситуацией, обрисована картина тогдашней грузинской действительности, увиденная весьма наблюдательными глазами очевидца; изложены очень интересные сведения с точки зрения социально-политической и экономической истории страны; отмечены интересные детали, ценные для изучения особенностей этнографического быта грузин и некоторых других кавказских народов.

Реляция является значительным документом в доказательство того, что цари и правители разных частей разрозненной Грузии и в первую очередь царь Картли-Кახетского царства Ираклий II, несмотря на резкое колебание политической конъюнктуры, твердо стояли на избранном пути русской ориентации.

Реляция хранится в архиве МИД Франции.

მთავარი სარედაქციო კოლეგია

შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), მ. აბაშიძე, ზ. ალექსიძე-
ვ. გაბაშვილი, რ. კიკნაძე, (მთავარი რედაქტორის მოადგილე), გ. მე-
ლიქიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ვ. ძიძიგური, ე. ხოშტარია,
გ. ჭიბლაძე.

სერის რედაქტორი თ. უაშხანიშვილი
ტომის რედაქტორი შ. ძიძიგური.

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Ш. В. Дзидзигури (главный редактор), М. Д. Абашидзе,
З. Н. Алексидзе, В. Н. Габашвили, Г. Н. Джибладзе, В. И.
Дзидзигури, Т. С. Каухчишвили, Р. К. Кикнадзе (зам. гла-
вного редактора), Г. А. Меликишвили, Э. В. Хоштария.

Редактор серии Т. С. КАУХЧИШВИЛИ:
Редактор тома Ш. В. ДЗИДЗИГУРИ.

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის
გამოცემები

1. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან, სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ, თბ., 1976.
2. აბრამ ერევანცი. ომების ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1976.
3. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუფურიძემ, თბ., 1977.
4. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978.
5. გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977.
6. ზ. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978.
7. ტბეთის სულთა მატინანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977.
8. სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV—XV სს.). ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1978.
9. „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ, თბ., 1978.
10. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1978.
11. Яков Цуртавели, Мученичество Шушаник. Перевод В. Д. Дондуа, введение и примечания З. Н. Алексидзе, Тбилиси, 1978.

12. Памятник эриставов. Перевод, исследование и примечания С. С. Какабадзе, Тбилиси, 1979.
13. Сумбат да витის-ძე. История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе, Тбилиси, 1979.
14. მუსტაფა ნაიმა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 1979.
15. ზაქარია აგულეცი, დღიური, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1979.
16. ჩილდირის ვილეთის ჯაბა დავთარი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ, თბ., 1979.
17. არსენი საფარელი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ, თბ., 1980.
18. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, ძველი ბერძულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1980.
19. ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, I), აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.
20. ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, II), დასავლეთ საქართველოს წარწერები (IX—XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980.
21. ცხოვრება საქართველოსა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980.
22. Законы Вахтанга VI. Перевод, введение, примечания, глосарий и указатели Д. Л. Пурцеладзе, Тбилиси, 1980.
23. კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა, თბ., 1981.
24. ისქანდერ მუნი, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა, თბ., 1981.
25. პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი

- დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.
26. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალისვილმა, თბ., 1981.
 27. გ. ოთხმეზური, XII—XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981.
 28. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, V, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1983.
 29. Летопись Картли. Перевод, введение и примечания !Г. В. Цулая, Тбилиси, 1982.
 30. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ ე. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.
 31. გეორგიევსკის ტრაქტატი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ, თბ., 1983.
 32. ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილიებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 1982.
 33. თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა, თბ., 1983.
 34. Источниковедческие разыскания, 1979, Тбилиси, 1984.
 35. ზ. სხირტლაძე, საბერეების ფრესკული წარწერები, თბ., 1985.
 36. „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი, შემდგენლები: მ. კვაჭაძე, ნ. ნატრაძე, ზ. სარჯველაძე, მ. ჩხენკელი, თ. ხაყონია, წარმოებაშია.
 37. მოვსეს კალანკატვაცი, ალვანეთის ისტორია, სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ლ. დავლიანიძემ, წარმოებაშია.
 38. დეგრაი დე ფუა საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბ., 1985.
 39. Жизнь Царицы Цариц Тамар. Перегод и введение В. Д. Дондуа, исследование и примечания М. М. Бердзнишвили, Тбилиси, 1985.
 40. Источниковедческие разыскания, 1982, Тбилиси, 1985.

შინაარსი

შესავალი . . .	10
რელაციის ქართული ტექსტი	35
ფრანგული ტექსტი .	60
შენიშვნები	79
Peziome	100
საძიებლები	103

შესავალი

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს ფრანგულ ტექსტს, ქართული თარგმანითა და კომენტარებით 1768—1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში საქართველოში გამოგზავნილი რუსული სამხედრო კორპუსის სარდლის გენერალ ტოტლენის ყოფილი ადიუტანტის კაპიტან კარლო დე გრაი დე ფუას მემუარული ხასიათის რელაციისა. იმჟამად დე გრაი ფელდმარშალ გრაფ კირილე რაზუმოვსკის მთავარი კვარტირმეისტერია და რელაციაც სწორედ ამ უკახასკნელისათვის არის დაწერილი.

რელაციაში, თვითმხილველის საკმაოდ დაკვირვებული თვალით, სამხედრო სიტუაციებთან კავშირში, აღწერილია საქართველოს სინამდვილე. დაცულია საინტერესო ცნობები საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური და სოციალური ისტორიის თვალსაზრისით; შენიშნულია ქართველების, ზოგიერთი სხვა კავკასიელი ხალხის ყოფის ეთნოგრაფიულად საინტერესო დეტალები.

რელაცია მნიშვნელოვანი დოკუმენტია იმის საილუსტრაციოდ, რომ, მიუხედავად პოლიტიკური კონიუნქტურის ცვალებადობისა, მეფე ერეკლე II მტკიცედ იდგა ჩრდილოეთისაკენ, ერთმორწმუნე რუსეთისაკენ აღებულ პოლიტიკურ ორიენტაციაზე.

კარლო დე გრაის რელაცია საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში, კე დორსეზე, გამოავლინა ცნობილმა ინგლისელმა ქართველოლოგმა პროფესორმა დ. ლანგმა (ასე წარმოსთქვამს იგი თავის გვარს პირადად). მასვე ეკუთვნის რელაციის პირველი პუბლიკაცია შესავალი წერილით და კომენტარებით (ინგლისურად)¹.

რელაციის ქართული თარგმანი ახალციხის გაზეთ „წითელ დროშაში“ დაბეჭდა. კ. გურუღმა². ფრანგული ტექსტი შესულია „საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხავ წიგნში“³.

¹ იხ. Bulletin of the school of Oriental and African Studies University of London, 1954, t. XIII/4, D. M. Lang, Count Todleben's Expedition to Georgia 1769—1771 according to a French eyewitness.

² იხ. ახალციხის გაზეთ „წითელი დროშა“, 1964 წ., №№ 108, 114, 117, 118, 121, 123.

³ Livre de lecture sur l'Histoire de la Géorgie du Proche—Orient. 1963, „სოლენა.“ შეადგინეს ც. ლობროვლსკიამ და ლ. მოწონელიძემ.

რუსეთ-თურქეთის საგარეო-პოლიტიკური ინტერესების შეჯახება-თა ისტორიის გადმოცემა შორს წაგვიყვანს. საინტერესოა, რომ უშუალოდ რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წწ. ომის წინამავალ პერიოდში 60-იან წლებში რუსული დიპლომატიის თაოსანმა ნიკიტა პანინმა პრევენტული ღონისძიებანი მიიღო. 1764 წელს გაფორმებულ რუსეთ-პრუსიის სამხედრო კავშირის ხელშეკრულების ერთ-ერთი საიდუმლო მუხლი ითვალისწინებდა, რომ პრუსია ყოველწლიურად 400000 მანეთს მისცემდა რუსეთს თურქეთთან ომის შემთხვევაში.

თურქეთი განსაკუთრებით მწვავედ უპირისპირდებოდა რუსეთს პოლონეთის საკითხში (ქალაქ ბარის კონფედერატებს ემხრობოდა).

1768 წლის 25 სექტემბერს რუსეთის ელჩს კონსტანტინოპოლში ობრეზკოვს ჯერ ულტიმატუმი წაუყენეს — მოსთხოვეს რუსული სამხედრო ნაწილების გაყვანა პოლონეთიდან, შემდეგ დააპატიმრეს ისე, რომ პასუხს არც დალოდებინა.

თურქეთმა 1768 წლის სექტემბერში რუსეთს ომი გამოუცხადა, მაგრამ იმდენად არ იყო მზად, რომ სამხედრო ოპერაციები მხოლოდ მომდევნო წელს დაიწყო.

აღნიშნულ ვითარებაში რუსეთისათვის მეტად აქტუალური გახდა ყველა ანტითურქული ძალის კონსოლიდაცია. ამიერკავკასიასთან ურთიერთობის თვალსაზრისით ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა საქართველოს გამოყენებას თურქეთის წინააღმდეგ ომში. გაიხსენეს და საგარეო საქმეთა კოლეგიის არქივებიდან გამოამზეურეს ყველაფერი, რაც მიმდებარე პერიოდში საქართველოს რუსეთთან ურთიერთობას ეხებოდა. მაგალითად, გაიხსენეს, რომ თურქეთის ვასალი იმერთა მეფე სოლომონ I 1766 წელს მისთვის შექმნილ მძიმე ვითარებაში, როდესაც თურქთა მხარდაჭერით თეიმურაზმა მას ტახტი წაართვა, რუსეთის ქვეშევრდომობას თხოულობდა. თავისი დესპანის, არქიების-კოპოს გრიგოლის მეშვეობით იგი ითხოვდა, რომ თუ ვერ გაუმკლავდებოდა თურქებს, რომელნიც მას განსაკუთრებით „ტყვის-სყიდვის“ აკრძალვის გამო გადაემტერნენ, მისი ახლობელი პირების ამალით მიეღოთ რუსეთში დასასახლებლად⁴.

რუსეთის რეზიდენტი კონსტანტინოპოლში ობრეზკოვი საგარეო საქმეთა კოლეგიას აცნობებდა, რომ თურქეთმა, მიუხედავად ძალთა უპირატესობისა, მაინცდამაინც ვერაფერ წარმატებას მიაღწია იმერთთან ბრძოლაში და ბოლოს ერეკლე მეფის შუამდგომლობით დაუზავდა სოლომონს, რომელმაც აღიარა თურქეთის პროტექტორატი. ობრეზკოვი აღნიშნავდა, რომ თურქები შემფოთებული არიან რუსე-

⁴ Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, том I, под редакцией А. А. Цагарели, С.—Петербург, 1891, с. 1; ვ. შაქარაძე, ასპინძის ბრძოლა, თბილისი, 1957, გვ. 28—29.

თის იმპერიის მხრივ საქართველოს საქმეებში ჩარევის მოსალოდნელი შესაძლებლობით⁵.

იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიაში მთელი საქმე შედგა — „განსჯა საშუალებებისა, რომელთა მეშვეობით შეიძლება ქართველთა დაყოლიება, მონაწილეობა მიიღონ ოტომანის პორტასთან მიმდინარე ომში“⁶.

იოკევეა, რომ თავდაპირველად განზრახული იყო ომში მხოლოდ იმერეთის მონაწილეობის უზრუნველყოფა. ერეკლეს, რომელზედაც გავლენა უნდა მოეხდინათ ერთმორწმუნეობის მომენტის ხაზგასმით, ხელი არ უნდა შეეშალა სოლომონისათვის, მონაწილეობა მიეღო ომში⁷.

მხოლოდ შემდგომში დაისვა საკითხი ქართლ-კახეთის სამეფოს ომში ჩაბმის შესახებ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ეკატერინე II-ის 1768 წლის 28 ნოემბრის ხუთი კითხვა საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი და კოლეგიის შესაბამისი პასუხები⁸. მხოლოდ ამ პერიოდში დაინტერესდა ეკატერინე თეიმურაზ II-ის ელჩობის მიზნებით. მისი დავალებით კოლეგიამ გამოიკვლია საქართველოს გეოგრაფიული რუკების ვითარება, დაინტერესდა ერეკლეს რელიგიური მრწამსით.

ნიშანდობლივია, რომ 1768 წლის 4 ოქტომბერს, ოსმალთაგან დაფარულად, საიდუმლო მისიით ყიზლარში ჩასულ სოლომონ მეფის ელჩს მიტროპოლიტ მაქსიმე ქუთათელს მაინცდამაინც დიდი სიხარულით და ხელგაშლილობით არ შეხვედრიან. მასთან ურთიერთობაში ყიზლარის კომენდანტი პოტაპოვი 1767 წლის 30 აპრილის კოლეგიის ძველი მოწერილობით სარგებლობდა⁹. მაქსიმე ქუთათელს კი სოლომონ მეფის საიდუმლო წერილები ჰქონდა ნიკიტა პანინისა და ეკატერინე II-სადმი. 1768 წლის 23 ივნისით დათარიღებულ წერილში სოლომონ მეფე რუსეთის იმპერატორს წერდა: „საწადელ არს ჩემდა, ძლიერ ხელმწიფეო, რათა მონა შენი, მეფე იმერეთისა სოლომონ, შემართო მონათა შენთა, რამეთუ მრავლით ყამითგან მსურს, რათამცა სისხლი ჩემი დაითხიოს ქრისტეს მოცემულისა სჯულისათვის, და, თუმცა ყოველად მოწყალე ხელმწიფე ინებებს და დავადებს ძლიერსა ხელსა თვისსა, — მეც ამ აღთქმას მოვახსენებ, ქრისტეს შეწევნითა, რომ აღმოსავლეთის სარწმუნოებისა და სჯულისათვის ყოველად მოწყალის ხელმწიფეს სამსახურზე უტეხო თესლთა, ოსმალთ შევაკვდე და ვიდრე სისხლის დათხევამდე ხელმწიფის სამსახურზე ვიღვაწო. ათორმეტ

⁵ Грамоты, I, гл. 2.

⁶ Грамоты, I, гл. 1—9.

⁷ Грамоты, I, гл. 6—7.

⁸ Грамоты, I, гл. 9—10.

⁹ Грамоты, I, гл. 17—19.

წელიწადი არის, რომ ხვანთქრის ჯარსა და ჩვენ ძლიერი ბრძოლა გვაქვს¹⁰.

1768 წლის 12 ნოემბერს რუსეთის საიმპერიო სახელმწიფო საბჭომ დაადგინა, მოწოდებით მიემართათ ბალკანეთის და საქართველოს ქრისტიანი ხალხებისათვის თურქებთან სარწმუნოებისათვის წარმოებულ ომში მათი მოწინააღმდეგეობის უზრუნველსაყოფად¹¹.

მკვეთრად შეიცვალა დამოკიდებულება იმერთა მეფის ელჩისადმი. 1768 წლის 30 ნოემბერს ყიზლარის კომენდანტმა უმაღლესი განკარგულება მიიღო, სადაც აღნიშნული იყო: „ოტომანის პორტასთან მიმდინარე ომის გამო, ჩამოსვლა ამ მიტროპოლიტისა მეტად ხელსაყრელია და დროული. დაგვრჩენია მხოლოდ, ვისარგებლოთ მისი მბრძანებლის დამოკიდებულებით თურქების მიმართ, რაც აქაურ ჩვენს თვალსაზრისს ემთხვევაო“¹².

მაქსიმე ქუთათელის მიერ მოწოდებული ცნობების საფუძველზე საგარეო საქმეთა კოლეგიამ იმერეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების აღწერა შეადგინა. იმერეთში ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსასვლელი გზის შესწავლის თვალსაზრისით დაინტერესდნენ არაგვის და ქსნის საერისთავოებით. იმერეთის ვითარების საკმაოდ საფუძვლიანი ცოდნა გამოსკვივის საქართველოში რუსეთის საქმეთა მუდმივ რწმუნებულად გამოგზავნილ ანტონ მოურავოვისთვის მიცემულ 1769 წლის 28 მაისის ინსტრუქციაში. ამასთან დეტალურად არის გაშიფრული რეზიდენტის სამოქმედო პროგრამა¹³.

საგარეო საქმეთა კოლეგიას მაინცდამაინც დიდი იმედი არ ჰქონდა ერეკლე მეფის აქტიური მოქმედების თაობაზე რუსეთ-თურქეთის მიმდინარე ომში. ითვალისწინებდნენ, რომ ერეკლე თურქეთის ვასალი არ იყო, არავითარ ხარკს თურქებს არ უხდიდა, საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა ახალციხის ფაშასთან. მიაჩნდათ, რომ ლეკთ გაუთავებელი შემოსევების ვითარებაში ერეკლე ვერ მოიცილიდა თურქებთან საომრად. აღნიშნული თვალსაზრისი გამოთქმულია ანტონ მოურავოვისთვის მიცემულ ინსტრუქციაში, მრავალ სხვა დოკუმენტში.

აღნიშნულ ვითარებაში ერეკლე მეფის შემდგომი მოქმედების სწორად გასააზრებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ თურქთაგან ჩაგრული ხალხები რუსეთში ხელდავდნენ „თავიანთ ბუნებრივ დამცველსა და განმათავისუფლებელს“ (მარქსი). სწორედ ამიტომ მოხდა, რომ ურეკლე თითქოს საკმაოდ იოლად დათანხმდა ჩაბმულიყო ომში, რომელიც ერთი შეხედვით მისი სამეფო ინტერესების სფეროში არ შედიოდა.

¹⁰ Грамоты II, I, гл. 1—2.

¹¹ Архив государственного совета, I СПб., 1869, с. 10.

¹² Грамоты, I, гл. 20.

¹³ Грамоты, I, гл. 39—50.

მახლობელ აღმოსავლეთში საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივის თვალსაზრისით ხაზი უნდა გაესვას, რომ იმჟამინდელ დოკუმენტებში ერეკლე II და სოლომონ I რუსეთთან ურთიერთობის აფიშირებას ახდენენ, რუსეთის იმპერატორის ხელდებულად აცხადებენ თავს.

რუსული მხედრობა ბალკანეთში ნიჰიერი სარდლის რუმინანცევის ხელმძღვანელობით წარმატებებს აღწევდა.

1769 წლის 30 აპრილს მეფე ერეკლე ყიზლარის კომენდანტს გენერალ პოტაპოვს სწერდა: „იენისის შვიდსა თქუენის მალადაღმსულელობის წიგნი მივიღეთ, რომელმანც ჩუენ დიდად სასურველი ჰამბავი გვახარა, რომელ მისის დიდებულების არმისა ოსმალთა ზედასახელოვანი ძლევა მიუღია“¹⁴. იმავე წლის 5 ივნისს ერეკლეს უკვე გადაწყვეტილი პასუხი აქვს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისათვის. იგი წერს პანინს: „ოსმალთა თანა მტერობასა სრულის წაუღილთვეცადნეთო“. ერეკლეს თავისი მაჰმადიანი ვასალების თანადგომის იმედით აქვს: „რომელნი მაჰმადიანნი ჩუენნი გარემონი არიან და ან ჩუენს მფლობელობას ქუეშ იმყოფებიან დღეს, ჩუენ ამას უეჭველად ეპკონებთ, ესენიც რომელნიმე გაგვეერთდებიან და ოსმალთ მტერობაზედ რაოდენი სიმხნე და გამოცდილება აქუსთ, ზოგნი შიშისაგან და ზოგნი რომლისამე მიზეზისაგან ჩუენთან სიმართლით გაირჯებიანო“¹⁵.

საგარეო საქმეთა კოლეგიაში მაშინვე ოპერატიულად ადგენენ საქართველოს მიმდებარე ტერიტორიების, ამ ადგილებში მოსახლე ხალხების აღწერას¹⁶.

1769 წლის 4 სექტემბერს მეფე ერეკლე დასტურს აძლევს ეკატერინე II-ს ომში მონაწილეობაზე — „მოწყალებით გებრძანათ, რომ ზონთქრის სამფლობელოს, რომელიც ჩუენგან შეიძლებოდეს საქართველოს ნაპირებიდამ მტერობად განვეწყუნეთ და თქუენისა ყოვლად დიდებულისაგან ჯართა და სხუას შეწევნით ჩუენ, მდაბალნი მონანი, დაფარული ვიქმნეთ, ამას ზედა თქუენს ყოვლად მოწყალებას დიდისა სიმდაბლითა ვმადლობთ და ვსასოებთცა თქუენის დიდებულებისაგან, რომ შემდგომად ამისსა დაუგდებლად დაგვიცუნე“¹⁷.

1769 წლის 4 სექტემბრის წერილში ნიკიტა პანინისადმი ერეკლე მეფე საკითხს სვამს პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელების შე-

¹⁴ Грамоты, II, I, гв. 5.

¹⁵ Грамоты, II, I, гв. 6—7.

¹⁶ Грамоты, II, I, 1769 წლის 14 ივნისი, გვ. 8—13. აღწერის დასკვნაში გამოორებულია აზრი, რომ „სირიელთა ერისა და ადგლისაგან ძალსა არამიკრედსა მოვირთხამთ“, მაჰმადიანებს შემოეერთებთ „და ქრისტიანობის მტერზედ აღმხედრდებიან და იღვამხედრებთ“.

¹⁷ Грамоты, II, I, гв. 13 — ქართული ტექსტი.

სახებ (მოთხოვნილი 15 პოლკიდან ხუთი ამთავითვე გამოგვიგზავნეთ)¹⁸.

ამრიგად, რუსეთ-თურქეთს შორის საომარი მოქმედების დასაწყისისათვის საქართველო-რუსეთის ინტერესების ურთიერთდამთხვევის საფუძველზე, ამასთან გამოცდილი, ოსტატობით ცნობილი რუსული დიპლომატიის წარმატებული მოღვაწეობის შედეგად, საქართველოს მონაწილეობა ომში გარანტირებული იყო. რუსეთის ერთმპყრობელი ეკატერინე II ერთგვარი საზეიმო ლაყონიზმით აცხადებს: „თურქეთს ცეცხლი შევუწთეთ ოთხი მხრიდან: დუნაიდან, ყირიმიდან, ზღვებიდან და თვით საქართველოდანაც კი“¹⁹.

საარქივო დოკუმენტების, ა. ცაგარლის მიერ გამოცემული სიგელ-გუჯრებისა და სხვა დოკუმენტური მასალის მეცნიერულად გააზრების საფუძველზე ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ნათლად არის გამოკვეთილი აზრი, რომ სამხედრო მოქმედებას ამიერკავკასიაში, რუსეთ-თურქეთის ომის თვალსაზრისით, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობის ამ ეტაპზე თურქეთის წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო ოპერაციების წმინდა გარეგნული ეფექტით უფროა დაინტერესებული. იმპერია იმუშავდა კავკასიაში არც ახალი ტერიტორიების შემოერთებით არ არის დაინტერესებული²⁰. აღნიშნული თვალსაზრისით პროფ. ა. ცაგარელს მშვენივრად აქვს გააზრებული საგარეო საქმეთა კოლეგიის მიერ ქართველების რუსეთ-თურქეთის ომში ჩასაბმელად გამოიმუშავებული ინსტრუქციის დედააზრი.

ინსტრუქციაში ნათქვამი იყო: „ცუდი გზების გამო აქაური (რუსული — ჯ. ო.) ლაშქრის დახმარება ქართველთათვის არავითარ შემთხვევაში შესაძლებელი არ არის, მაგრამ გარკვეული ფულადი სახსარი ამ საქმეს მონაცვლეობას გაუწევს“. შემდგომში შესაძლებლად მიიჩნეოდნენ საქართველოში გაეგზავნათ რამდენიმე მსუბუქი ზარბაზანი არტილერიისტებითურთ, რაც „გაამხნევებდა ქართველთა მხედრობას“. გარდა ამისა, „მათი დაიმედება, რომ პორტასთან მომავალში დადებულ საზავო ხელშეკრულებაში ისინი დავიწყებულნი არ იქნებიან, გაათავისუფლებს მათ თავიანთ მომავალ ბედზე ფიქრისაგან“²¹.

¹⁸ Грамоты, II, I, გვ. 14.

¹⁹ Ключевский В. О., Курс русской истории, ч. V, 1937, с. 40.

²⁰ იხ. აკად. ნ. მარის სახელობის ენიქის შოაშვე, V—VI, თბილისი, 1940, ი. ციხე-ცაძე, ორი საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან; ვ. მაკარაძე, ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 25—53; საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1968; ვ. ქორიძე, საქართველოსთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წლების ომის დასაწყისში.

²¹ Грамоты, I, გვ. III

მრავალ მოწერილობაში, ინსტრუქციაში განსაკუთრებით ხაზგასმულია ქართველების და რუსების ერთმორწმუნეობა. ცხადია, ურთიერთობის გაღრმავებისათვის ეს გადამწყვეტი ფაქტორი როდია, მაგრამ ქრისტეს რჯულის მართლმადიდებლური რწმენის აღიარებას გარკვეულად მნიშვნელობა ჰქონდა. „რწმენის სიმბურვალე, — ეკითხულობთ საგარეო საქმეთა კოლეგიის ინსტრუქციაში,—ქართველთა შორის დიდია, აქედან იღებს სათავეს მათი გარჯა და კეთილგანწყობა რუსეთის საიმპერატორო კარისადმი“²².

ურთიერთობათა ამ ეტაპზე, არც სამხედრო კამპანიის დასაწყისში და არც მის დასასრულს რუსეთი მიზნად არ ისახავდა იმპერიის საზღვრების გაფართოებას ამიერკავკასიაში. გენერალ სუხოტინს უთითებენ: „არ გვაქვს მიზნად საქართველოს მიწები შემოვუმატოთ ჩვენს იმპერიას, რადგანაც ეს მიწები შორსაა და არ გვემიჯნებაო“²³.

ჯერ კიდევ 1766 წელს იმერთა მეფე სოლომონს უარი უთხრეს პირადად მისი ამალით რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღებაზე. თურქეთთან ომის ვითარებაში რუსულმა დიპლომატიამ არ მიიჩნია შესაძლებლად გამოეცხადებინა იმერეთი იმპერიის ხელდებულ ქვეშევრდომად. საგარეო საქმეთა კოლეგია აღნიშნავდა: „საღ პოლიტიკას სავსებით ეწინააღმდეგება, დაკვამაყოფილდეთ იმ დიდებით, რომ იმერეთი ჩვენს მფარველობაშია, მის დასაცავად ხელი გამოვიდოთ და ძალა გავლიოთო“²⁴. სოლომონ მეფისთვის გასაგზავნ საიმპერატორო სიგელში ნათქვამი იყო: „იმერეთის მიღებას ჩვენს უმაღლეს მფარველობაში მისი შემდგომი ბედობალი განსჯისო“²⁵.

1769 წლის 26 მაისს ეკატერინე II მთელი საქრისტიანოს სახელით „ყოვლადმოწყალე მადლობას“ უთვლის სოლომონ მეფეს იმერეთში მართლმადიდებლური რჯულის დაცვის, „მჩაგვრელი პორტის უპატიო საქციელის, ქვეშევრდომთა გატაცების აღკვეთისათვის“, „მამულისა და სარწმუნოებისათვის“. ეკატერინე II სოლომონს მოუწოდებს: „ამასთან თქვენი უგანათლებულესობისაგან გვსურს ყოველგვარი დაყოვნების გარეშე დაიწყოთ მოქმედება საერთო მტრის წინააღმდეგ“²⁶. იმავე თარიღით მეფე ერეკლესათვის გაგზავნილ წერილში რუსული დიპლომატიის თავკაცი ნიკიტა პანინი რწმენას გამოთქვამს,

²² Грамоты, I, гл. 6—9.

²³ Грамоты, I, гл. 471.

²⁴ Грамоты, I, гл. 41.

²⁵ АВПР, ფონდი რუსეთის ურთიერთობა საქართველოსთან, 1769—1775, ანაწერი, 110/2.

²⁶ Грамоты, I, гл. 50—55.

რომ ქართლ-კახეთის მეფე ოსმალეთის წინააღმდეგ ომში იმერეთს ამოუდგება მხარში²⁷.

სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ალ. ცაგარელი — „საერთაშორისო ურთიერთობებსა და მოლაპარაკებაში თითოეულ მხარეს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ხალხისა და სახელმწიფოს სარგებელი და გამოჩენა ამოძრავებს“²⁸. ამდენად, რუსეთისათვის მთავარი იყო „მოეწყო მნიშვნელოვანი დივერსია საქართველოდან“ თურქეთის საწინააღმდეგოდ. ამასთან „ქართველებს დივერსიაში მონაწილეობა ძირითადად საკუთარი ძალებით უნდა მიეღოთ“²⁹. შემდგომშიც, ინსტრუქციაში გენერალ სუხოტინისადმი, ეკატერინე II დაბეჯითებით იმეორებს იგივეს: „ჩვენი განზრახვა ადრეც და აშუაშუადაც მდგომარეობს იმაში, რომ დივერსიაში მტრის წინააღმდეგ საკუთრივ ქართველები გამოვიყენოთ“³⁰. რუსეთის ცარიზმმა ამ თვალსაზრისით ფორმულაც კი გამოიმუშავა — „სული აქაური უნდა სუფევდეს, განხორციელდება ქართველების საქმეა“³¹.

წარმოსახულ ვითარებაში საქართველოში გასაგზავნი სამხედრო ტექნიკური კორპუსის სარდლად იმპერატორის 1769 წლის 27 ივნისის განკარგულებით დაინიშნა იმპერიაში ფრიად ოდიოზური პიროვნება გენერალ-მაიორი გრაფი გოტლიბ-კურტ ჰენრიხ ფონ ტოტლებენი. ჭამეცნიერო თუ პოპულარულ ლიტერატურაში, სადაც კი გაჰყავნდება ტოტლებენის სახელი, თითქმის ყოველთვის მრავალი სალანძღავი სიტყვის თანდართვით, თითქმის ყველა ავტორი ტოტლებენს ერთხმად ავანტიურისტს უწოდებს.

გონიერ რუს სახელმწიფო მოღვაწეებზე საუბრისას ვ. ლ. ველიჩკო ხაზს უსვამს, რომ მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული რუსეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ინტერესები, სწორად აფასებდნენ საქართველოსთან კულტურული დაახლოების საჭიროებას, მნიშვნელობას. ეს კარგად ესმოდათ „გამოჩენილ რუს ადამიანებს, ისეთებს, როგორც იყო, მაგალითად, პოტიომკინი, რუსეთის წარმომადგენელი ერეკლე II-ის სამეფო კარზე ბურნაშოვი... ბურნაშოვიც და მისი უშუალო ხელმძღვანელიც ჩრდილო-კავკასიური ჯარების სარდალი გრაფი პაულე პოტიომკინი ჰემმარიტად რუსი ადამიანები არიან, რომელთაც სწამდათ რუსული სიმართლისა და კეთილგანწყობისა კავკასიის მო-

²⁷ Грамоты, I, გვ. 423—425.

²⁸ Грамоты, II, ნაკვეთი I, გვ. VIII.

²⁹ Грамоты, I, გვ. VIII—IV.

³⁰ Грамоты, I, გვ. 471.

³¹ Грамоты, I, გვ. 156. 1770 წლის 16 ივლისი. ნ. პანინის წერილი ტოტლებენისადმი.

სახლეობისადმი, საპირისპიროდ მათი თანამედროვის, უცხოელი ავან-ტიურისტის ტოტლებენისა³².

რუსულ ისტორიოგრაფიაშიც ტოტლებენი კეთილი სიტყვით არ არის მოხსენიებული, მაგრამ საქმე ის არის, რომ არსებული სიტუაციის შესაბამისად ცარიზმს იმჟამად სწორედ ტოტლებენი სჭირდება. ალტერნატივა მარტივია — თუ ტოტლებენი მასზე დაკისრებულ მოვალეობას თავს ვაართმევდა, საიმპერატორო ხელისუფლება ქება-დიდებას თავის თავზე მიიწერდა, თუ დაშვებული იქნებოდა მძიმე შეცდომები, ტოტლებენს, როგორც განტევების ვაცს, დასჯიდნენ. აღრეც სახელგატეხილი გენერლისთვის სასჯელი არც ახალი ხილი იქნებოდა.

ტოტლებენი დაიბადა 1715 წლის 31 დეკემბერს დაბა ტოტლებენში, ტიურინგიაში (სხვა ცნობებით საქსონიაში). განათლება იენაში მიიღო. 1724 წლეს დედამისმა საქსონიის კურფიურსტის პაჟად გაამწესა. დიდი წარმატებით სარგებლობდა ქალთა საზოგადოებაში. 1745 წელს კურფიურსტმა გრაფის ასულზე დააქორწინა და წოდებაში გასათანასწორებლად გრაფობა მიანიჭა, ამასთანავე დანიშნეს სასამართლოს წევრად. შემდგომში სასამართლოს დადგენილებით გაეყარა მეუღლეს. 1747 წელს მექრთამეობისა და სამსახურში ჩადენილ სხვა ბოროტმოქმედებათა გამო პოლანდიაში გაიქცა. პოლანდია იმხანად ომში იყო ჩაბმული და ტოტლებენს ნება დართეს თავის ხარჯზე პოლკი შეედგინა, მაგრამ ეს პოლკი იმდენად დაბალი დონისა იყო, რომ ომის დამთავრებისთანავე დითხოვეს. 1750 წელს თავისი მეურვეობის ქვეშ მყოფი მდიდარი ობოლი გოგონა შეირთო და ბერლინში წაიყვანა. მეორე ცოლსაც ცუდად ექცეოდა და გაეყარა კიდევ. შემდეგ იძულებული გახდა დაეტოვებინა ბერლინი და კვლავ საქსონიაში, მერე კი პოლანდიაში წავიდა.

როდესაც გაიგო, რომ რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასული აპირებდა მონაწილეობა მიეღო ავსტრია-პრუსიის ომში საქსონიის კურფიურსტისათვის დახმარების აღმოჩენის საბაბით, ტოტლებენმა მოახერხა შეზვედროდა რუსეთის დედოფალს და თავისი სამსახური შესთავაზა ე. წ. მცირე ომის წარმოების პროექტით. ტოტლებენი აიყვანეს რუსეთის სამსახურში, მისცეს გენერალ-მაიორის წოდება და ცალკე კორპუსი ჩააბარეს. შვიდწლიან ომში ტოტლებენი დაიჭრა, დაჭრილობებულ იქნა ალექსანდრე ნეველის ორდენით. 1760 წლის 8 ოქტომბერს თავისი კორპუსით მონაწილეობდა ბერლინის აღებაში.

1761 წლის 19 ივნისს, როდესაც გამოვლინდა ტოტლებენის მოლაღატეობა, როცა გამოაშკარავდა, რომ მტერთან საიდუმლო გამყიდ-

³² В. Л. Величко, Кавказ, том I, С.-Петербург, 1904, с. 10.

ველური ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული, პომერანიისკენ მიმავალი ტოტლებენი მისი კორპუსის პოლკების მეთაურებმა ბერნშტეინის ბანაკში დააპატიმრეს. შემდეგ ტოტლებენი ბადრაგით ჩაიყვანეს პეტერბურგში და ციხეში ჩასვეს. 1762 წლის 20 მაისს სამხედრო სასამართლომ საომარ ვითარებაში პრუსიის მეფე ფრიდრიხ II-სთან განხორციელებული მოლაპატრები კავშირის გამო ჰენრიხ ტოტლებენს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა; აჰყარეს ყოველგვარი პატივი, ჩამოართვეს მამული. სიკვდილით დასჯას ტოტლებენი იმან გადაარჩინა, რომ გარდაიცვალა იმპერატორი პეტრე III, ხოლო სენატმა 1763 წლის 11 აპრილს გამოაქვეყნა იმპერატორ ეკატერინე I-ის მიერ 31 მარტს ხელმოწერილი განკარგულება, რომლის ძალითაც ტოტლებენი, რომელიც ბრალდებული იყო იმპერიის საწინააღმდეგო მოქმედების მცდელობაში, გასახლებული უნდა ყოფილიყო იმპერიის ფარგლებიდან. ტოტლებენს ამ განკარგულებით სიცოცხლე კი შეუნარჩუნეს, მაგრამ მას იმპერიაში შემოსვლა აეკრძალა და თუ ვინმე მას იმპერიის ტერიტორიაზე ნახავდა, უფლება ჰქონდა მოეკლა.

1763 წლის 13 მაისს ტოტლებენი მიიყვანეს პრუსიის საზღვარზე და ქვეყნიდან გააძევეს.

შემდგომში ტოტლებენმა წერილით მიმართა ეკატერინე II-ს, თავი შეაცოცხლა — რუსეთის გარდა არსად შემიძლია ცხოვრებაო. ეკატერინე II-მ შეივრდომა იგი და ნიკიტა პანინს მისწერა: „როგორი აზრის ხართ თქვენ? — ვფიქრობ, შესაძლებელია მივცეთ მას თავშესაფარი რუსეთის რომელიმე ნაწილში, ციმბირში“.

1769 წლის 5 ივნისს „პეტერბურგის უწყებებში“ გამოქვეყნდა ტოტლებენის თხოვნა მისი შეწყალების შესახებ და დედოფლის განკარგულება მისი პატიების გადაწყვეტილებით³³.

³³ ბიოგრაფიული ცნობები გრაუ ტოტლებენის შესახებ მოხმობილია ალ. ცაგარლის მიერ გამოცემული სიგელ-გუჯრების წინასიტყვაობიდან (იხ. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, том I, С.-Петербург, 1891, გვ. VII—VIII). იქვე აღნიშნული ტოტლებენის შესახებ არსებული ლიტერატურა: ჟურნალი «Новое время», 1880, „გრაფი ტოტლებენი XVIII საუკუნის ერთ-ერთი ავანტიურისტი“; გ. კ. რეპინსკის სტატიები „გრაფი ტოტლებენი 1715—1763 წწ. — მასალები ბიოგრაფიისათვის“, იხ. Русская старина, 1880, ტომი X, ტომი XII; 1889, ტომი XIII. 1889, ტომი XIV.

ბრონეცკის მიხედვით გრაფი ტოტლებენი დანიშნულ იქნა სარდლად, რათა შემწეობა აღმოეჩინა ქართველი ხალხებისათვის (sic), მათი დახმარებით დაეპყრო ზღვისპირეთის ნავსადგომები, ციხე-სიმაგრეები, ესარგებლა ხელსაყრელი ვითარებით და განეგრძო წინსვლა თვით ტრ პიზონამდე, რათა თურქეთის ძალთა ყურადღება ამ მხრისაკენ მომართულიყო“ — იხ. Материалы для истории Кавказа, I, ბუტკოვის გამოცემა, გვ. 280. იქვე, აღნიშნული წიგნის დამატებებში, დაბეჭდილია ეკატერინე II-ის რესკრიპტები 1763 წლის 29 აპრილის და ეკატერინეს მიერ ტოტლებენის „უმოწყალესად პატიება“, გამო-

ასეთი კაცი შეარჩიეს საქართველოში გამოსაგზავნი კორპუსის სარდლად. ნიშანდობლივია, რომ რუსულ დიპლომატიას თავისი არსებობის თითქმის მთელ მანძილზე კარგად აქვს შეგნებული თავისი მისია. იგი გამოირჩევა ნათელი მიზანდასახულობით, ოპერატიულობით, რეალიზმით. ყველაფერი ეს შესანიშნავად არის ჩამოყალიბებული ფრიდრიხ ენგელსის ნაშრომში, რომელიც სპეციალურად რუსეთის საგარეო პოლიტიკის შესწავლას მიეძღვნა. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ტოტლებენის კანდიდატურა გამიზნულად შერჩეული მოჩანს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რუსეთში დაბრუნებული გრაფი არა თუ არ დაუსჯიათ, არამედ პატივით მიიღეს, დააჯილდოვეს კიდევ.

თვალში საცემია კორპუსის ოფიცერთა შემადგენლობა, რაც ტოტლებენის შერჩეული უნდა ყოფილიყო. იმხანად რუსეთის არმიაში მრავალი უცხოელი იყო³⁴, მაგრამ ტოტლებენის კორპუსი მთლად ლანდსკნეხტების თავყრილობას მოგვავაგონებს. გრაფმა ცუდად იცოდა, ან, შეიძლება ითქვას, თითქმის არ იცოდა რუსული ენა და ქართველებთან ურთიერთობისათვის ორმაგი თარჯიმნობა სჭირდებოდა, ჯერ უნდა ეთარგმნათ რუსულად, ხოლო რუსულიდან გერმანულად ან ფრანგულად. რელაციებს ტოტლებენი ფრანგულ ენაზე აგზავნიდა.

ტოტლებენის ადიუტანტი, წინამდებარე მემუარული ხასიათის რელაციის ავტორი, შარლ დე გრაი დე ფუაც უცხოელია და; მისივე აღიარებით, რუსული ენის არმცოდნე. კორპუსში მაღალი და დაბალი რანგის ოფიცრებად არიან: ბიქსერი, ვეგლერი, გრანერი, დევისი, ზორნაი (ცორნაი), კლავერი, ლუქსი, პიქსნერი, შტეინი და ა. შ. ცხადია, ამ უცხოელებს არათუ ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ არც რუსული მხედრობის სახელი და დიდება არ ადარდებდათ. ძარცვა-რბევის დროს სწორედ ისინი იჩენენ განსაკუთრებით თავს. ასე გამოიჩინეს თავი გერმანელმა ოფიცრებმა უბრძოლველად აღებული ქუთაისის გაძარცვის დროს³⁵.

რელაციის პირველი გამომცემელი პროფ. დ. ლანგი შენიშნავს, რომ ტოტლებენის ყოფილ ადიუტანტს კაპიტან დე გრაი დე ფუას ისტორიაში რამდენადმე შესამჩნევი კვალი არ დაუტოვებია. გენეალოგიური კვლევა-ძიების საფუძველზე გამოვლინდა, რომ იგი უნდა იყოს შთამომავალი ჟან დე გრაისი, ჟალეს პატრონისა, რომლის ქორწინება ბლანშ დე კარტენესთან იზეიმეს 1666 წელს. შემდგომში მისი ოთხი

ქვეყნებული 1769 წლის 27 მაისს „სანკტ-პეტერბურგის უწყებებში“ (იხ. Материалы, გვ. 459—461.).

³⁴ ერთ ხანს რუსეთის სამხედრო სამთავროში იყო ცნობილი კარლ ფრიდრიხ ერონოვი მიუნჰაუზენი (1720—1797), კაცი, რომელიც ტყუილების გამოგონებით მხატვრული ოსტატობის სიმაღლემდე ავიდა.

³⁵ ვ. შაკარაძე, ასპინძის ბრძოლა, გვ. 97; Грамоты, I, გვ. 257—261.

ვაჟიდან ერთ-ერთი საფრანგეთის ფლოტში მსახურობდა. თუ ვიმსჯელებთ მის მიერ დაწერილი რელაციით, კაპიტანი დე გრაი, ჩანს, გონიერი და დაკვირვებული კაცი იყო.

თავდაპირველად დე გრაი ტოტლებენთან მეტად დაახლოებული, განსაკუთრებული ნდობით აღქურვილი პირი ყოფილა, აღმსრულებელი მისი საიდუმლო დავალებების. შემდგომში დე გრაი ტოტლებენის წინააღმდეგ განზრახულ ოფიცერთა შეთქმულებას მიემხრო³⁶.

გვარის დაწერილობის მექანიკური გახმოვანების შედეგად, ავთენტურ რუსულ და ქართულ წყაროებში დე გრაი დე ფუა ცნობილია დეგრალის, დეგრალიეს სახელწოდებით. მისი ფრანგული სახელი შარლიც კარლად არის გადასხვაფერებული.

ტოტლებენის წინააღმდეგ განზრახულ ოფიცერთა შეთქმულების შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებთ, მისი დეტალები საკმაოდ კარგად არის ცნობილი³⁷. შეგვხებით მხოლოდ უშუალოდ დე გრაის თავგადასავალს, რომლის რამდენიმე დეტალი უშუალოდ რელაციაშიც არის მოთხრობილი.

1770 წლის 1 მაისს პოდპოლკოვნიკი ჩოგლოკოვი, რომელიც ბაღრაგს დაუსხლტა, და სამსახურიდან დათხოვილი დე გრაი თბილისში მოვიდნენ და მეფე ერეკლეს ეახლნენ³⁸. მეორე დღეს სრულიად რუსეთის ყოვლადმოწყალე იმპერატორის სახელით ტოტლებენი რუსულ და ქართულ ენებზე ავრცელებს მანიფესტს, რომლის ძალითაც აღთქმულია 1000 თუმანი გასამრჩელო მათთვის, ვინც ცოცხლად შეიპყრობს პოდპოლკოვნიკ თავად ნიკოლოზ იურის ძე რატიევს, პოდპოლკოვნიკ თავად ნაუმ ნიკოლოზის ძე ჩოგლოკოვს, პორუჩიკ დე გრაის. ხოლო ამ მოღალატეთა მოკვლისათვის დაწესებული იყო 1000 მანეთი³⁹.

1770 წლის 2 მაისს პორუჩიკი დე გრაი თავისი მოქმედების შესახებ განმარტებას აძლევს მეფე ერეკლეს:

„ქ. მის სიმაღლეს უგანათლებულესს მეფეს, ჩემს ხელმწიფეს ირაკლის. რადგან იარანალის ტოტლებენისაგან გასტუმრებული ვიყავ იმ

³⁶ BSOAS, 1951, XIII/4, გრაჟ ტოტლებენის ექსპედიცია საქართველოში 1769—1771, გამოცემული დ. ლანგის მიერ, გვ. 879.

³⁷ პროფ. ვ. შაკარაძეს ნაშრომი „ასპინძის ბრძოლა“ ამ პრობლემის გამოკვლევისათვის მთელი თავი აქვს დათმობილი — ოფიცერთა შეთქმულების საკითხისათვის, გვ. 88—94.

³⁸ Грамоты, I, 1770 წლის 10 მაისის პატაკი ანტონ მოურავოვისა ნიციტა პანინისადმი.

³⁹ Грамоты, I, გვ. 221—222. 1770 წლის 28 ივლისის პატაკში პანინისადმი მოურავოვი იღნიშნავს, რომ მანიფესტის გამოცხადებას მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია მეფე ერეკლეზე. საკუთარი თავის დასაცავად მას განსაკუთრებული ზომები მიუღია, ვინაიდან მისი აზრით, „ტოტლებენი, უდავოა, ვინმეს მოხიზლავდა ფულით და მის მოკვლას უბრძანებდა“ — Грамоты, I, გვ. 241.

მიზეზით, როგორც მოგხსენებიათ, რომ მე დამიწერია ამისთანა წიგნები, რომელიც ჩემის ხელმწიფის საზიანო და უმეტესად ხელმწიფის ირაკლის წინააღმდეგ იყო, — გავშტერდი, რომ ღრათს თქვენის სიმაღლისთვის მოუხსენებია, რომ მე დანაშაული მქონდეს, დავეჭირო და გავვადლო, ის წიგნები ჩემის ნებით დამეწეროს. ამას ვგონებდი, რომ ტფილისის ქალაქს მოვიდე და ჩემი თავი გავიმართლო. მართალია, რომ ის წიგნები დამიწერია, მაგრამ იარანალის ბრძანებით: პირველი დამიწერია აღოს მინდორში, სადაც მისი სიმაღლე იარანალის შეაყარა, მეორე წიგნი — როდესაც იმერეთიდან გარდმოვედი; კიდევ დამიწერია საქართველოს გასინჯულობა — მუდამ იარანალის ბრძანებით, მესამე წიგნი დამიწერია ზამთარში, მოზღოქს რომ წავედი, — ტფილისის ქალაქის გასინჯულობა, და სულ ეს წიგნები ყოველი სიმაღლისა და მისის სიმაღლის მეფის ირაკლის დიდების სრულიად წინააღმდეგი ყოფილა, და ჩემგან დაწერილი ყოფილა იარანალის ბრძანებით, როგორც იბოება კობია იმის წიგნებში. დღეს სამი კვირა არის, რომ თქვენის ლაგირიდან ღრათი მოვიდა და თავის ოფიცრებთან დამაბეზლა, რომ მე ამისთანა წიგნები დამიწერია. ბერე გე მაგ იარანალის მოვასხენე: შენ ხომ იცი, — ეს წიგნები შენის ბრძანებისამებრ დამიწერია. როცა იარანალმა შეიტყო, რომ იმ საიღუმლოს შენახვაზე არ მინდოდა, მიბრძანა, რომ მე პეტრებურღს გავისტუმრებ კაის პატივით, და მაჩუქა შვიდი ველენდიზის ოქრო და მომიმატა სახელი — პორუჩიკობა, ამ იმედით წავედი; მაგრამ შემიტყვია, რომ თქვენის სიმაღლისთვის მოუხსენებია, რომ მე გამავდო ერთის ავის კაცისავეთ და საქართველოს წინააღმდეგსავეთ; ვერ მოვითმინე ამისთანა დაბეზლება, რადგან მუდამ ერთგული ვყოფილვარ ამაღლებულის ჩემის ხელმწიფის წინაშე და თქვენის სიმაღლის წინაშე, და თქვენგან დიდის ვედრებით ვითხოვ მფარველობასა. იარანალის ფიქრები და ნიშნები მუდამ წინააღმდეგი ყოფილა თავის ინსტრუქციისა და ჩვენის ხელმწიფის ბრძანებისა, და მუდამ მოატყუა რუსის პირველი მინისტრები: ბევრჯერ მიუწერია იარანალ ჩერნიშოვთან და იარანალ პანინთან, რომ ერთი უამი დაიხელოს და საქართველო დაიჭიროს თავის იმპერატორის სახელით, რომელი ქვეყანაც მეფის ერეკლეს საბრძანებელს ქვეშ არის. ესეც მისწერა: რუსეთს აბაზი მოსკრან, აქ გამოგზავნონ და, თუ იმ აბაზებს მეფე ირაკლი არ მოიწონებს, ამას მტრობას გამოუცხადებს⁴⁰. კიდევ სხვაც ბევრი წიგნები არის ჩემგან დაწერილი იარანალის ბრძანებით, რომელიც თქვენის სიმაღლის წინააღმდეგია და სრულიად სა-

⁴⁰ იხ. 1770 წლის 29 ივნისის წერილის პროექტი ნ. პანინის ტოტლებენისადმი რუსული ფულის გავრცელებისა და ქართული ფულის რუსეთში მოკრის შესაძლებლობის შესახებ (ფრანგულად) — Грамоты, I, გვ. 463—465.

ზიანოდ არიან. ფრიად გვედრები, რომ ეს დაიჭერო: გაქირვებულმა დავეწერე. ახლა თქვენ გვედრებით, რომ არ დამაბეზლოთ ამდღებულის იმპერატრიცას წინაშე, რომლის, იმპერატრიცის, და თქვენის სიმადლის მუდამ ერთგული და დიდის სიმდაბლით ვიყავ და ვიქნები.

ჩემო უგანათლებულესო ბატონო ხელმწიფევე, ფრიად მდაბალი და ფრიად მორჩილი მოსამსახურე კარლო დეგრალი და პოდპორუჩიკი.

ქ. კარლო დეგრალისაგან ჩემთან მოწერილის წიგნის პირი არის.
ირაკლი

ტფილისს, მაისის ბ, წელსა ჩლო⁴¹.

შეთქმულების მონაწილე სხვა ოფიცრებთან ერთად შარლ დე გრაი დე ფუაც 1771 წლის 22 აპრილს ყაზანში გუბერნატორ ბრანტის თავმჯდომარეობით გაასამართლა სამხედრო სასამართლომ. აშკარად გამოსკვიოდა ტენდენცია, დაეგმოთ შეთქმულება, დაესაჯათ შეთქმულების მონაწილენი. დე გრაი მაინცდამაინც დიდ დამნაშავედ ვერ იცნეს და უნტერ-ოფიცრად ჩამოაქვეითეს. აქ მთავარია თვალი გავადევნოთ ხელისუფლების დამოკიდებულებას ტოტლებენისადმი. მას მხარში უდგანან, მფარველობენ. მთავარი თვით დასჯის ფაქტის კონსტატაცია იყო. მისჯილნი ვერაფერი დამნაშავენი იყვნენ და მოკლე ხანში, თითქმის ყველა ჩამოქვეითებული კვლავ აღადგინეს უფლებებში. მაგალითად, მაიორი რემენნიკოვი, რომელთანაც ტოტლებენს ადრევე მოუვიდა კონფლიქტი, 1774 წელს პერეკოპის კომენდანტია პოდპოლკოვნიკის ჩინით. მალევე აღადგინეს უფლებებში პოდპოლკოვნიკი რატიევი (ყველაზე დიდი დამნაშავე, რომელმაც სამხედრო წინააღმდეგობა გასწია). იგივე შარლ დე გრაი მოკლე ხანში კვლავ რუსული არმიის სამსახურშია, ფელდმარშალ რაზუმივსკის მთავარი კვარტირმეისტერია. კაპიტნის წოდებით. ამასთან თვით ტოტლებენის საქციელი მკაცრად არავის დაუგმია. ეს კი არის, რომ მას მდგომარეობა შეერყა, როდესაც იმპერატორი ეკატერინე II ნიკიტა პანინს მიუთითებს სამი ოფიცრის ყაზანის სამხედრო სასამართლოსთვის გადაცემაზე, იქვე აღნიშნავს, რომ ტოტლებენი უნდა შეიცვალოს სარდლის პოსტზე⁴².

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ურთიერთობა, ერთი მხრივ, მეფე ერეკლეს; სოლომონ მეფესა და, მეორე მხრივ, ტოტლებენს შორის, რაც საიმპერატორო კარის ოფიციალური თვალთახედვის პრიზმაში გარდატეხილი მოჩანს.

შედარებით ნათლად ეს ურთიერთობა ისტორიულ დოკუმენტებშია ასახული, თორემ ქართული ნარატიული წყაროები ერთობ

⁴¹ Грамоты, II I, гв. 24—25 — ქართული, Грамоты, I, гв. 450—451.

⁴² Сборник императорского русского исторического общества, том X, С-Петербург, 1872, с. 442.

თავშეკავებულად მოგვიტხოვრებენ ამ ამბების შესახებ. მაგალითად, ომან ხერხეულიძე მხოლოდ 1770 წლიდან იწყებს ტოტლებენთან დაკავშირებული ამბების თხრობას. „კვალად წელსა 1770, ქორონიკონსა 458, განიზრახა მეფემან ირაკლი ახსიხაზედ განმხედრება, ვინაიდან რუსნი და ოსმალნი აშლილნი იყვნენ და რუსეთის მხედრობა ჰბრძოდა ოსმალთა საბერძნეთის მხარეს და საქართველოსაცა წარმოუვლინა იმპერატორიცა ეკატერინემ რუსეთის ჟაღვეველი მხედრობა, მხედართმთავრობასა ქვეშე ლენერალ-მაიორის ღრაფ ტოტლებენისასა, რომელიც წინას წელიწადებში იყო მოსული და აღსდგა ჯარით ქრცხინვალს“. ტოტლებენსა და ერეკლე მეფეს შორის მომხდარი განხეთქილებაც ომან ხერხეულიძეს მეტად მარტივად აქვს ახსნილი და წარმოსახული — „ხოლო შთაადგეს შური ბოროტთა კაცთა და ჟუზიდევდენ ღრაფ ტოტლებენსა ავსა სიტყვასა და მის ძალით შემოსწყრა ღრაფ ტოტლებენი მეფესა, აიყარნეს თავისი ჯარით და წამოვიდა: მოვიდა მეფე ირაკლი, მრავალს ეხვეწნა“...⁴³

ოფიციალური ცარისტული ისტორიოგრაფია ტოტლებენსა და მეფე ერეკლეს შორის მომხდარ კონფლიქტში ერეკლე მეფეს ადანაშაულებს. „საკუთარი უფლებისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, — აღნიშნავს პ. ბუტკოვი, — ირაკლის სურდა მოეხდინა დაპყრობები, ეშოვნა ალაფი არა საკუთარი ძალებით, არამედ რუსთა მეშვეობით. იმ დროს, როდესაც რუსები დამხმარე, სამარჯაფო ძალებად არიან გამიზნულნიო“⁴⁴.

ურთიერთობის გამწვავება მეფესა და გენერალს შორის, 1772 წლის 28 ივლისს გენერალ მედემისათვის გაგზავნილ რესკრიპტზე დაყრდნობით, მარტივად იმით არის ახსნილი, რომ ტოტლებენმა არ იცოდა არც რუსული, არც აზიური ენები და მეფესთან კონტაქტისას ორმაგი თარჯიმნობა იყო თითქოს საფუძველი ყოველგვარი გაუგებრობის⁴⁵.

რაც შეეხება მეფე ერეკლეს, იგი ყოველმხრივ ცდილობს ურთიერთობის გაუმჯობესებას ტოტლებენთან, მიდის დათმობებზე, არ თაკილობს ხვეწნა-მუდარას. საქმე იმაშია, რომ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში და კონკრეტულად კი რუსეთ-თურქეთის 1768—1774. წწ. ომში „ქართველებმა სწორად შეაფასეს რუსეთისა და თურქეთის პოლიტიკური ინტერესების შეურიგებელი წინააღმდეგობანი და თავდაცვით ბრძოლაში თურქეთისა და ყიზილბაშური ირანის წინააღმდეგ პოლიტიკური ორიენტაცია რუსეთზე აიღეს“⁴⁶.

⁴³ ქართლის ცხოვრება, II, სანქტ-პეტერბურგი, 1854, მეფობა ირაკლი მეორისა, მეფის თეიმურაზის ძისა, ქმნილი ომან მღვიანებვისაგან, გვ. 491.

⁴⁴ Бутков П., Материалы, I, с. 282.

⁴⁵ იქვე, იხ. შენიშვნა, 1,

⁴⁶ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუ-

დიდ სირთულეებს ქმნიდა საექსპედიციო კორპუსის სურსათ-სა-
ნოვაგით მომარაგების საკითხი. ერთ დოკუმენტში ერეკლე მეფე ჩი-
ვის, თევზს კიდევ ვშოულობ, მაგრამ პურით მომარაგება მიჭირსო. რაც
შეეხება ტოტლებენს; იგი ამ პრობლემას ძარცვა-რბევის მეშვეობით
სწყვეტდა („როცა მოუნდის, ურმის ხარებიდამ გლენჯაცს ართმევდა,
უხოცდა და ნახევარ ფასს აძლევდა“)47. განსაკუთრებით ხშირად არ-
ბევდა არაგვის საერისთაოს, კაცის კვლასაც არ ერიდებოდა. ქარელ-
ში მეფის ერთგული ლეკები ამოსწყვიტა48.

განსაკუთრებით მწვავედ განიცადა ერეკლემ მის დაუკითხავად მის
ქვეყანაში შეთქმულ ოფიცერთა შესაპყრობად ტოტლებენის მიერ მა-
ნიფესტის გამოცხადება; ფულადი გასამრჯელოს შემწევობით მოსახ-
ლეობის ცდუნებაში ჩადების ბოროტი მცდელობა. ეს მომენტი მრავალ-
გზის ფიგურირებს სათანადო დოკუმენტებში49.

ერეკლე მეფე ყოველმხრივ. ცდილობს, არ ჩაერიოს კორპუსის სა-
შინაო საქმეებში, განზე დგება პოდპოლკოვნიკ ჩოგლოკოვის, დე გრაის
საქმისაგან. ამასთანავე ზრუნავს პოდპოლკოვნიკ სიმონ ჩოლოყაშვილის
ბედ-იღბალზე, ცდილობს შეინარჩუნოს ეს ოფიცერი საქართველოში.
საქმე ის არის, რომ ჩოლოყაშვილი არავითარი დაჯგუფების მონაწილე
არ არის, საარტილერიო საქმის სპეციალისტია და ქართველობას მე-
ზარბაზნეობას ასწავლის50.

1770 წლის 12 მაისს მეფე ერეკლე იმპერიის საგარეო საქმეთა მი-
ნისტრს ნიკიტა პანინს შესჩივის — „ჯარების მოსულის ამბავიც მოგვი-
ვიდა, და ამ ჯარების კეთილ დაყენებისა და სურსათის ზრუნვაც გვე-
თანამდებებოდა, ამ მიზეზებით იქილამ კაცი და წიგნი მიუვლინეთ და
დავიბარეთ, რომ ჯარებისათვის ადგილიც გამოგვეჩია და სურსათის
რიგიც მიგვეცა. და კიდევ მომავალის ჯარებისათვის სახმარნი და სა-
ჭირონი ნივთნი გვეფიქრა და მტერზედ მოსულისა დრო და პაემანიც
გამოგვეჩია, მაგრამ პასუხი არა მოგვეცა რა ჩემის წიგნისა, რომელმაც
მტერზედ წასვლის უწინარეს, მრავალნი ბოროტნი იმოქმედა ჩვენს
ქვეყანაში ჩემს თავადებზე და აზნაურებზედ, და ჩემს გლენჯაცებზედ,
და თვით ჩემზედაც, მრავლის წამებით ჩემი სული შეაწუხა, მაგრა
ყოველი დაუთმე, რადგან მისი დიდებულების იარაღალ მაიორი იყო“51.

ტუტის მიმომხილველი, ტომი III, 1953; Н. А. Бердзенишвили, Путеводитель к выставке «Грузинская колония в Москве», с. 282.

47 Грамоты, II, I, გვ. 27—28.

48 Грамоты, I, გვ. 457, 468; Грамоты, II, I, გვ. 18, 49.

49 Грамоты, I, გვ. 109; Грамоты, II, I, გვ. 19—20.

50 იხ. Грамоты, II, I. ერეკლე მეფის 1770 წლის 10 მაისის წერილი ვიცეკანცლერ გოლიცინისადმი, გვ. 27—30 და მეფის 1770 წლის 10 მაისის წერილი გრაფ ორლოვისადმი — გვ. 30.

51 Грамоты, II, I. გვ. 31—32.

უფრო პირდაპირი და გულახდილია მეფე ერეკლე თავის თანამემამულესთან, ამავე დროს რუსეთის რეზიდენტთან ანტონ მოურავოვთან მიმოწერაში. 1770 წლის 6 მაისს მეფე ანტონ მოურავოვს ტოტლებენის შესახებ სწერს — „მე მაგას ჩემს ქვეყანაში ვერ გაუძღვებ და ჩემის მოწყალის ხელმწიფის სამსახურშიც მომაცდენს, თუ ამისთანა ყოველად ბოროტს კაცს მომამოკრებთ, რაც აქ ხელმწიფის ჯარები არის, იმათთვის სურსათისა და კეთილ გამოზრდის საქმეც თავსმიდვია“...⁵² შემდგომში ერეკლეს ტოტლებენის დაპატიმრება გადაუწყვეტია და მიმოწერის საფუძველზე ტომსკის პოლკის მეთაურის კლავერის მიმხრობაც განუზრახავს. მოურავოვის დაჟინებითი მოთხოვნის შედეგად ყოველივე ამაზე ერეკლეს უარი უთქვამს⁵³. იგი განსაკუთრებით მაღლიერია მოურავოვსა, ვინაიდან განხეთქილება ისე შორს არ წავიდა, რომ ტოტლებენი ანანურიდან რუსეთში არ გაბრუნდა.

ერეკლეს მაინც მოუხდა ახსნა-განმარტების მიცემა პანინისათვის ტოტლებენის დაპატიმრების მცდელობის საკითხზე. 1770 წლის 25 მაისს მეფე პანინს სწერს: „იარანალ მაიორის არესტი ორმა საქმემ გამოგვარჩევინა: პირველად აწყურდიდან მისმა გამოპარვით წამოსვლამ და მეორედ, ანანურს მისვლამ, — [ეს ხომ] ოსმალისა და დაღისტნის გზით უკუნქცევა არის, და რადგან პირველიც ისტორია მისი გვსმენოდა, ამასაც ვარწმუნებ თქვენს მაღალბრწყინვალეებას, რომ ვინც ყოველად მოწყალის რუსეთის ხელმწიფის ჯარს ამ ქვეყნიდან წაიყვანდა, მე იმაზედ ჩემს თავს დავსდებდი და სიცოცხლეს (ხაზი ჩემია, ჯ. ო.) და არ გაუშვებდი, მანამ მისი იმპერატორობითი დიდებულების ბრძანება მომივიდოდა, ამისთვის რომ ჩემი და ჩემის ქვეყნის გაოხრება იქნებოდა“⁵⁴.

თავის მხრივ, გენერალი ტოტლებენი, მისი მოქმედების შესაბამისად, ოფიციალურ მიმოწერებშიც აუგად იხსენებს ერეკლეს, სოლომონს. უკრძალავს ყველა თავის ოფიცერს, განსაკუთრებით ქართული წარმოშობის ოფიცერებს, ურთიერთობა იქონიონ ქართველი მეფეების გარემოცვასთან.

1770 წლის 12 მაისს, როდესაც დაძაბულობამ აბოგეას მიაღწია, ტოტლებენი იმპერიის ცენტრს აცნობებდა, „რომ განზრახული აქვს აიღოს თბილისი, დაუქვემდებაროს მთელი საქართველო რუსულ ხელისუფლებას, ჩამოართვას ერეკლეს ანდრია პირველწოდებულის ბაფ-

⁵² Грамоты, II, I, გვ. 26.

⁵³ Грамоты, II, I, მეფე ერეკლეს 1770 წლის 13 მაისს წერილი ა. მოურავოვს.

⁵⁴ Грамоты, II, I, გვ. 35—36, Грамоты, I, გვ. 223—229; შეადარე: ომან ხერხეულიძე ათქმევიანებს ერეკლეს: „უმაჯობეს არს სიკვდილი ჩემი, ვიდრემდის ამათგან რუსთა მხედრობას ვენოს რამეო“ (იხ. ქართლის ცხოვრება, II, 1854, გვ. 492).

თი, გააგზავნოს იგი პეტერბურგს ან შედენოს შავ ზღვაში⁵⁵. ანანურსა და დუშეთში მან რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ხალხის დაფიცება დაიწყო. სოლომონ მეფეს, ცნობილია, იგი „თურქს“ უწოდებდა.

ასეთია მეფე ერეკლესა და ტოტლებენს შორის მომხდარი კონფლიქტის მოკლე ისტორია. აქვე უნდა დავძინოთ, რომ საიმპერიო ხელისუფლებამ ძირითადად ამ საქმეში ერეკლეს დასდო ბრალი.

1770 წლის 9 ივნისს რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II მიმართავს. განიფესტი ცველა ქართველ თავადს, აზნაურს, მთელ ქართველ ხალხს: „ქართველ მფლობელთა შორის ერთ-ერთმა ყველაზე უფრო გამოჩენილ პირთაგანმა, ირაკლიმ, რომელიც თავისი მდგომარეობის გამო ვალდებული იყო მისაბაძი მაგალითი ყოფილიყო, საპირისპიროდ ყოვლისა, თავისი უცნაური საქციელით, რაც გამოიხატა ჩვენს მიერ საქართველოში გაგზავნილი ჯარის წინამძღოლად შერჩეული გენერალ-მაიორის გრაფ ტოტლებენის მოქმედების განსჯაში, მით შეუტაცხყო თვით ჩვენ მიერ ამ სამხედრო ხელისუფალზე დაკისრებული ნდობა. თითქოს განგებ და წინასწარი განზრახვით, ამავე გზით ცდილობდა ხელი შეეშალა სამხედრო ღონისძიებებისათვის მთელი საქარსტიანოსა და განსაკუთრებით იგივე საქართველოს მტრის წინააღმდეგ. რადგან ნაცვლად იმისა, რომ გარჯილიყო ჩვენს გენერალთან ურთიერთობაში გულითადობითა და თანადგომით, გაეთვალისწინებინა საერაო, თანხმობით განსახორციელებელი ღონისძიებანი და ნამდვილად შეესრულებინა ისინი, გარჯილიყო ჩვენი ლაშქრის გამოკვების საქმეში. ერთი სიტყვით, ნაცვლად იმისა, რომ დაეჩქარებინა საქართველოში კეთილდღეობის დაფუძნება, იგი ბოროტმოქმედთა ანკესზე წამოეგო“⁵⁶.

იგივე შინაარსის წერილს, ოლონდ დაწერილს რამდენადმე უფრო შერბილებული ტონით, უგზავნის ეკატერინე II 1770 წლის 9 ივლისს⁵⁷ ერეკლე II-ს⁵⁸. იმავე თარიღით გამოგზავნილ წერილს ერეკლე მეფისადმი ნიკიტა პანინი ასე იწყებს: „ყოვლად-უმაღლესი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის წერილიდან თქვენს უგანათლებულესობას უკვე ჰქონდა შესაძლებლობა შეეტყო, თუ როგორი განცვიფრება და უკმაყოფილება გამოიწვია აქ თქვენმა შეცდომებმა“⁵⁹.

ერეკლე მეფე წამოწყებულ საომარ კამპანიაში უღალატოდ იქცევა და ჯერ კიდევ საიმპერიო ხელისუფლების მიერ კონფლიქტის მიზეზების განსჯამდე, 1770 წლის 3 ივნისს, ტოტლებენს ერთობლივი საო-

⁵⁵ Соловьев С. М., История России, том XXVIII, с. 142.

⁵⁶ Грамоты, I, в. 125—126.

⁵⁷ Грамоты, I, в. 132—134.

⁵⁸ Грамоты, I, в. 134.

მარი მოქმედების გაგრძელებისაკენ მოუწოდებს⁵⁹. კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ ერეკლეს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში არჩევანი, ჩანს, მტკიცედ აქვს გაკეთებული; მას რუსეთი, როგორც საქრისტიანოს დამცველი, არა მარტო სპარსეთ-ოსმალეთის, არამედ როგორც მეზობელი და რეალურად ხელშეწყობისა და დახმარების განხორციელების შემძლებელი, ევროპის ქვეყნებსაც ურჩევნია.

სწორედ ამიტომ საკონფლიქტო სიტუაციის აღსაკვეთად ჩამოსული კაპიტანი იაზიკოვი 1770 წლის 9 ივლისს განცვიფრებული აცნობებს პანინს: „შექმნილი ვითარების შესაბამისად ვფიქრობდი, რომ დიდი ჯაფა დამადგებოდა, რათა დამეყოლიებინა ირაკლი [შერიგებოდა ტოტლებენს და განეგრძო ლაშქრობა თურქთა წინააღმდეგ]. ნაცვლად ამისა მეფე [ირაკლი] ყველაფერს გვიჯერებს და სავსებით ბრმად ერთგულია ჩვენი დედოფლის“⁶⁰. ცხადია, აქ ბრმა ერთგულება არაფერ შუაშია, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს გონიერი სახელმწიფო მოღვაწის გააზრებულ მოქმედებასთან, რომელსაც თავისი ქვეყნის ბედ-იღბლის წარსამართავად ძალუძს საკუთარი გრძნობების დათრგუნვა. ამ პერიოდისათვის ერეკლე მეფისა და მისი ქვეყნისათვის რუსეთზე ორიენტაცია ერთადერთ რეალურ გამოსავლად მოჩანდა უმძიმესი საგარეო და საშინაო პოლიტიკური სიტუაციიდან თავის დასაღწევად. მრავალგზისმა მცდელობამ ევროპისაკენ საგარეო პოლიტიკური კურსის წარმართვისა შედეგი არ გამოიღო. „ამ დროს პატარა საქართველო და მისი გმირი, ნიჭიერი მეფე განმარტოებული და განათლებულ ქვეყნიერებას ყოველმხრივ მოწყვეტილი იყო“ (ი. ჯავახიშვილი).

ზემოთ ხაზგასმული იყო და ახლაც უნდა გავიმეოროთ, რომ რუსული დიპლომატია საკმაოდ საღ, რეალისტურ პოზიციებზე იდგა. ამდენად ტოტლებენის სამხედრო კორპუსის გაგზავნის წინამავალ პერიოდში ჩატარებული კვლევა-ძიების საფუძველზე კორპუსის ხელმძღვანელობას გარკვეული სურათი უკვე ჰქონდა საქართველოს ცალკეული ნაწილების, კერძოდ, ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური, ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. ბუნებრივია, თვით კორპუსის სარდალი, მისი ოფიცრები დაკვირვებას აწარმოებდნენ ადგილზე შექმნილ, რეალურ სიტუაციაზე. ასეთ ვითარებაში ტოტლებენის მცდელობა, ჩამოართვას ტახტი ერეკლეს და მისი ქვეყანა რუსეთის იმპერიას შეუერთოს, ტოტლებენის ავანტიურისთვის ტოლფასოვნად, საქართველოს სამხედრო სისუსტეზეც მიუთითებს. ბოლოს და ბოლოს საექსპედიციო სა-

⁵⁹ Грамоты, II, I, გვ. 37—38 — „ერაჟანეთს ნუ შემოვწყრებით... და თქვენს სამღურავზედ მტერს ნუ გავაზარებთ“.

⁶⁰ Грамоты, I, გვ. XIX.

მხედრო კორპუსის ოპტიმალური შემადგენლობა 3767 კაცს არ აღემატებოდა⁶¹.

უკვე იყო ლაპარაკი ტოტლებენის განზრახვაზე, ხელთ ეგდო საქართველო; ამჟამად მოუესმინოთ კაპიტან ლვოვს, რომელიც აღნიშნავს, რომ ტოტლებენმა საბოლოოდ გადაწყვიტა — „მეფე ერეკლეს ორდენი ჩამოხსნას და თვით იგი რუსეთს გააგზავნოს. მოწინააღმდეგე ბანაკის თავადები, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, დათრგუნოს და მთელი საქართველო მისი უდიდებულესობის ქვეშევრდომად აქციოს. მთელი საქართველოს რუსეთის ქვეშევრდომად გადაქცევა, რაღათქმაუნდა, ჩვენი 3000 ჯარისკაცის მეშვეობითაც მეტად იოლია (ხაზი ჩემია — ჯ. ო.)... შემდეგ იმერეთის გავლით შავ ზღვამდე შეიძლება მისვლა, რაც აგრეთვე ძნელი საქმე არ არის, ვინაიდან ჩვენ ახლა იმ ზღვიდან 300 ვერსზე ვართ; ადრე — კი 140 ვერსით ვიყავით დაშორებული. შავ ზღვამდე ვერაფერი შეგვაკავებს. თურქების სიმამაცე აწყურთან კარგად ვიხილეთ, იქით კი ისინი უარესები არიანო“⁶².

საქმე ის არის, რომ ამ აქციის განხორციელება საკმაოდ რეალურად მიუჩნევიათ საიმპერიო ცენტრში და კაპიტან იაზიკოვისათვის მიცემულ სამოქმედო ინსტრუქციაში გათვლილი იყო ვარიანტი იმისა, რომ ერეკლე შესაძლებელია ტახტიდან გადაყენებულიყო. თუმცა კვლავ ხაზი უნდა გაუუსვათ იმას, რომ რუსეთი იმჟამად იმპერიის საზღვრების გაზრდას არ აპირებდა. მთავარი იყო საქართველოს შენარჩუნება თურქების საწინააღმდეგო ერთობლივი საომარი მოქმედებისათვის. იაზიკოვის მეშვეობით პანინი აცნობებდა ტოტლებენს — „ამჟამად ძირითადი საჭიროება იმაში მდგომარეობს, რომ ქართველებმა ომში შემწეობა აღმოგვიჩინონო“⁶³. 1770 წლის დამლევისათვის ტოტლებენის კავკასიიდან გზავნის საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო. 19 დეკემბერს უკატერინე II პანინს სწერდა: „ფიქრობ, რომ მას ლფროძალუძის წახაზინოს ჩვენი საქმეები საქართველოში, ვიდრე სსსარგებლოდ გაისარჯოს, მიმაჩნია, საჭიროა იქ სხვა ვინმე გავამწესოთო“⁶⁴.

ამრიგად, მიუხედავად დიდი წარმატებებისა. რომელსაც თურქეთთან საომარ კამპანიაში მიღწეის იმერთა მეფე სოლომონმა და განსაკუთრებით კი ერეკლე მეფემ ასპინძის ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვებით, ქვეყნის სამხედრო პოტენციალის სისუსტე თვალსაჩინოა და საკმაოდ კარგად გამოვლენილი იმდროინდელი რუსული დიპლომატიისათვის, რუსული სამხედრო კორპუსის სარდლობისათვის. შემდ-

⁶¹ იხ. ვ. მაქარაძე, ასპინძის ბრძოლა, გვ. 47. იქვე მოცემული ცნობები კორპუსზე დახარჯული თანხების შესახებ. იხ. აგრეთვე Грамоты, I, გვ. 81.

⁶² Грамоты, I, გვ. XV, გვ. 224—226.

⁶³ Грамоты, I, გვ. XXIV.

⁶⁴ Сборник Имп. русского исторического общества, том X, с. 41.

გომში საგარეო და საშინაო ვითარების კიდევ უფრო დამძიმებამ ქართლ-კახეთის სამეფო კრწანისის ტრაგედიამდე მიიყვანა. მარცხი კრწანისთან ქართულ ისტორიოგრაფიაში სავსებით სამართლიანად შეფასებულია როგორც ლოგიკური შედეგი ჩვენი ქვეყნის შინაგანი სისუსტის და არა როგორც გამოვლინება იმჟამინდელი ირანის სიძლიერისა.

უნდა დავძინოთ, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობის მთელ მანძილზე ათასი ჯურის პრეტენდენტს საქართველოს სამეფო ტახტზე, ქართული სამეფო ხელისუფლების სხვა ქვეგამხედვარებს მეტად მეორეხარისხოვანი როლი ეკუთვნებოდათ რუსული დიპლომატიის კარდინალური ხაზის წარმართვის თვალსაზრისით. ასევე მხოლოდ უშედეგო მასლაათის დონეზე შეიძლება გავიაზროთ ზაალ ორბელიანის გასაუბრება რუს მოხელესთან ბაკუნიანთან: „იმან მითხრა: — არ იცი, ხელმწიფე მეფეს ერეკლეს უწყრებაო. მერმე მე უთხარი: — თუ მეფეს ერეკლეს უწყრება, ან რუსს ვისმე უბოძოს ქვეყანა და ან მეფეს სოლომონსაო“⁶⁵. ამასთან, მაინც გარე სამყაროში, უცხო, თუნდაც კეთილგანწყობილ სახელმწიფოში, ადგილობრივი სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა მომრავლება კვლავ ქვეყნის შინაგანი სისუსტის თვალსაჩინო სიმპტომია. ამავე დროს ქვეყნის „აღდგომა-გამოხსნის“ დიდ საქმეში ერეკლე მეფე მარტო არ არის. „ქართველ პატრიოტებს, — შენიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, — ღრმად ესმოდათ ის მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა რუსეთს ქართული პოლიტიკური იდეალის განსახორციელებლად (მტრული გარემოცვის გარღვევა). ისინი კარგად ერკვეოდნენ მახლობელ აღმოსავლეთში რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებში და ამიტომ მიიჩნევდნენ რუსეთის სახელმწიფოს თავის ყველაზე მეტად საიმედო მფარველად და მოკავშირედ“⁶⁶.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მხრიდან გადადგმულ იქნა რეალური ნაბიჯები იმისათვის, რომ საქართველო რუსეთის მფარველობაში შესულიყო. კერძოდ, წარუმატებლად დამთავრდა ერეკლეს ასეთი მცდელობა, როდესაც რუსეთ-თურქეთის ომის მიმდინარეობის დროს, 1771 წელს, მფარველობის აქტის გასაფორმებლად ერეკლემ რუსეთში მიავლინა თავისი ვაჟი ლევანი და კათალიკოს-პატრიარქი ანტონი.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის იმ საფეხურზე, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე საქართველოს რუსეთის მფა-

⁶⁵ იესე იესეს ძე ბაიათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ა. ნოსელიანის გამოცემა, თბილისი, 1950, გვ. 67.

⁶⁶ ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის „იმომხილველი“, ტომი III, გვ. 283.

რველობაში შესვლის წინააღმდეგ წარმოგვიდგება, კერძოდ 1782 წლის 21 დეკემბერს, სუხოტინთან და განსაკუთრებით კი ტოტლებენთან ურთიერთობის გამოცდილებით გაბეზრებული ერეკლე მეფე რუსეთის იმპერატორს სთხოვს — „რამდენადაც ჩემი შესაძლებლობების კვალობაზე მაგ ჩვენსკენ გამოგზავნილი ლაშქრის სარდლის რჩევის შესაბამისად უნდა გავისარჩო, ამდენად იმ მთავარსარდალმაც მიიღოს ჩემი რჩევები, რადგანაც საკმაო მონაცემები მაქვს აქაურ საქმეთა მდგომარეობა-ვითარების შესახებო“⁶⁷.

როგორც აღნიშნული იყო, შარლ დე გრაი დე ფუა საკმაოდ დაკვირვებული კაცი მოჩანს. მაგალითად, შეუნიშნავს ძველ საქართველოში და საქართველოს მთაში დღესაც დამკვიდრებული ჩვევა, რომლის მიხედვითაც მამაკაცი მამაკაცს სახეზე არ კოცნის⁶⁸. მასვე აღწერილი აქვს ქართველთა ჯდომის თუ ჭამის წესები. დე გრაის მიერ ანაზღვეულად აღწერილი ერთი პასაჟის მიხედვით კარგად ჩანს, რომ თბილისის მოსახლეობას 12 საათის დადგომას ზარბაზნის გასროლით ამცნობდნენ⁶⁹.

დე გრაის რელაცია რამდენადმე მემუარული ხასიათისაა და იქნებ მოწოდებული საქმეებისაგან უკვე ჩამოშორებული ფელდმარშალ კირილე რაზუმოვსკის ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. დე გრაის, როგორც მთავარიანი საქართველოს რელიეფს შეუჩვეველ კაცს, დროში მეტად გახანგრძლივებული გადაადგილება სამხედრო ნაწილის თუ ცალკეული ოფიცრებისა, გრძელ მანძილებზე გადაჰყავს. როგორც წესი, მის მიერ შემოთავაზებული დისტანციის განზომილებანი აშკარად გადაჭარბებულია. არ გვიცდია აგრეთვე შეგვესწორებინა თარიღები. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ დაშვებული შეცდომები მხოლოდ დე გრაის მიერ გრიგორიანული კალენდრით სარგებლობის შედეგი არ უნდა იყოს. კვლავ უფრო მტკიცდება აზრი, რომ რელაცია ზუსტი ინფორმაციის მოწოდების მიზნით არ არის დაწერილი, იგი მემუარული ხასიათისაა.

რელაცია, როგორც აღვნიშნეთ, პროფ. დ. ლანგს მიუყვლევიან საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის XX XI ტომში, სადაც დაცულია საქმეებში „რუსეთი 1760—1799“; სერიაში „მემუარები და დოკუმენტები“ რელაციას უკავია 50—68 გვერდები. დ. ლანგი შე-

⁶⁷ «Вопросы истории», № 7, 1983. Публикации, с. 110.

⁶⁸ ეს მომენტი, ალბათ, სანიტარული ჰიგიენის ისტორიის თვალსაზრისითაც საინტერესოა. ამავე დროს აღოს მინდორზე გიორგი უფლისწულისა და ტოტლებენის შეხვედრის დე გრაის მიერ აღწერილი ეს დეტალი უფრო სარწმუნოდ მიმაჩნია, ვიდრე მოურავოვის ცნობა, თითქოს იმავე შეხვედრისას ერეკლემ ტოტლებენი გადაკოცნა (იხ. Грамоты, I, გვ. 62).

⁶⁹ საქმე ეხება თბილისიდან ახალციხის ფაშის ელჩების გაპარების აღწერის მომენტს.

ნიშნავს, რომ რელაცია დაწერილია თანამედროვის ხელით; ძნელი სათქმელია, ასლია იგი თუ დედანი. მელანი ჩამდენადმე გაფერმკრთალებულია.

რელაციის ტექსტი საკმაოდ მარტივი ლექსიკით არის შედგენილი და მისი ქართულად თარგმნა სირთულეებთან არ იყო დაკავშირებული. ასევე საკმაოდ იოლი გახდა ამოცნობა პირთა საკუთარი სახელების, ტოპონიმების. წინამდებარე რელაციაშიც აისახა უცხოელი ავტორებისათვის ზოგადად დამახასიათებელი ნიშან-თვისება—დე გრაიც გურიას, მისი ფეოდალი მფლობელის, გურიელის სახელდებით მოიხსენიებს.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მახლობელი აღმოსავლეთის საქმეებით მუდამუჟამს დიდი დაინტერესების შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ფრანგი კაცის ფრანგულად დაწერილი რელაცია კედორსეს არქივსაცავებში აღმოჩნდა.

ქართულ-რუსული ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით რელაციის აშკარად პესიმისტური დაბოლოების მიხედვით ჩანს, რომ დაწერილია იგი გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატის დადებამდე. რელაციის დაწერის ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად გამოდგება 1777 წელი, რამდენადაც რელაციის ავტორმა იცის, რომ ვრეკლე შეფემ, დავით ერისთავის გარდაცვალების შემდგომ, საერისთავო ჩამოართვა მის ვაჟს. ეს ამბავი კი 1777 წელს მოხდა.

არ გამართლდა შარლ დე გრაი დე ფუას ვარაუდი, რომლის მიხედვითაც რუსეთისათვის საქართველოში შესასვლელი კარები სამუდამოდ დაიხშო. 1983 წელს ქართველმა ხალხმა, მთელ საბჭოთა ხალხებთან ერთად, ზეიმით აღნიშნა გეორგიევსკის ტრაქტატის, რუსეთის მფარველობაში საქართველოს შესვლის 200 წელი.

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი „საქართველოს ისტორიაში, — წერდა ნ. ბერძენიშვილი, — იყო უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი... საქართველო გაემიჯნა აზიურ (ოსმალურ-ყიზილბაშურ) ჩამორჩენილობას და გადაჭრით პირი მიიქცია პროგრესული ჩრდილოეთისაკენ“⁷⁰. მისივე სიტყვებით, ტრაქტატი პროგრესის ძალთა ეპოქალური გამარჯვება იყო.

⁷⁰ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბილისი, 1971, გვ. 179.

Handwritten header text, possibly a date or reference number, including "1899" and "No. 1000".

IN THE MATTER OF THE ESTATE OF [Name], Deceased
IN SENATE ASSEMBLY, 1899

Exhibit

1. [Name], [Address]
2. [Name], [Address]
3. [Name], [Address]
4. [Name], [Address]
5. [Name], [Address]
6. [Name], [Address]
7. [Name], [Address]
8. [Name], [Address]
9. [Name], [Address]
10. [Name], [Address]

Vertical handwritten notes or signatures on the left margin.

Handwritten signature or name, possibly "George W. ...".

Large handwritten signature or name at the bottom of the page.

Small handwritten text at the bottom left.

Small handwritten text at the bottom right.

Small handwritten number "269" at the bottom right.

რელაციის ქართული ტექსტი

1769 წ. საქართველოში რუსთა ლაშქრობის აღწერა რუსეთის სამსახურში მყოფი კაპიტნის, ბატონ მარშალ გრაფ რაზუმოვსკის შტაბის მთავარი კვარტირმეისტერის, გენერალ გრაფ ტოტლებენის ყოფილი ადიუტანტის ბატონ დე გრაი დე ფუასი.



თურქთათვის თავისი იარაღის უპირატესობა რომ ეგზოტობინებინა, რუსეთმა დასახა გეგმა, თურქთა წინააღმდეგ ორი არმიისა და ფლოტის გამოყენებით შეეტია მათთვის აზიასა და ევროპაში. რუსეთმა ირწმუნა, რომ შეძლებდა, დაეყოლიებინა ქართველი მეფეები, გამოეცხადებინათ თურქებისათვის ომი.

გეგმა თუ კარგად იყო ჩაფიქრებული, იგი უკიდურესად ცუდად იქნა შესრულებული. გამოყენებული რაზმების სიმკაცრე, მათი ცუდი დისციპლინა, მათი მეთაური ორი გენერლის ხასიათი, ყველაფერი ეს ხელს უწყობდა იმ ლაშქრობის წარუმატებლობას, რომლის შედეგად შეიძლებოდა მნიშვნელოვანი სარგებლობისათვის მიეღწიათ.

საქართველო დაყოფილია შვიდ პროვინციად. კახეთი და ქართლი ეკუთვნის მეფე ერეკლეს, იმერეთი — მეფე სოლომონს, სამეგრელო — მთავარ დადიანს, გურია ეკუთვნის მთავარს, რომელიც ცნობილია გურაილის სახელით. გურჯისტანი და ჯავახეთი თურქებს ეკუთვნიან².

ერეკლეს დიდი ხანია ზავი ჰქონდა დადებული თურქებთან. იგი სრულიად თავისუფალი, დამოუკიდებელი იყო, არავითარ ხარკს არ იხდიდა და მათთან სრულ თანხმობაში ცხოვრობდა³.

ტყეებში მოხეტიალე, ლტოლვილმა სოლომონმა ორი ომი გადაიხადა. დიდი ხნის წინათ თურქებმა მას წაართვეს ქალაქი ქუთაისი, მისი ქვეყნის ერთადერთი ქალაქი. შორაპნის ციხე-სიმაგრეც ასევე მათ ხელთ იყო. მას აუჭანყდა თავადი ერისთავი. ეს თავადი თურქებს მოუტივდა. მას უნდა მიეცა მათთვის დიდი ხარკი, ხოლო თურქებმა აღუთქვეს, რომ სრულიად განდევნიდნენ სოლომონს იმერეთიდან და ერისთავს მამულს დაუბრუნებდნენ⁴. სოლომონს კი თავის

ხელქვეით დაახლოებით ათას ხუთასი კაცი ჰყავდა, რომელთა შემოვლით ილტვოდა და თავს იცავდა.

დადიანი ხარკს უხდიდა თურქებს და საკმაოდ დაწყნარებულად ცხოვრობდა თავის სოფლებში, ვინაიდან თავის საბრძანებელში არც ერთი ქალაქი არ გააჩნდა. მთლიანად თურქებზე მინდობალი, იგი იძულებული იყო იმ გზას დასდგომოდა, რასაც გადაუწყვეტდნენ. როგორც პოლიტიკურად, ისე იარაღით მან სოლომონის წინააღმდეგ ამბოხებული ერისთავის მხარე დაიკავა.

გურიელს, რომელიც ქრისტიანის სახელს ატარებს, მავრამ სავსებითაა დაყმევებული თურქთაგან, ამ ომში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია.

სოლომონმა, რომელსაც აღარ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია თავისი მტრებისათვის, თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადაწყვიტა ესარგებლა იმით, რომ თურქებს ომი ჰქონდათ რუსებთან. მან თავს იღო, რომ შეუერთდებოდა რუსებს და შეუტევდა თურქებს აზიაში.

რუსეთში არ იცოდნენ სოლომონის საქმეთა ქეშმარიტი ვითარება და ამ საქმეებში გასარკვევად ყიზლარიდან გაგზავნეს თავადი ქვაბულოვი, ჰუსართა ლეიტენანტი, წარმოშობით ქართველი, რომელსაც მხოლოდ ის ღირსება ჰქონდა, რომ ქართულ ტყაზე ლაპარაკი შეეძლო. ამ ახალგაზრდას ნაბრძანები ჰქონდა, მიმოეხილა ის ადგილები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა არტილერიით გაეღა. აღნიშნული ვითარებისა და აგრეთვე სოლომონის სამხედრო ძალის შესახებ მას ანგარიში უნდა წარედგინა სამეფო კარისათვის.

ქვაბულოვი კარგად მიიღეს იმერეთში. იგი დაასახლეს და ამ ქვეყნის პატრიარქთან ერთად კვლავ რუსეთს გაისტუმრეს. ეს პატრიარქი იყო რაღაც ელჩისმაგვარი, რომელსაც სოლომონი გზავნიდა პეტერბურგს 1769 წლის დასაწყისში, რათა შევედრებოდა რუსეთს, აღმოეჩინა მისთვის ერთგვარი შემწეობა. სანაცვლოდ იგი სთავაზობდა, რომ თავის სამფლობელოებს რუსეთის დედოფალს დაუმორჩილებდა.

ქვაბულოვმა ჭარბი აღმატებით აღწერა სოლომონის სამხედრო ძალები. მისი აღწერის მიხედვით, პური, ღვინო, ხორცი, პირუტყვის საკვები ყველაფერი უხვად იყო. მან გადააკარბა. მისი ანგარიში ვერ მიიჩნეეს სარწმუნოდ. მსგავსადვე აღწერა მან პუნქტები, გადასასვლლები, დაბლობები და მთები. ყველაფერი წარმოდგენილი იყო ხელსაყრელ ვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ამ ანგარიშისა არაფერი დაიჯერეს, მაინც იმედოვნებდნენ, გაძოყვენებით ეს ლაშქრობა, მოეწყობათ თურქების წინააღმდეგ დიდმნიშვნელოვანი დივერსია.

ასტრახანში სამი ასეული ჩამოაყალიბეს — ქვეითების, დრაგუნებისა და ჰუსარებისა. ამ სამი ასეულის მეტაურობა დაეკისრა მაიორ რემენნიკოვს. უბრალოდ რომ ვთქვათ, ეს ასეულები გამიზნული იყო „ნადვორნი სოვეტნიკის“, თავადი მოურავოვის თანხლებისათვის⁸. მოურავოვი უნდა გაჰყოლოდა პატრიარქს იმერეთში, დაკვირვებით შეესწავლა იმერეთი, დაედო ხელშეკრულება სოლომონთან, დაეახლოვებინა ერთმანეთისათვის ერეკლე და დადიანი და დაეყოლიებინა ისინი, სოლომონთან ერთად შეკავშირებულიყვნენ თურქების წინააღმდეგ. აი ეს დაეკისრა მოურავოვს. აღნიშნულის შესაბამისად იმერეთის პატრიარქთან ერთად იგი გაემგზავრა მოსკოვს. კარგახნის მგზავრობის შემდეგ ისინი ჩავიდნენ მოსკოვში და ერთი თვე დაჰყვეს იქ.

ყველაფერი ეს მოხდა იმ დროისათვის, როდესაც რუსეთში ჩამოვიდა გრაფი ტოტლებენი და კვლავ იქნა მიღებული სამსახურში⁹. მიუხედავად იმისა, რომ გრაფი ზაქარია ჩერნიშოვი ამისი წინააღმდეგი იყო¹⁰, ჩერნიშოვმა, რამდენადაც ვერ გადაწყვიტა, რომელ არმიაში გაემწყვდებინა იგი, მას დააკისრა მეტაურობა იმ ჯარისა, რომელიც საქართველოსკენ უნდა წასულიყო. ეს უნდა მომხდარიყო არაუადრეს თავადი მოურავოვის დაბრუნებისა. მაგრამ ტოტლებენმა, რომლისთვისაც პეტერბურგში ყოფნა აუტანელი იყო, ითხოვა ნება-ართვა, გამგზავრებულიყო ყიზლარს და იქ დალოდებოდა დროს, როდესაც საქართველოსკენ უნდა დაძრულიყო, და ამ მოლოდინში შემზადებულიყო. მეტად მოხარულნი იყვნენ მისი თავიდან მოშორების და გამგზავრების ნება დართეს.

ასტრახანში ჩასული ტოტლებენი მეტად განცვიფრებული დარჩა, როდესაც შეიტყო, რომ თავადი მოურავოვი და პატრიარქი ჯერ იქ არ მისულიყვნენ. მან პეტერბურგში მისწერა, რომ იტვირთებს მხარის შესწავლის საქმეს. შემდეგ, ისე რომ პასუხისათვის არ დაუცდია, ასტრახანის გუბერნატორს გამოსთხოვა ორი პატარა ზარბაზანი და ყიზლარს წავიდა¹¹. იქ მან შეაესო ჰუსართა ასეული, რომელიც ჯერ მზად არ იყო და მოზღოკისაკენ გასწია. თან წაიყვანა ჰუსართა პოდპოლკოვნიკი თავადი რატიევი, წარმოშობით ქართველი¹².

მოზღოკი დაშორებულია ყიზლარიდან 180 ვერსით. ორ ქალაქს შორის სახლობენ გრებენსკელი კაზაკები¹³. გრაფმა ტოტლებენმა თან წაიყვანა ამ კაზაკების ერთი რაზმი.

ტოტლებენი მზად იყო მოზღოკიდან გასასვლელად, როდესაც შეიკრიბა პეტერბურგიდან მას მოუტანა ნება-ართვა საქართველოსკენ დაძვრის შესახებ. თავად მოურავოვთან ერთად მას საბოლოოდ უნდა დაეყოლიებინა ერეკლე, რომ თურქებისათვის ომი გამოეცხადე-

ბინა. შემდეგ დანიშნულებისამებრ ერთად უნდა წასულიყვნენ იმე-
რეთს.

მაიორი რემენნიკოვი ჯერ არ იყო მოსული ქვეითი ჯარის ასეუ-
ლით, დრაგუნების ასეულითა და ასტრახანში გამოთხოვილი ორი ზარ-
ბაზნით, მაგრამ ტოტლებენს მოთმინება დაეღია; თან იახლა 30 ჰუ-
სარი, ოცი კაცი ყიზლარის გარნიზონიდან, გრებენსკელი კაზაკების
ასეული, მოზდოკის ორი პატარა ცული ზარბაზანი, წავიდა და მაიორ
რემენნიკოვს დაუტოვა ბრძანება, რომ აჩქარებულიყო და რამდენა-
დაც შესაძლებელი იქნებოდა, მალე შეერთებოდა მას.

ამ რაზმის თანხლებით გადალახა ტოტლებენმა თერგი 1769 წ.
24 აგვისტოს და მივიდა ყაბარდოში, რომელიც დაშორებულია მოზ-
დოკიდან დაახლოებით 120 ვერსით¹⁴. ამ ხალხებმა იფიქრეს, რომ
მათ ქვეყანაზე თავდასხმას აპირებდნენ, მაგრამ თავადმა რატოევმა
ისინი დაამოშინა. ჩვენ წავედით მცირე ჩერქეზეთში, რომელიც
მხოლოდ 80 ვერსითაა დაშორებული იქიდან.

ის ხალხები, რომელთაც რუსები მცირე ჩერქეზეთის მცხოვრებლებს
უწოდებენ, ყოველ 15 ან 20 წელიწადში სამოსახლოს იცვლიან. ისი-
ნი აგებენ თავის სახლებს ხის ტოტებისაგან, რომლებსაც თიხნარი
მიწით ლესავენ. სახლებს გარედან და შიგნიდან ათეთრებენ. როდე-
საც ეს სახლები დანგრევის პირად მიღებიან და მწვა შემოგარენში
გამოიფიტება, ისინი ანგრევენ თავის სოფლებს და სხვაგან მიდიან
მათ ასაგებად. იმ ადგილზე, სადაც ცხოვრობდნენ, თესავენ ფეტვს.
ამასთანავე ისინი შორს არ მიდიან თავისი წინაპრების სამარხებიდან,
რომლებიც აგებულია უხსოვარ დროს ლოდებისაგან¹⁵.

ბოლოს, მერვე დღის დამლევს, მივაღექით კავკასიის მთის ძირს.
დაბლობები, რომლებიც ჩვენ გამოვიარეთ მოზდოკსა და კავკასიონს
შორის, ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია აზიაში, მაგრამ აქ მოსახლე
ხალხები მხოლოდ ძარცვა-რბევით ცხოვრობენ. ისინი ტაცებენ გან-
საკუთრებით რუსებს იმდენს, რამდენიც ძალუძთ და შემდეგ ყვე-
ლაფერ ამას ყუბანელებზე ჰყიდიან. მათ დიდი რაზმები ჰყაფთ. ამას-
თანავე ყაბარდოელთა ქვეყანაში განსაკუთრებით კარგი ცხენებია.

პირველი ხალხი, რომელიც ჩვენ ვიხილეთ კავკასიონის მთებში
შესვლისას, იყვნენ ოსები. მათ წინამძღოლს ეწოდებოდა თემირ
სულთანი. გავეიჭირდა დაგვეყოლიებინა იგი, რომ გავეტარებინეთ.
თავადმა რატოევმა დაითანხმა იგი, მისცა ძღვნად თემისათვის ორასი
არშინი ტილო. მაშინ მან მოგვამარაგა ცხენების საყვებით, რაც ჩვე-
ნთვის აუცილებელი იყო. იძულებულნი გავხდით მრავალი ხიდი გა-
გვეწყო თერგზე, რომელიც თერთმეტჯერ გადავლახეთ, ვიდრე მივა-
ღწევდით მის სათავეს. უფრო შორს ჩვენ ვნახეთ სოფელი ოსეთინ-
ცებად წოდებული ხალხისა. მათ ბელადს თუ ბატონს აჰმედი ეწოდე-

ზოდა. ეს უკანასკნელი ცოტათი უფრო დამყოლი აღმოჩნდა, ვიდრე თემირ სულთანი. შიუხედავად ამისა, მისთვის მრავალი არშინი ტილოს მიცემა დაგვიკირდა, ვინაიდან იბულებულნი გავხდით ჩამოგველო ზარბაზნები ცხენებიდან და ოსეტარცებმა გადაიტანეს ისინი სტეფანწმინდამდე, რომელიც კაცასიონის მთის შუაგულში მდებარეობს¹⁶. ეს ხალხები სრულებით არ იცნობენ მოკრილ ფულს. ყოველგვარი სამსახური, რომელიც მათ გავვიწიეს, ანაზღაურებული იქნა მუდითა და ტილოთი. ამის სანაცვლოდ ისინი გვაძლევდნენ შესაბამისი ოდენობის სახმელ-საჭმელს. სწორედ ამ დროს შემოგვიერთდნენ თავადი მოურავოვი და იმერეთის პატრიარქი. ისინი განცვიფრდნენ, როდესაც ნახეს, რომ გრაფ ტოტლებენს ეტვირთა ორი უმაქნისი ზარბაზანი. მათ განუმარტეს მას, რომ ეს ტვირთი მით უფრო შემაფრთხებელი იყო, რამდენადაც ჩვენ სრულიადაც არ მივდიოდით საომრად, რომ ჯერ მხოლოდ მხარე უნდა შეგვესწავლა, ხოლო საჭირო რაოდენობის არტილერიას გამოვიწვევდით შექმნილი მდგომარეობისა და შესაძლებლობის მიხედვით.

ტოტლებენმა უპასუხა, რომ ეერავის ხედავს ისეთს, რომელსაც თავისი მოქმედების ანგარიში უნდა ჩააბაროს და რომ თუ ხელსაყრელი ვითარება შეიქმნება, ომს დაიწყებს. ამიერიდან გრაფ ტოტლებენსა და თავად მოურავოვს შორის განხეთქილება ჩამოვარდა, კმათი გახშირდა და ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა, არაფერში ჩარეულიყო.

გრაფმა ტოტლებენმა თბილისს გვზავნა თავადი რატივერი, რათა ეცნობებინა ერეკლესათვის, რომ მოემართება ხუთსაკაციანი კორპუსით, რომელსაც მალე ათას ხუთასი კაცი მოჰყვება. იგი სთხოვდა მას ნებართვას, გაეელო მისი ქვეყნის ნაწილი იმერეთში გადასასვლელად, სადაც უნდა მისულიყო დანიშნულებისამებრ. იგი მტკნარ ტყუილს ამბობდა, ვინაიდან ასორმოცდაათ კაცზე მეტი არ ჰყავდა, ხოლო რემენნიკოვს, რომელიც ჯერ არ მოსულიყო, თავის განკარგულებაში მხოლოდ სამასი კაცი ჰყავდა.

ვიდრე წინ დავიძვრებოდით, საჭირო იყო დავლოდებოდით თავადი რატივერის დაბრუნებას, ვინაიდან უკვე ერეკლეს ქვეყანაში ვიყავით. სწორედ სტეფანწმინდაში იწყება ამ ქართულ ბატონის სამფლობელო. მან თავის ქვეშეკრძობებად აქცია კაცასიონის ამ მხარეს მცხოვრები ხალხები, რომლებსაც მითულები ეწოდებოდა. მან იმ რამდენიმე ქართული სოფელიც კი დააფუძნა. ამ სოფლებში პირველთაგანი სტეფანწმინდაა. სწორედ აქ იჯდა ვინმე სახელად ყაზბეგი, ვაწმუნებული ერეკლეს მიერ ამ სოფლების ერთი ნაწილის გამოგებად¹⁷.

სტუფანწმინდიდან 10 ვერსზე არის ერთი მშვენიერი ვაკე-ადგილი, რომელსაც ბეკასების ველი ანუ ქართულად ადოს მინდორი ეწოდება¹⁸. ჩვენ იქ 10 სექტემბერს მივალწვიეთ. ეს ვაკობი შეიძლება კავკასიონის შუაგულად მივიჩნიოთ. იგი მაღალი ჰეობითაა შემოჭარული. ისწორედ აქედან იღებს სათავეს ორი მდინარე: თერგი, რომელიც დაკლავნილია ოსეტინეებისა და ოსების ქვეყნების მთებში, თითქმის სწორხაზოვნად ვადაჰკვეთს მცირე ჩერქეზეთსა და მცირე ყაბარდოს, ჩაუვლის მოზდოკს, ყიზლარს და მიედინება, რომ შეუერთდეს კასპის ზღვას. მეორე მდინარეა არაგვი, რომელიც მთიულებით დასახლებულ კავკასიის ჩორე ნაწილს რწყავს, ვადაჰკვეთს, საქართველოს და ასევე კასპის ზღვას ერთვის ვილანის მახლობლად¹⁹.

კავკასიის მთებში მოსახლე ხალხები ასევე ძარცვა-რბევით, ცხოვრობენ. ისინი იკრიბებიან ოცი-ოცდაათი კაცის რაოდენობით და მიდიან სათარეშოდ, რამდენადაც შესაძლებელია, შორს მათი სამოსახლოებიდან. ისინი ტყვეებს იჭერენ და შემდეგ ჰყიდიან, ან უკეთ რომ ვთქვათ, ცვლიან მათ. ერთი უბრალო ადამიანის ფასად დაწესებულია 40 ხარი. ერთი ხარი ოცდაათიდან ას ცხვრამდე ღირს. ცხენი ადამიანზე ძვირად ფასობს. თავისი სოფლების შემოგარენში მათ აქვთ დასამუშაველად ვარგისი, საკმაოდ მოვაკებული ადგილები. აქ ისინი თესენ ქერსა და ღომს. ქერს იყენებენ ცხენებისათვის, ღომს ხმარობენ ადამიანების საკვებად. ისინი აკეთებენ რაღაც რძის ფაფის მავვარს, მაგრამ მათი ჩვეულებრივი საკვები არის ცხვრის ხორცი.

მაიორი რემენიკოვი რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა. მის რაზმებს მისცეს დრო დასასვენებლად. ბოლოს დაბრუნდა რატიევი და გვაცნობა, რომ მეფე ერეკლე თვით მოემართებოდა გრაფ ტოტლებენთან შესახვედრად. მას პირადად სურდა გულდაჭერებით გარკვეულიყო, ხომ არ ქმნიდა რაიმე საფრთხეს უცხოელთა ლაშქრის ყოფნა მის ქვეყანაში. მაგრამ იგი დამშვიდდა, როდესაც იხილა ერთი მუჰა ჯარისკაცებისა, რომელთა რაოდენობა ხუთასს არ აღემატებოდა, მაშინ, როდესაც არწმუნებდნენ, რომ იქ 2000 ჯარისკაცი იყო.

მათი შეხვედრა მეტად თავისებური იყო და ღირს ამ ამბის მოთხრობა. როდესაც გრაფმა შეიტყო, რომ ერეკლე მოუახლოვდა, იგი მაშინვე გაემართა მის შესახვედრად სამი თუ ოთხი ოფიცრის თანხლებით, რომელთა შორის იყო რატიევი. მას ეგონა, რომ მაშინვე შევიდოდა მეფის ჩარდაში, მაგრამ მეტად განცვიფრებული დარჩა, როდესაც მას გამოეგება თორმეტამდე ქართველი დიდებული ხელში დიდი თეთრი კვერთხებით. მდებალი სალამი მისცეს და მისთვის გამზადებულ კარავში შეიპატიჟეს. გრაფმა უპასუხა, რომ სუფთა ჰაერზე ყოფნას არის დაჩვეული. წავიდა და მთის ძირში დაჯდა. მიუტა

ნეს ღვინო, ხილი და სხვა პირის გასასვლელბელი საჭმელი, რაც მან მიიღო და მისცა 10 მანეთი, ვინც ყველაფერი ეს მოიტანა. შემდეგ ყველაფერი ეს დაანაწილებინა თავისი თანმხლები ოფიცრებისა და ჰუსარებისათვის. ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა ოთხი ქართველი დიდებული, რათა მისალმებოდნენ მას ერეკლეს სახელით, მის მოსვლასთან დაკავშირებით. გრაფი განცვიფრებული იყო. მას წარმოადგენა არ ჰქონდა, რომ პატარა აზიელი ხელმწიფე ესოდენ ძნელი სანახავი იყო²⁰. საათზე მეტი იცადა და უყვან გაბრუნდებოდა, თავად რატიევს რომ არ შეეკავებინა. ბოლოს მას განუცხადეს, რომ შეეძლო წარსდგომოდა მეფეს. თორმეტი ქართველი თეთრი კვერთხებით ხელში წინ უძღვოდა მას.

ერეკლე სპარსული სახის ლამაზ ჩარდახში იყო. ჩარდახს ბევრი ხალხი ეხვია, მაგრამ ახლოს არავინ მიდიოდა. ოცდაათ ნაბიჯზე თეთრ-ხელჯობანები თვალყურს ადევნებდნენ, რომ არავინ მოახლოვებულყო. გრაფი და მისი თანმხლები ოფიცრები შეუშვეს ამ რკალში, მაგრამ ჰუსარები და კაზაკები ერთ ჯგუფად შეაკავეს. როდესაც ტოტლებენმა ჩარდახის წინკარს მიადწია, მას წარუდგა ერეკლეს ვაჟი. ტოტლებენი გადაეხვია მას, რამაც განაცვიფრა ეს ყმაწვილი კაცი, ვინაიდან ჩვეულება იმისა, რომ მამაკაცები ერთმანეთს გადაეხვიონ. საქართველოში ჯერ მიღებული არ არის. შემდეგ კარებში მას დახვდა ერეკლეს ბიძა, საქართველოს პატრიარქი²¹. გრაფმა მოინდომა გადახვეოდა მას, მაგრამ პატრიარქმა უკან დაიხია, პირჯვარი გადასახა მას და პირველი შევიდა ჩარდახში. ტოტლებენი შეჰყვა მას. ერეკლე ნოხებზე იჯდა. იგი წამოდგა, როდესაც დაინახა, რომ გრაფი შემოდიოდა. გვერდით მოისვია. დასხდნენ პატრიარქი და ერეკლეს ვაჟიშვილიც. დასვეს თავადი რატიევიც, ხოლო ჩვენ გარეთ დავრჩით.

„ვფიქრობ, — უთხრა ერეკლემ ტოტლებენს, — რომ კავკასიონის გადმოსასვლელი საკმარად ძნელი გეჩვენათ (უნდა შევნიშნო, რომ თარჯიმნობდა თავადი რატიევი)“. „ბევრად უფრო ძნელი გადასასვლელები მიხილავს — უპასუხა ტოტლებენმა. სამხედრო სამსახურში ვარ ბავშვობიდან. მოვლილი მაქვს მთელი ევროპა და დაღლას სავსებით კარგად ვიტან.“ შემდეგ ყოველგვარი მოკითხვების გარეშე, მაშინვე საქმეზე გადავიდა. „მე მოვედი, დაუბრუნო მან, ჩემი ხელმწიფის, იმპერატორის სახელით, რათა გთხოვოთ თქვენ სამი რამ: პირველი თხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ გავგატაროთ თქვენს სამფლობელოზე იმერეთში წასასვლელად, რათა შეგუერთდეთ მეფე სოლომონს, რომელიც გველოდება და რომელთანაც ერთად თურქებს უნდა შევებრძოლოთ. მეორე თხოვნაა აგრეთვე, რომ თქვენ ქვეყანაში ხელმისაწვდომ ფასებში ნება დავგვერთოს შევიძინოთ პური,

ხორცი, თივა და, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც საჭიროა ჩვენი რაზმების შესანახად. დაბოლოს მესამე — დავალებული მაქვს შეგეკითხოთ, ხომ არ ისურვებდით შეუკავშირდეთ რუსეთის იმპერატორს და მასთან ერთობლივად შეუტით თქვენს მეზობლად მყოფ თურქებს. ვამედოვნებ, რომ ჩვენ მათ იოლად გავლენით ამ ქვეყნიდან და ყველა გამარჯვება, რომელსაც მოვიხვევთ, თქვენ მოგეკუთვნება.“²²

ერეკლეს პასუხი მეტად ჭკვიანური იყო. „ბატონი ბრძანდებით, — უპასუხა მან, გაიარეთ ჩემს სამფლობელოზე. იგი იმპერატორის მფარველობის ქვეშაა და არაფერი უფლება მაქვს წინ აღვიდგეთ, მაგრამ ვშიშობ, თქვენს ვარაუდში არ მოჭყუვდეთ. იმ ხეტში თქვენ ვერ ნახავთ რაიმე მნიშვნელოვან რესურსებს თქვენი აზმების გამოსაყვებად და ასევე თქვენი გეგმების შესრულების შემწეობისათვის. მაშინ შეგიძლიათ დაბრუნდეთ ჩემთან, როდესაც მოგესურვებათ. მიგიღებთ სიამოვნებით, როგორც მოკავშირეს, რომელსაც პატივს ვცემ უსახლგროდ. რაც შეეხება საკვებს, რომელიც თქვენ გეჭირვებათ იქ ყოფნის განმავლობაში, მე მას უფასოდ მოგაწვდით. მე არ დავუშვებ, რომ თქვენ რაიმე მოგყიდონ. თქვენ მხოლოდ ითხოვეთ და მე მოგართმევთ ყველაფერს, რასაც მოისურვებთ. თუ თქვენ, ჩემი წინასწარმეტყველებისამებრ, იძულებული გახდებით დაბრუნდეთ, მაშინ მე გავცემ განკარგულებას, რომ ყველაფერი მოგყიდონ ზომიერ ფასებში და დავაწესებ ფასს; რომელსაც თქვენ თვითონ მიკარნახებთ.“

რაც შეეხება თქვენს მესამე წინადადებას, იგი მეტად ფაქიზად მოსაპყრობ საქმეს ეხება. ეკვი არ მეპაარება, რომ თქვენ იმპერატორის მიერ ხართ უფლებამოსილი, რომ წამომიყენოთ წინადადება, რომელიც ჩემთვის მხოლოდ სელსაყრელი შეიძლება იყოს, მაგრამ ჩვენ ამას შესახებ გარკვეული დროის შემდეგ ვისაუბროთ ხანგრძლივად. მე თვითონ მიგიძღვებით ჩემს ქვეყანაში და თქვენს დაქანცულ რაზმებს შეეძლებათ აქ დასვენება“.

ტოტლებენმა უპასუხა, რომ უაღრესად ისწრაფვის იმერეთს გამგზავრებას; რომ აღჭურვილია იმპერატორის ფიცხელი განკარგულებით, არაფერი მიიღოს ფულის გარეშე; რომ სთხოვდა მის უდიდებულესობას, რაც შეიძლება სწრაფად მიიღოს გადაწყვეტილება, ვინაიდან მას სრულებით არ სურს დაჰკარგოს დრო, რომ იგი იმედოვნებს ლაშქრობის დასასრულამდე წარსტაცოს თურქებს რამდენიმე ქალაქი. „უკვე კარგი დროა გასული, უპასუხა ერეკლემ (მართლაც, უკვე 15 სექტემბერი იყო), ხოლო აზიური წესით სტუმრები ისე უნდა იქნენ მიღებული, რომ მათ ყველაფერი უსასყიდლოდ მიეცეთ. ყოველ შემთხვევაში, იმერთამდე მე ვალდებული ვარ უზრუნველყოთ ყოველ-

გვარი ხარჯებისაგან“. ამ საუბრის დროს მოჰქონდათ ყავა, ჩაი და ლიქიორები. ბოლოს ტოტლებენი წამოდგა და ერეკლეს გამოეთხოვა. „სად მიხვალთ?—უთხრა ამ უკანასკნელმა, ერთად ვივანშმოთ და ხვალ დაბრუნდებით თქვენს ლაშქარში“. „ეს შეუძლებელია, — მოუჭრა გრაფმა, — გენერალმა მხოლოდ თავის ბანაკში უნდა დაიძინოს. ჩემი წასვლა აუცილებელია“. ერეკლემ აღარ დაიჟინა, ტოტლებენი წამოვიდა და ერთადერთი, ვინც იგი ჩარდახიდან გამოაცილა, იყო ერეკლეს უფროსი ვაჟი, ბატონიშვილი გიორგი²³.

გრაფი მეტად უკმაყოფილო დაბრუნდა. მას ეგონა, რომ საქმე ექნებოდა მასაგით აჩქარებულ კაცთან, რომელიც მიიღებდა მის წინადადებას და მის განხორციელებასაც უმაღლე შეუდგებოდა. ერეკლე კი ფიქრობდა და არ სურდა ეტვირთა რაიმე, ვიდრე პირადად არ ვიხილავდით, რომ სოლომონი დაიძრა თავისი ქვეყნიდან ჩვენს მხარეში ამოსადგომად.

მეორე დღეს მიღებულ იქნა ახალი ცნობები სოლომონის შესახებ. იგი გვაცნობებდა, რომ ბედი ეწია და წარმატებით დაასრულა ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდა მისი ქვეყნის თავადთან, ერისთავთან. მან იგი შეიპყრო, თვალები დასთხარა, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ მოაკვლევინა.

გრაფმა გააგზავნა პატრიარქი და თავადი მოურავოვი. ამ უკანასკნელს დაევალა, აუცილებლად ეთქვა სოლომონისათვის, რომ ჩვენ მოგმართებით ორი ათასი კაცი რაოდენობით.

ერეკლე ჩვენს სანახავად შესამე დღეს მოვიდა, მთელი თავისი ამალით იგი ჩვენგან ნახევარი მილის მანძილზე დაბანაკდა. ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყეს. გაუმართეს სადილი. ჩატარდა რამდენიმე თათბირი, სადაც ვაირკვა, რომ ერეკლე სიამოვნებით თანხმდებოდა, გამოეცხადებინა თურქებისათვის ომი, მაგრამ სურდა, რომ ამ საქმის თაობაზე იმპერატორს მისთვის პირადად მოეწერა. იგი მოითხოვდა, რომ დედოფალს გამოეგზავნა 8 ათასი კაცი კარგად აღჭურვილი არტილერიით და რომ ყველა გამარჯვება, რომელსაც მიაღწევდნენ, მხოლოდ მას მიკუთვნებოდა²⁴. ბოლოს თავადი რატიევი პეტერბურგში გააგზავნეს. ერეკლე დაბრუნდა თბილისში, ხოლო ჩვენ განვაგრძეთ გზა იმდენად სწრაფად, რამდენადაც შეგვიძლო.

ტოტლებენი ხელაღდა, რომ იმ მცირე ოდენობის ხალხით, რომელიც მას ჰყავდა, შეუძლებელი იყო რაიმეს წამოწყება. მან მისწერა ასტრახანის გუბერნატორს, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მალე გამოეგზავნა მისთვის მაშველი ჯარი.

ბოლოს ანანურს მივალწიეთ. ეს პირველი ქალაქია საქართველოსი, რომელიც მღებარეობს კავკასიონის გადაღმა. ზარბაზნები კვლავ ლაფტებზე დავაყენეთ და გავემართეთ მეორე ქალაქ ღუშეთისაკენ,

რომელიც მხოლოდ 50 ვერსითაა დაშორებული ანანურიდან. ეს ორი ქალაქი, მეტად პატარა. მათი შემოგარენი ნანგრევებს წარმოადგენს. თათარი ლეკები ხშირად გამოდიან თავისი მთებიდან, ატყვევებენ მცხოვრებლებს, რომლებიც ოდნავ დაშორდებიან თავის ქალაქს, და თურქებზე ჰყიდიან მათ.

დღეშეთიდან მუხრანამდე დაახლოებით 80 ვერსია. მიუხედავად იმისა, რომ თათრები ხშირად დათარეშობენ ქალაქის გარშემო, ქალაქის შემოგარენი მანკე უკეთაა და მუშავებული, ვინაიდან აქ უფრო მეტი მცხოვრებია, რომელთაც თათართა თავდასხმის შემატყობინებელი განგაშის პირველსავე ხმაზე შეუძლიათ ამხედრდნენ ცხენებზე და დაედევნონ მათ.

მუხრანიდან ლამისყანამდე 120 ვერსია. ეს პატარა ქალაქი მთის ძირში მდებარეობს და ისევე გაძარცულ-ვაუჟაცრიელებულია, როგორც დუშეთი. აქედან მივდივით მეჯვრისხევის²⁵, რომელიც ლამისყანიდან 30 ვერსითაა დაშორებული და სადაც ასევე ცუდი მდგომარეობაა. ბოლოს, აქედან 40 ვერსის მანძილზე ვიხილეთ ქალაქი ცხინვალი, ყველაზე დიდი ქალაქი, რომელიც ჩვენ შემოგვხვდა. შემდგომში შესაძლებლობა მექნება მოგითხროთ მის შესახებ, ვინაიდან ჩვენ იქ გამოვიზამთრეთ. ამჯერად ჩვენ იქ სრულებით არ შევჩერებულვართ და განვვარდეთ გზა აბისისაკენ, რომელიც აქედან 30 ვერსითაა დაშორებული და უკანასკნელი ქალაქია, რომელიც ეკუთვნის ერეკლეს²⁶.

ბოლოს ჩვენ დაეტოვეთ ქართლი და შევედით იმერეთში. 60 ვერსი განვვლეთ ისე, რომ კაცი არ შეგვხვდებოდა. რამდენიმე ნასოფლარი ადასტურებდა მხოლოდ, რომ ეს ქვეყანა დასახლებული ყოფილა.

თავადი მოურავოვი წინ მიგვიძღვოდა. ისე გადავიარეთ ტყით შემოსილი მთები, რომ არც ერთი ვაკე ადგილი არ გვინახავს. ბოლოს, მას შემდეგ, რაც მეტად ვიწრო გზებით გავიარეთ 200 ვერსამდე, სადაც ჩვენი არტილერია, მიუხედავად მისი სიმცირისა, გაჭირვებით გადიოდა, შემოგვხვდა მეფე სოლომონი, რომელიც ჩვენს შემოსაგებებლად მოდიოდა. ამ მეფის დატაკურმა იერმა, მისმა სამოსმა, თანმხლებმა ამაღამ მის შესახებ შეგვიქმნა იმის შესაბამისი შეხედულება, რაც ერეკლემ უკვე წარმოგვისახა.

სოლომონს არც ერთი ქალაქი არ გააჩნდა. დაახლოებით 1500 კაცით ტყეში ლტოლვილი იგი 15 დღეზე ხანგრძლივად ერთი და იგივე ადგილას არ ბანაკდება იმის შიშით, რომ თურქებმა არ მოახელონ. თვით თავის ქვეშევრდომებში დაეჭვებული, იგი ყაჩაღების წინამძღოლს უფრო ჰგავდა, ვიდრე ხელმწიფეს²⁷. დაახლოებით 40 წლისა იყო. მისი ხასიათი საკმაოდ ემსგავსებოდა გრაფ ტოტლუბენი-

სას. თავდაპირველად ყოველწლიურად დაუწყეს ერთურთს მეგობრობის დამტკიცება და ამავე დროს ერთმანეთს არ ენდობოდნენ. გრაფი ამბობდა, „როგორც ვხედავ, ამ ქვეყანაში მე არაფერი მესაქმება, ვინაიდან სოლომონს არ ძალუძს მხარი ამიბასო“. სოლომონიც იგივეს ამბობდა — „ეს კაცი ჩემს დასახმარებლადაა მოსული, მაგრამ ამ პატარა ზარბაზნებით და 500 კაციით რას უნდა გახდესო?“ ამავე დროს მათ ერთად დიდად მომხიბლავი გეგმები დასახეს. სოლომონს სურდა დაძრულიყო ქუთაისისაკენ, რომელიც იმერეთის დედაქალაქი იყო, მაგრამ ტოტლებენმა რადგან შეიტყო, რომ იქიდან საკმაოდ ახლოს მდებარეობდა პატარა ციხე-სიმაგრე, სახელად შორაპანი²⁸, გადაწყვიტა მასზე მიეტანა იერიში. დაიძრნენ და სამი თუ ოთხი დღის შემდეგ მიაღწენ ჩიმაგრის ძირს. თურქებმა არ დააყოვნეს, რამდენჯერმე გვესროლეს ზარბაზანი მას შემდეგ, რაც შეგვამჩნიეს. ეს სრულიად ბუნებრივი იყო, მაგრამ გრაფმა აქედან დასკვნა, რომ ჩვენი მოსვლა თურქებს სოლომონმა წინასწარ აცნობა.

განლაგდნენ შორაპნისათვის ალყის შემოსარტყმელად. ეს სიმაგრე, უბრალოდ რომ ვთქვათ, არის მხოლოდ კლდეზე ნაგები ერთი დიდი ოთხკუთხა კოშკი. იგი გარშემორტყმულია ოცამდე სახლით, რომლებიც თურქებმა მიატოვეს. კლდის ძირას პატარა მდინარე მიედინება. დაბლობი, რომელზედაც შორაპანი მდებარეობს, მეტად პატარაა და შესაბამისად შემოფარგლულია მთებით, რომელთაც გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ მის მიმართ. მიუხედავად ამისა, სიმაგრის აღება ჩვენთვის შეუძლებელი იყო. ჩვენი ყველაზე დიდი ზარბაზნის კურვი ექვსგირვანქიანი იყო, ხოლო კოშკის ოთხი ნაბიჯის სისქის კედლები ნაგები იყო მაგარი ქვებისაგან. სოლომონის აზრით, უნდა შემოგწყობოდით ციხეს და იქვე ქოხებში გაგვეტარებინა ზამთარი. მაგრამ ტოტლებენმა უახლოეს მთაზე დაადგმევინა ბატარეა და უსარგებლოდ ისროდა რა სიმაგრეს ოთხი დღის განმავლობაში ზედიზედ, გააჩანაგა ჩვენ მიერ მოზიდული მთელი თოფისწამალი. მაშინ გადაწყვიტა ეცადა ციხის იერიშით აღება. გააკეთებინა ოცსაფეხურიანი კაბეები, იმ დროს როდესაც ისინი სამოცსაფეხურიანებიც რომ ყოფილიყვნენ, მაშინაც ძალიან მოკლენი იქნებოდნენ.

ამასთანავე პური შემოგვაკლდა. სოლომონს არ ძალუძდა გამოეკვება ხუთასი კაცი. იმერლები მხოლოდ წაბლითა და გოგრით ეკვებებინა, იშვიათია, როდესაც ისინი პურს ჭამენ. მათ მიერ მოყვანილ ქერს იყენებენ ცხენების საკვებად²⁹. მალე ჩვენ მთელი სურსათ-საინოვავე გავაჩანაგეთ. სოლომონმა ყველგან დაგზავნა ხალხი. იგი თვითონ წავიდა იმ სურვილით, რომ დაერბია ერთი პატარა მხარე, რომელიც დაღიანს ეკუთვნოდა³⁰. იმედოვნებდა, რომ იქ იშოვიდა ქერს

და ერთხანს გამოგვეცემა ვინაიდან ირწმუნებოდნენ, რომ თურქები მოულოდნელობისაგან მოუმზადებულნი დაგვეხდნენ და თუ ალყას 15 დღე განვაგრძობთ, სიმაგრე დაგვინებდებო. მაგრამ ტოტლებენს ცდის თავი არ ჰქონდა. მან აპყარა თავისი ბანაკი და უკანე თავის ნაკვალევს დაადგა. მას ეშინოდა, რომ სოლომონი არ დადევნებოდა. ამიტომ იგი დაიძრა ჰუსარათა სათაგეში და ორ დღეში მივიდა აბისში. არტილერიის, ქვეითებისა და დრაგუნების მოყვანის საქმე ტოტლებენმა მაიორ რემენნიკოვს მიუტოვა. გზაში ორმოცდაათამდე თათარი ლეკი დაგვეხსა და 12 კაცი მოგვიკლუს, აღჭურვილობის ნაწილი წაგვართვის. მე უბედურება მეწია. დაგვარგე 4 ცხენი, ორი მსახური და ყველაფერი, რაც ჰქვიადა. არაფერი შემრჩა, გარდა იმისა, რაც მემოსა და ცხენისა, რომელზედაც ვიჯექი. ამ თათრებმა უკან დახვეის დროს მეტად შეაწუხეს მაიორი რემენნიკოვი. მხოლოდ თხუთმეტი დღის მეტად მძიმე და დამღლევი გზის გავლის შემდეგ შემოვივიერთდა იგი აბისში.

ნოემბრის დასაწყისი იდგა. წვიმა მეტად გვაწუხებდა. საკვების ნაკლებობის გამო თითქმის ყველა ცხენი დაგვეხოცა, ამ დროს გრაფი დაიძრა ცხინვალისაკენ იმ გადაწყვეტილებით, რომ იქ გამოეზამთრებინა. მან გამგზავნა მეფე ერეკლესთან, რათა მეცნობებინა მისთვის, რომ დავბრუნდით მის ქვეყანაში; რომ რამდენადაც სოლომონს არ ძალუძდა, მოეცა ჩვენთვის აუცილებელი საკვები, ჩვენ იგი მივატოვეთ და მოვემართებით, რათა შევეუერთდეთ მას თურქებთან საბრძოლველად.

აბისიდან 10 ნოემბერს დავიძარი. გავიარე გორი, საკმაოდ დიდი ქალაქი, რომელსაც ძალიან ხელსაყრელი მდებარეობა აქვს. კვლავ ჩავუთარე მუხრანს და ექვსი დღის შემდეგ თბილისში ჩავედი. ეს ქალაქი დგას მდინარე მტკვარზე. იგი გარშემორტყმულია კარგი კედლებით. ქალაქში არის მთა, რომელზედაც კარგი სიმაგრეა აგებული. სიგრძეში ეს ქალაქი ნახევარ მილს უნდა აღწევდეს, სიგანეში მეოთხედს. იგი დასახლებულია ქართველებით, თათრებით, სომხებით, რომელთაგან ნაწილი დიოსკოარეს მწვალებლობის მიმდევარია, ხოლო სხვანი რომაულ კათოლიკურ რელიგიას აღიარებენ³¹. ამ ქალაქის ბაზარი საკმაოდ დიდია; აქ ხშირად ნოღაან ქარავენები სპარსეთიდან და ეს არის თითქმის მთელი ალებ-მიცემობა, რომელიც აქ ხორციელდება.

ჩამოსვლისთანავე პოლიციის უფროსთან დამიბარეს. მიუხედავად იმისა, რომ დღის 4 საათზე ჩავედი, ერეკლემ მხოლოდ საღამოს 11 საათზე მიმიღო. გათლილი ქვებისაგან ნაგებ მის სასახლეს აქვს რაღაც დიდებულება და ამასთანავე იგი ფართგაროვანი არ არის. გასავლელია ორი ეზო. შემდეგ არის ერთი დიდი თალი, საიდანაც არის

გასასვლელი საიდუმლო შენობაში, სადაც ამ მეფის მეუღლე და ქალიშვილები ცხოვრობენ. ხელმძღვანელები არის დიდი ქვის უძოჯირო კიბე, რომელიც სრულიად გადაუხურავია. ამ კიბეზე ასვლის შემდეგ აღმოჩნდა ფართო აივანზე, რომელიც მდინარეს გადაჰყურებს. ოთახებში შედიან ხელმძღვანელები მდებარე პატარა კართით. პირველი ოთახი მეტად პატარაა. სწორედ აქ იხდებიან ქართველები თავის ფეხსაცმელს, რომელიც საშინაო ქაშების მსგავსია, მაგრამ მეტად მაღალი ქუსლი აქვს. ისინი იხდიან ფეხსაცმელს, რათა არ დასვარონ თურქული ხალიჩებით მოფარადგებული ბინა. იძულებული გახდნენ გამეწმენდინებინა ჩემი ჩექმები. შედეგი დიდ დარბაზში, სადაც არავითარი ავეჯი არ იყო. კიდევ თხუთმეტი წუთი ვიცადე. ბოლოს გააღეს დიდი, ორალათიანი კარი და მიმიწვიეს შესასვლელად. მეფე ერეკლე იჯდა თავის ბიჭთან პატრიარქთან, თავის ვაჟებთან და სიძესთან, თავად ციციანოვთან ერთად³². ყველანი ფეხზე წამოდგნენ. პატრიარქი დაწინაურდა, პირველი გამოსახა. მე მას ხელზე ვემთხვევითანაზმად ჩეულებსა, რომელშიც გათვითცნობიერებული ვიყავი. ისინი დასხდნენ. ერეკლემ მეც შემომთავაზა დაჯდომა, მაგრამ რადგანაც ყველანი ფეხმორთხებული იხდნენ ხალიჩაზე და ჩემთვის კი ასე დაჯდომა შეუძლებელი იყო, ვუბასუხე, რომ იმ თაყვანისცემის გამო, რომელსაც განვიცდი მისი უდიდებულესობის მიმართ, არ ძალმიძს დაეჯდეს მის წინაშე. მან კვლავ შემომთავაზა და განმიცხადა, რომ არ მომისმენს, ვიდრე არ დაეჯდები. იძულებული გახდნენ გამემხილა მისთვის ნამდვილი მიზეზი — ის, რომ ევროპული სამოსი მოუხერხებელი იყო ამგვარად დასაჯდომად. კაცი, რომელიც თარჯიმნობდა, მე ძალიან არ მომწონდა. ჩემს ნათქვამს იგი ჩემთვის სრულიად გაუგებარ ვრცელ განმარტებებს ურთავდა. რადგან სასახლეში არც ერთი სკამი არ იყო, მომიტანეს სკივრი, რომელზედაც იმგვარად ვიჯექი, რომ ყველა დანარჩენი ჩემზე დაბალი იყო.

ამ ხნის განმავლობაში ჩემს გვერდით კაპუცინი შევამჩნიე. ვიცოდი, რომ თბილისში იყო რამდენიმე მათგანი. ლათინურად შეუკითხე წმინდა ფრანცისკოს ორდენს ხომ არ ეკუთვნის-მეთქი. მან დადებითად მიპასუხა. კვლავ შეეგვიტხე, თუ რომელი ქვეყნიდან იყო. მან მიპასუხა, რომ ტრიესტიდან არის³³. მე მას ვთხოვე, რათა ეთარჯინა ჩემთვის იტალიურ ენაზე, ვინაიდან იტალიურ ენას უკეთ ვფლობდი, ვიდრე რუსულს. მან უთარჯიმნა ერეკლეს, რაც ის-ის იყო, ვუთხარი. მეფე განცვიფრდა. მკითხა, რომელი ქვეყნიდან ხარო? ვუთხარი, რომ ფრანგი ვარ, მაგრამ ვიმყოფები რუსეთის სამსახურში და გრაფის გენერალ ტოტლებენის აღიუტანტი ვარ. მან მითხრა, რომ შეილად მიმიჩნევს. ამან განმაცვიფრა, მაგრამ დომინიკანელმა ამიხსნა, რომ ასეთია აზიური წესი.

შევასრულე ჩემზე დაკისრებული მოვალეობა. ერეკლემ მითხრა, რომ ყველაფერი შესანიშნავად წინასწარ განჭვრიტა და რომ ძალიან სურდა ჩვენთვის აეცდინა მძიმე მოგზაურობა იმერეთში, მაგრამ ბრალი ჩვენი იყო. ვუპასუხე, რომ აუცილებელი იყო პირადად გვეხილა, თუ რა სამხედრო ძალა ჰქონდა სოლომონს, ვინაიდან ასეთი იყო იმპერატორის ბრძანება; რომ გრაფმა შიკრიკი მიაგვლინა პეტერბურგს, რათა ეცნობებინა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისათვის, რომ დაებრუნდით საქართველოში. „განკარგულებას გავცემ, — თქვა მან, — რომ ცხინვალში თქვენ არაფერი მოგაკლდეთ. მაგრამ ქალაქი მეტად პატარაა იმისათვის, რომ ყველა დაგიტიოთ. თქვენი ხალხის ნაწილი გორში დააბინავეთ და გრაფს კი ვთხოვდი, რომ ზამთრის ნაწილი თბილისში გაატაროს. რაც შემეხება მე, ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ გამცნობთ რატიევის დაბრუნებამდე“.

შინ დაებრუნდი. ის-ის იყო, სახლში მივღედი, რომ დიდი ვახშამი მომიტანეს. სხვა საქმელებთან ერთად მოიტანეს ერთი კერძი ფლავი, რომელიც 20 კაცს დაანაყრებდა. მერე ბანაკში დაებრუნდი. გრაფი დრაგუნებიტა და ჰუსარებით ცხინვალში იყო დაბანაკებული. მაიორი რემენიკოვი არტილერიითა და ქვეითი ჯარით გორში იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ასტრახანის გუბერნატორმა გენერალმა ბეკეტოვმა გამოგვიგზავნა ერთი ასეული ქალაქის გარნიზონიდან და ორი ასეული უფის პოლკიდან³⁴, რაც ორასორმოცდაათ კაცს აღწევდა. გრაფმა მისწერა ერეკლეს, რომ მოგვივიდა მაშეელი ძალა ათასი კაცის რაოდენობითა.

ამ დროის განმავლობაში ჩვენი კაზაკები, მათი ჩვეულებისამებრ, სადაც შეეძლოთ, ყველგან ძარცვას მისდევდნენ. განსაკუთრებით იტაცებდნენ საქონელსა და ცხენებს. ბევრი საჩივარი შემოდიოდა გრაფთან, მაგრამ მან სამართალი არ გააჩინა. კაზაკები უფრო გათავხედდნენ. სხვა ჯარისკაცებიც თითქმის იგივეს სჩადიოდნენ. ისე ცეცხვრობდით საქართველოში, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში³⁵.

ქვეგამხედვარობისათვის იმერთა მეფე სოლომონმა მთავრობა წაართვა მამია IV გურიელს და მის ნაცვლად მისი უმცროსი ძმა გიორგი დასვა. მამიას ახალციხის ფაშაც შემოსწერა. 1756 წელს თავისი ბიძის, შემოქმედის ეპისკოპოსის მეშვეობით, გურიელი თბილისში მოვიდა, ქართლ-კახეთის მეფეთა თანადგომას მიაღწია და მათი შუამდგომლობით სამთავრო დაიბრუნა (პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე ლ ე ნ ე ო ა გ ა რ ე ბ შ ვ ი ლ მ ა, თბილისი, 1981, გვ. 237—239). 1965 წელს ახალციხის ფაშა ჰასანმა კვლავ გიორგი გახადა გურიის მთავრად. 1771 წლის იანვარში ფოთის მახლობლად თურქთა დამარცხების შემდგომ სოლომონ მეფემ კვლავ მამია IV გაამთავრა (იხ. А. А. Цагарели, Грамоты, II, I, გვ. 76—77).

როდესაც ლაპარაკია თურქთაგან დაპყრობილ გურჯისტანსა და ქვახეთზე, ცხადია, გურჯისტანი აღნიშნავს არა მთელ საქართველოს, არამედ თურქთაგან დაპყრობილ გურჯისტანის ვილაიეთს, სამხრეთ საქართველოს. ამ პერიოდში ახალციხეს ვანაგებლა სამთურქიანი ფაშა სეთ-ნაჰმან, ვალი ჩილდირისა (А. А. Цагарели, Грамоты II, I, გვ. 15—17. იხ. აგრეთვე, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. П. Г. Буткова, Петербург, 1869, გვ. 284, შენიშვნა 1).

3. 1769 წლის 5 ივნისს ერეკლე II სწერს გრაფ ნიციტა პანინს: „მისი იმპერატორობითი დიდებულების და ბუნაქრის ზავის დახსნის პამბავი რა გუესმა, ველოდით სურვილით უქმშარიტესსა უწყებასა ჩუენდამო... ჩუენი დიდი სასურველი არის ოსმალთა თანა ბრძოლა“. თურქეთთან ომში ერეკლეს თავისი მუსლიმანი ვასალების შემწეობის იმედიც აქვს — „რომელნიც მაჰმადიანნი ჩუენნი გარემონი არიან, და ან ჩუენს მფლობელობის ქუემ იმყოფებიან დღეს, ჩვენ ამას უმპველად

კპგონებთ, ესენიც რომელნიმე ვაგვეერთდებინან, და ოსმალთ შტრობაზედ რაოდენი სიმხნე და გამოცდილება აქუსთ, ზოგნი შიშისაგან და ზოგნი რომლისამე მიზეზისაგან, ჩუენთან სიძარტლით გარჩებინან“ (А. Цагарели, Грамоты, II, I, გვ. 6—7).

4. როსტომ რაჰვის ერისთავი XVIII საუკუნის შუა წლებში განუდგა იმერთა მეფეს, რაჰვაში სამეფო სოფლები მიითვისა, მთელ რაჰვს დაეპატრონა. ლევან აბაშიძესთან ერთად 1757 წლის 14 დეკემბრის ხრესილის ომში თურქებს მიემხრო სოლომონ მეფის წინააღმდეგ (იხ. მცირე ქრონიკები, ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბილისი, 1968, გვ. 130, შენიშვნა 192). ხრესილის ომში სოლომონს დახმარება აღმოუჩინეს კაცია დადიანმა, მამია გურიელმა. ბრძოლის დროს ლევან აბაშიძე მოკლეს, როსტომ რაჰვის ერისთავმა თავს უშველა (იხ. მ. რეხვიასვილი, იმერეთი XVIII საუკუნეში, თბილისი, 1982, გვ. 58—59; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 628—639).

ტოტლებენის კორპუსის საქართველოში ჩამოსვლის ახლო პერიოდში 1765 წელს პასან ფაშა შემოესია დასავლეთ საქართველოს. როსტომ რაჰვის ერისთავი კვლავ თურქების მხარეზეა. 1766 წელს იმერეთის ტახტზე თეიმურაზ მამუკას ძე გამეფეს. სოლომონი პოზიციებს არ თმობდა. 1768 წელს ჩხარის მახლობლად ცხრაწყაროსთან დაქირავებული ლეკების შემწეობით მან დაამარცხა თურქები და თეიმურაზი (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტომი I, თბილისი, 1962, გვ. 169) მუხურის ციხეში დაამწყვდოეს ძმასთან — გიორგი ბატონიშვილთან ერთად. ამ ომში კაცია დადიანი და გიორგი V გურიელი სოლომონის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

1769 წლის 28 იანვარს სოლომონმა აქტიურად განაახლა მოქმედება რაჰვის ერისთავის წინააღმდეგ. სტატსკი სოვეტნიკის ამოლახვაროვის ცნობით, როსტომ რაჰვის ერისთავი იყო ერთ-ერთი მთავარი ძალა, რომლის მეშვეობითაც სოლომონი ტახტიდან გადაადგდეს (თავის მხრივ, წყარო ამ ცნობებისა არის მაქსიმე მიტროპოლიტი). სოლომონისაგან თავდასაცავად, საკუთარი ძმის, იმერეთის კათალიკოსის ბესარიონის, მეშვეობით რაჰვის ერისთავმა შემწეობა ახალციხის ფაშისაგან ითხოვა, მაგრამ უნაყოფოდ (იხ. Грамоты, II, I, გვ. 31—32).

სოლომონმა როსტომ ერისთავი მისი ამალითურთ „ვარციხეში შეიტყუებ, ერისთავსა და მის შვილებს თვალები დასთხარა, მერე კი მისი ყმა-მამულის დიდი ნაწილი სახასოდ გამოაცხადა, ხოლო ნაწილი ერთგულ ფეოდალებს უბოძა“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 648). რელაციის ტექსტიდან ჩანს, რომ ერისთავის ალაგმვის ამბავი სოლომონმა ტოტლებენს აცნობა (უფრო ღებულურად — მ. რეხვიასვილი, იმერეთი XVIII საუკუნეში, სოლომონ მეფე და როსტომ რაჰვის ერისთავი, გვ. 78—96).

5. თავის ურთიერთობას თურქებთან სოლომონი ასე აღწერს: „ათორმეტი წელიწადი არის, რომ ხვანთქრის ჯარსა და ჩვენ ძლიერი ბრძოლა გვაქვს, და შეიძლება ჩემს ქვეყანაში შემოსულან იმათი სარასკერები და ფაშები, ტყვის ხარაჯა და ხარკი უთხოვიათ, და რომ არ მიმიცია, ზამთარ და ზაფხულ ომი გვეონია ძრეილი. ქრისტეს შეწევნითა და ყოვლად მოწყალის ხელმწიფის წყალობით, ყოველთვის დამარცხებით და სირცხვილეულნი წარსრულან, და თვით ხელითა ჩემითა მრავალნი მომისრავან; რომელიმე ჩემი ციხეები აიღეს და ისევ დავაგდებინე, და გავყარე, და ახლა ჩემი ქვეყანა ერთობით მე მივირავს“ (А. Цагарели, Грамоты, II, I, გვ. 1—2 — ქართული ტექსტი).

თავისი მძიმე, თურქთაგან მეტად შევირცხებული მდგომარეობის შესახებ 1768 წლის 23 ივნისს სოლომონ II სწერს ეკატერინე II-ს, რომ მეტად უკირს

მასზე ძლიერი თურქებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. დაბეჯითებით მოითხოვს, მიიღონ იმპერიის მფარველობაში, ან დახმარება აღმოუჩინონ, უპირველესად ყოველსა, სამხედრო საქურვლით (Грамоты, I, გვ. 18—19). 21 მაისს, როსტომ ერისთავის შეპყრობის შემდგომ, სოლომონ მეფე თბილისს მოვიდა თურქთა წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო კამპანიის გეგმის გამოსამუშავებლად (Грамоты, I, გვ. V).

6. ქვაბულოვი, ცხაღია, რუსიფიცირებული ქართული გვარია (შეადარე ქობულაძე, ქობულაშვილი, ქობულეთი). 1769 წლის 19 მაისს ერეკლე მეფე წერილით აცნობებს ყიზილარის კომენდანტს გენერალ პოტაპოვს გრიგოლ ქვაბულოვის საქართველოში, თბილისში ჩამოსვლის შესახებ (Грамоты, I, გვ. 420). საგარეო საქმეთა კოლეგიაში პოტაპოვის მიერ წარდგენილი რაპორტიდან ნათლად ჩანს, რომ გრიგოლ ქვაბულოვი რუსეთ-თურქეთის ომის ვითარებაში ეკისრებოდა საქართველოს საშინაო პოლიტიკური მდგომარეობის, მისი სამხედრო პოტენციალის ზონდავის საიდუმლო მისია (Грамоты, I, გვ. 42). 1769 წლის 24 ივლისს პუსართა ქართული პოლიცის პორუჩიკმა ქვაბულოვმა გენერალ პოტაპოვს საქმიან დეტალური რაპორტი წარუდგინა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. რაპორტს თანდართული აქვს ერეკლე მეფის დავალებით არტემ ანდრონიკაშვილის მიერ ქართულად შედგენილი და ქვაბულოვის მიერ რუსულად თარგმნილი ქართლ-კახეთის სამეფოს მშობებარე ტერიტორიების აღწერა (Грамоты, I, გვ. 425—438).

7. ლაპარაჯია არა იმერეთის პატრიარქზე, არამედ 1768 წლის ზაფხულში რუსეთს საიდუმლო მისიით გაგზავნილ მიტროპოლიტ მაქსიმე ქუთათელზე. მისია საიდუმლო იყო, რადგანაც თურქეთის სულთანმა მუსტაფა III ფირმანი დაადასტურა „ქრისტიან მფლობელთა შორის სახელგანთქმულ სოლომონის“ უფლებები სამეფო ტახტზე (იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბილისი, 1973, გვ. 420), ხოლო სოლომონი მაქსიმე ქუთათელს ატანს დოკუმენტებს, სადაც დაბეჯითებით მოითხოვს რუსეთის მფარველობაში შესვლას, თურქთა მძლავრობისაგან იმერეთის დაცვას.

1768 წლის 21 ივნისით დათარიღებული ბარათით სოლომონი აცნობებს ყიზილარის კომენდანტს პოტაპოვს, რომ იმპერატორთან აგზავნის მაქსიმე ქუთათელს საიდუმლო მისიით (Грамоты, I, გვ. 17).

1768 წლის 23 ივნისით არის დათარიღებული სოლომონ მეფის სათხოვარი წერილი ეკატერინე მეორისადმი, რაც პოტაპოვმა საიმპერატორო კარს მიაწოდა 1769 წლის 8 მარტს (Грамоты, I, გვ. 18).

მაქსიმე ქუთათელი ყიზილარში კარგახანს შეაყოვნეს. პოტაპოვმა მისი პეტერბურგში გამგზავრების დასტური მიიღო მხოლოდ 1768 წლის 30 ნოემბერს, როდესაც თურქეთთან ომის გამო დაინტერესდნენ იმერეთის საქმეებით (Грамоты, I, გვ. 19).

მეტად საინტერესოა მაქსიმე ქუთათელის ცნობები საერთოდ საქართველოსა და განსაკუთრებით იმერეთის შესახებ, დათარიღებული 1769 წლის 14 მარტით (Грамоты, I, გვ. 27—31; Грамоты, II, I, გვ. 2—5. ქართული ტექსტი).

მაქსიმე ქუთათელის ელჩობას მოიხსენიებს ეკატერინე II სოლომონთან მიმოწერისას 1769 წლის 26 მაისს; 1770 წლის 11 თებერვალს (Грамоты, I, გვ. 50, 90).

8. 1789 წლის 24 მარტს ანტონ მოურავოვის მიერ საგარეო საქმეთა კოლეგიაში წარდგენილი ბიოგრაფიული და სამსახურებრივი მონაცემების ცნობებიდან ირკვევა, რომ მისი მამა — რომანოზ მოურავოვი, 1724 წელს ეახტან VI მრავალრიცხოვან თანმხლებთა რიცხვში მოხვედრილა რუსეთში. 1738 წელს იგი რუსეთის სამხედრო სამსახურში შევიდა კაპიტნის ჩინით და ამავე წელს ხოტინთან ბრძოლაში დაიღუპა. თვით ანტონი 1749 წელს შლიახტის კადეტთა ქვეითი ჯარის კორპუსის კადეტია. 1755 წელს მან პორუჩიკის ჩინი მიიღო. მონაწილეობდა რუსეთ-პრუსიის

ომში და 1761 წელს პომერანიამი დამსახურებისათვის, რომელიც ქალაქ კოლბერგის აღების საქმეში მიუძღვოდა, მთავარსარდალმა კაპიტნის კოლბეაზე წარადგინა. ელი-საბედ პეტრეს ასულის გარდაცვალების გამო წოდების დამტკიცება ვერ მოესწრო. თავისი დამსახურების დასტურად ანტონ მოურავოვი იმოწმებს გრაფ პ. ა. რუმიანცე-ვის ატესტატს, გენერალ-ლეიტენანტის სხვა წარმომადგენელთა დადებით დასასიათებებს.

1764 წლის 17 თებერვალს მისი პირადი თხოვნით ა. მოურავოვი გაათავისუფლეს სამხედრო სამსახურიდან. იმავე წელს კოლეჯის ასესორის ტიტულით გაამწესეს ქალაქ ოპოჩკოში ვოევოდის ამხანაგად. 1768 წლის 11 იანვარს დანიშნეს კონფისკაციის კანტორის წევრად (Грамоты, I, გვ. 27).

რუსეთ-თურქეთის ომის ვითარებაში, 1769 წლის 27 მარტს, ეკატერინე II ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის ძალითაც საქართველოში იგზავნებოდა სამხედრო-საექსპედიციო კორპუსი (ვ. მაქარაძე, ასპინძის ბრძოლა, თბილისი, 1957, გვ. 32).

ამ პერიოდში საქართველოში რუსეთის საქმეთა რწმუნებულის პოსტზე დაინიშნა „ნადვორნი სოვეტნიკი“ ანტონ მოურავოვი. საგარეო საქმეთა კოლეჯიამ მის განკარგულებაში გადასცა კანცელარისტი პეტრე გრიგორიევი, რომელსაც თეთრად გადაწერილი, საიდუმლოდ დამზადებული მოურავოვის მიერ შედგენილი პატაკები კოლეჯიაში უნდა გადაეგზავნა.

მოურავოვის საქმიოდ დეტალური ინსტრუქცია მისცეს საქართველოს, განსაკუთრებით იმერეთის საქმეთა ვითარების შესახებ. ინსტრუქციაში აღნიშნული იყო საქართველოში გასაგზავნი საექსპედიციო კორპუსის შემადგენლობა. რაზმს სათავეში მალაღი ჩინის ოფიცერი უნდა ჩასდგომოდა. მის შემადგენლობაში იქნებოდა ერთი შტაბ-ოფიცერი, არტილერიის ოფიცერი, ინჟინერ-ოფიცერი, მყურნალი, მუშკეტერების, დრაგუნების, პუსარების თითო როტა, ოთხი სამვირეანქიანი ზარბაზანი, ორი 12 გირვანქიანი მარტორქა საპირო მომსახურე საარტილერიო პერსონალით. ინსტრუქციაში იყო ცნობები ოსების, ყაბარღოელების შესახებ. დეტალურად იყო გათვლილი სოლომონ მეფესთან ურთიერთობის კონკრეტული პერსპექტივები. მოურავოვს ევალებოდა დეტალიზირებული პატაკების წარდგენა ადგილობრივი მოკლენების შესახებ. ინსტრუქცია დათარიღებული იყო 1769 წლის 28 მაისით. ხელს აწერდნენ ნ. პანინი, ვიცე-კანცლერი კ. გოლიცინი (Грамоты, I, გვ. 39—50).

ანტონ მოურავოვის პატაკები, წარდგენილი საგარეო საქმეთა კოლეჯის, ტოტლებენის და სხვა პირთათვის, ძვირფასი წყაროა XVIII ს. საქართველოს ისტორიისათვის.

ნიშანდობლივია, რომ ა. მოურავოვს მონაწილეობა მიუღია ასპინძის ომში. რუსეთის მხედრობისათვის სასახლო მისი გაბედული მოქმედებისათვის 1770 წლის 12 მაისს ერეკლე II სთხოვს გრაფ ნიკიტა პანინს იშუამდგომლოს, რათა მოურავოვი დაჯილდოვდეს წმინდა გიორგის ორდენით (Грамоты, I, გვ. 451—452). იქვეა აღნიშნული, რომ ტოტლებენსა და მოურავოვს შორის ურთიერთობა წამხდარი იყო. ტოტლებენი მას ერეკლესთან ჯამუსა უწოდებდა.

1770 წლის 26 სექტემბერს, ცხადია, ტოტლებენის დასმენით, სპეციალური მისიით ჩამოსულმა კაპიტანმა იაზიკოვმა დააპატიმრა ქართლიდან ქუთაისში ჩამოსული ანტონ მოურავოვი და ბადრაგით გააგზავნა რუსეთში. გზაში ოსებმა და ყაბარღოელებმა იგი გაძარცვეს (Грамоты, I, გვ. XIX).

1770 წლის 3 ნოემბერს პრეობრაჟენსკის გვარდიული პოლკის კაპიტან-პორუჩიკი ივანე ლავრენტის ძე ლოვოვი მალდობის უხდის ნ. პანინს ა. მოურავოვის ნაცვლად საქართველოს საქმეთა რწმუნებულად მისი დანიშვნის გამო (Грамоты, I, გვ. 248).

შემდგომში 1773 წლიდან, პოდმოლკოვნიკ აბაზაძის გარდაცვალების შემდგომ, მოურავოვი კვლავ მოღვაწეობს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეჯიაში თარჯიმნად, ნად-

გორნი სოვეტნიკის ტიტულით (იხ. Вейденбаум, Кавказские этюды, Тифлис, 1901, с. 153; Грамоты, I, გვ. 397—399).

1769 წლის 25 აპრილს გენერალმა გოლიცინმა სიმბირსკის პოლკიდან მაიორის ჩინით გამოავაზენა რემენნიკოვი, რომელსაც ებრძანა ყიზლარში წასვლა და საექსპედიციო კორპუსის ფორმირების თაოსნობა (ე. შაქარაძე, ასპინძის ბრძოლა, გვ. 33). რემენნიკოვი აქტიურად მონაწილეობდა ტოტლებენის წინააღმდეგ შეთქმულებაში.

9. რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წწ. ომის დროს საქართველოში გამოავაზენილი საექსპედიციო სამხედრო კორპუსის სარდლის გრაფ გოტლიბ ჟურტ პენრის ტოტლებენის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები, მისი პიროვნების შეფასება იხ. შესავალში.

10. გრაფი ზაქარია გრიგოლის ძე ჩერნიშოვის (1722—1784) კორპუსმა რუსეთ-პრუსიის ომის მსვლელობაში 1760 წელს ბერლინი აიღო. ტოტლებენი ჩერნიშოვის კორპუსის ოფიცერი იყო.

თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ზ. ჩერნიშოვი დიპლომატიურ დავალებებს ასრულებდა. 1750 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის, ხოლო 1773 წელს გენერალ-ფელდმარშლის სამხედრო წოდება. 1763 წლიდან იყო სამხედრო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე. შემდეგში რუსეთის სამხედრო მინისტრი.

1770 წლის I და 6 თებერვალს ტოტლებენი ფრანგულ ენაზე ცხინვალიდან უპატაკებს ჩერნიშოვს, რომ მის წინააღმდეგ იღვწიან რემენნიკოვი, მოურაეოვი. ითხოვს ზომების მიღებას (Грамоты, I, გვ. 205). 1770 წლის I აპრილის რაპორტში ჩერნიშოვისადმი ტოტლებენი ასმენს ა. მოურაეოვს — მხოლოდ თავის თანამემამულეთა კეთილდღეობაზე ზრუნავსო (Грамоты, I, გვ. 207).

11. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, ცნობილია, ძირითადად ასტრახანზე გამავალი გზის მეშვეობით ხორციელდებოდა. მოკიდებული 1763 წლიდან, ასტრახანის გუბერნატორი იყო გენერალ-მაიორი ნიკიტა ათანასეს ძე ბეკეტოვი (1729—1794).

1769 წლის 6 აპრილს ბეკეტოვმა მიიღო განკარგულება კაპიტან როგოვს ხელმძღვანელობით ყიზლარში რაზმის გაგზავნის შესახებ (ე. შაქარაძე, ასპინძის ბრძოლა, გვ. 33).

1769 წლის 19 სექტემბერს ნ. პანინი და კ. გოლიცინი სწვირენ ბეკეტოვს სამეგრელოსა და თავვერის მთავრის კაცია დადიანის მიერ გამოთქმული სურვილის შესახებ, მიიღოს მონაწილეობა თურქეთთან ომში (Грамоты, I, გვ. 66).

კაპიტან კარპის და 20 პუსარის თანხლებით 1769 წლის 4 აგვისტოს ტოტლებენი უკვე ყიზლარში იყო (იხ. ყიზლარის კომენდანტის გენერალ-მაიორ პოტაპოვის პატაკი საგარეო საქმეთა კოლეგიას, დათარიღებული 1769 წლის 8 აგვისტოთი — Грамоты, I, გვ. 440; ე. შაქარაძე, ასპინძის ბრძოლა, გვ. 35).

12. პუსართა პოლკის მაიორი რატევი (რატევილი) ა. მოურაეოვთან ერთად მონაწილე იყო ტოტლებენის ერეკლე მეფესთან შეხვედრის პირველი ცერემონიის (Грамоты, I, მოურაეოვის 1769 წლის 3 სექტემბრის პატაკი ნ. პანინს, გვ. 62).

1770 წ. 30 აპრილის მოურაეოვის პატაკში რატევი უკვე პოდპოლკოვნიკია (Грамоты, I, გვ. 109).

1770 წლის 4 ივნისის წერილში ნ. პანინისადმი ერეკლე მეფე წერს, რომ შეთქმულთა მიერ შედგენილი დოკუმენტი ტოტლებენის შეპყრობის შესახებ რატევიმ საიმპერატორო კარს მომხდარი გაუგებრობის შედეგად გაუგზავნაო (Грамоты, I, გვ. 123).

1770 წლის 6 თებერვალს ტოტლებენი (ფრანგულად) აცნობებს ზაქარია ჩერნიშოვს — ჩოლოყაყვი, მოურაეოვი იმპერიის საწინააღმდეგოდ ირეკებიანო. აღნიშნავს,

რომ რატივეი პატიოსან კაცად მიაჩნდა ყოველთვის, ამასთანავე მეტად გამოსადეგად, როგორც ენის შტოდნე (Грамоты, I, გვ. 405).

რატივემა დაივიანა ყიზლარიდან ტოტლებენთან შესაერთებლად მოსკლა. 1770 წლის 6 აპრილს ტოტლებენი ჩივის მისი დაგვიანების შესახებ. აღნიშნავს, რომ ყველა საფეხურის ოფიცრებად რატივეი თავისი ერის შვილებს აყენებს (Грамоты, I, გვ. 211).

1770 წლის 28 აპრილს გვარდიის კაპიტან-პორუჩიკი ლვოვი ატყობინებს მოზლოკში მათორ ანიკეევს, ხოლო ტოტლებენი ვენერალ-მათორ მედემს რატივეის მიერ გაწეული შედარებული წინააღმდეგობის შესახებ. მათორ კარპის, როტმისტრ ცორნაის და ბაქსეგის რაზმიდან მხოლოდ მათორი კარპი დაბრუნდა ერთი პუსარით, დანარჩენები რატივემა შეიპყრო (Грамоты, I, გვ. 214).

სწორედ აღნიშნული შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის გამო ეკატერინე II 1770 წლის 4 ივლისს თარიღით ერეკლე მეფისადმი გაგზავნილ წერილში უპირველეს დამნაშავედ რატივეს ასახელებს (Грамоты, I, გვ. 132).

1770 წლის 2 მაისს რუსეთის იმპერატრიცას სახელით ტოტლებენმა მანიფესტით ათასი თუმანი გასამრჯელო გამოაცხადა მათთვის, ვინც შეიპყრობდა რატივეს, ჩოგლოცოვს, დე გრაის (Грамоты, I, გვ. 221—222).

1771 წლის 22 აპრილს სამხედრო კოლეგიის სასამართლოს გადაწყვეტილებით პოდპოლკოვნიკ რატივეს აყვარა სამხედრო წოდება, რიგითად გაამწესეს II არმიაში. 1771 წლის 10 დეკემბერს, ვენერალ რუმინანცევის შუამდგომლობით, სახელმწიფო საბჭომ I არმიაში გამოჩენილი მამაკობისათვის რატივეი პოდპოლკოვნიკის წოდებაში აღადგინა (ე. მაკარაძე, ასპინძის ბრძოლა, გვ. 93).

18. 1582 წელს დოხიდან გრეზნაის ჰაჯინბში გადასახლებული კაზაკები XVII საუკუნიდან ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი გავლენის გასაძლიერებლად კავშირს ამყარებენ მეფის მთავრობასთან. 1712 წელს პეტრე დიდმა თერგის მარცხენა ნაპირზე დასახლა ისინი. მათ ააგეს ციხე-სიმაგრეები: ყიზლარი (1735 წ.), მოზლოკი (1763 წ.). 1721 წლიდან ემორჩილებოდნენ სამხედრო კოლეგიას, უშუალოდ ასტრახანის გუბერნატორს, 1735 წლიდან — ყიზლარის კომენდანტს (იხ. პ. პ. კ. ა., თერგის კაზაკები ძველი დროიდან, I, პეტერბურგი, 1880; ბენტიკოვსკი ი. ვ. გრებნელები, მოსკოვი, 1887 — ორივე რუსულად).

14. კაპიტან იაზიკოვის მიხედვით, მოზლოკიდან შტორე ყაბარდომდე 28 ვერსია (იხ. Грамоты, I, რუსეთიდან საქართველოში ჩამოსვლის ჩანაწერი 1770 წ. X. გვ. 263. ა. ცაგარის სამართლიანი ვარაუდით, ჩანაწერი იაზიკოვს უნდა ეკუთვნოდეს). საერთოდ ღე გრაისთვის დამახასიათებელია მინძილების გადაკარბებით ჩვენება.

15. დაახლოებით მგავსი სურათი ჩერქეზთა და საერთოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ცხოვრების, ცნობები მათი მოთარეშე ცხოვრებისაკენ მიდრეკილებაზე სხვა ევროპელთა ჩანაწერებშიც არის დატული (გოულდენშტედტთან, პენსონელთან, დიუბუა დე მონპერესთან და ა. შ.).

16. რუსთა ჯარი მოზლოკიდან საქართველოსაკენ თავაურის ოსეთზე მოდიოდა, ჩიშზე, ლარსზე, სტეფანწმინდაზე (ყაზბეგზე) გავლით. ოსები თავისი მარჯვე სტრატეგიული მდგომარეობით მოხერხებულად სარგებლობდნენ, საზღაურს თხოულობდნენ გზაზე გატარებისათვის, გაწეული დახმარებისათვის (იხ. გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV—XVIII სს., თბილისი, 1969, გვ. 145). ყიზლარიდან მგზავრობის დროს ხამი ტილოთი გასამრჯელო გადაუხდია ოსებისათვის აგრეთვე იოსებ ემინს (იოსებ ემინის ცხოვრება და თავგადასავალი, 1918, გვ. 204. ინგლისურ ენაზე).

კაპიტანი იაზიკოვი თერგის გაცოლებით აღნიშნავს შეხვედრას ჯერ თემირ სულთანთან, მისგან 16 ვერსის დაშორებით სოფელ ჩიშის, წინამძღოლთან (старшина) ა-

მედთან. წარმოჩენილია იგივე სურათი, რაც დე გრასთან—რომ არ გაეძარცვნენ, სათანადო გასამრქველო უნდა გილო. მთიელების დახმარების გარეშე გზის გაეღა შეუძლებელია (Грамоты, I, გვ. 263—264).

გიულდენშტედტი აღნიშნავს: „...1711 წლის 11 სექტემბერს ოსეთის მთავარს ახმედ ილაალუს, რომელიც მე უნდა გამყოლოდა საქართველოსკენ, ჩიმიდან გასვლის წინ მივეცი 80 არშინი ტლო, ერთი სამართებელი, ერთი პატარა და 2 დიდი მკერატელი და 6 წყვილი ჩაის ფინჯანი“ (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, 1964, გ. გელაშვილის გამოცემა, გვ. 249).

კლაპროტის მიერ შედგენილი გენეალოგიური შტოს შესაბამისად თემირ სულთანის და აჰმედი ძმები იყვნენ ცლაპროტი, მოგზაურობა, I, გვ. 456—457. ფრანგულ ენაზე).

17. „აჰმედიდან სტეფანწმინდად წოდებულ სოფლამდე, რომლის თავჯაყი არის ყაზბეგი, 21 ვერსია. ეს თავჯაყი მისი სოფლითურთ ქართველთა მეფის, ერეკლეს მფლობელობაშია. აქედან იწყება მთიულეთის მთები. იქ მცხოვრებ ხალხს მთიულები ეწოდება. ეს ხალხი აგრეთვე ერეკლეს მფლობელობაშია“ (Грамоты, I, 1770 წ., X. გვ. 263).

გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ სტეფანწმინდა არის ადგილსამყოფელი ყაზბეგის, ქართველი აზნაურის, რომელსაც ერეკლე მეფისგან აქვს ნაბოძები ეს ტიტული. ყაზბეგის გვარს, ჩოფთაქვილს, გიულდენშტედტი ამხინჯებს ხან ცობიკიად, ხან წობიკიად (გიულდენშტედტი, II, გვ. 157, 241, 257). იხსენიებს გიულდენშტედტი ყაზბეგის ვაჟს ვაბრიელს, რომელიც შემდგომში ჩოფთაქვილის ნაცულად ყაზბეგს გვარსახელად ატარებს და რომელსაც დიდი მადლიერებით მოიხსენიებს ერეკლე მეფე.

ყაზბეგთა გვარის ეთნარქი ჩოფთაქვა ყოფილა. მისგან მოდიან ყაზბეგი, ლევანი, გუგუა, ზალია. მათგან ყაზბეგე, როგორც ერეკლე მეფის მოურავი, ფაქტიურად აზნაურის სახელის ფლობდა (ქურნალი „მნათობი“, № 8, ვ. ითონიშვილი, დარიალის ხეობა, გვ. 100—101).

პაქსტაუზენს, ვეიდენაუმს სწორად აქვთ ახსნილი, თუ როგორ შეერქვა სოფელ სტეფანწმინდას და მყინვარწვერს ყაზბეგი ერეკლე მეფის მოურავის საკუთარი სახელისაგან (იხ. В. Е. Вейденбаум, Путеводитель по Кавказу, Тифлис, 1888, გვ. 285—286). აღნიშნულ ვითარებაში კარგად გარკვეული ვეიდენაუმი აღნიშნავს, რომ რუსეთის მფარველობაში საქართველოს შესვლამდე მრავალი რუსი მოგზაურობდა თბილისისაკენ. დარიალის ხეობის გავლისას თითქმის ყველას უკლებლევ ურთიერთობა ჰქონდათ ყაზბეგთან, ამ მხარის გამგებელთან, რომელსაც ევალებოდა გზის მოვლა-პატრონობა, ზრუნვა მოგზაურებზე. სწორედ ამიტომ გააიგივეს მისი სახელი სტეფანწმინდასთან, მთასთან, რომლის ძირსაც სახლობდა მეფის საგამცემო მოურავი.

18. ადოს მინდორი, ერეკლე მეფისა და გენერალ ტოტლებენის პირველი შეხვედრის ისტორიული ადგილი, მოხსენებულია აგრეთვე მოურავოვის პატაკებში, გიულდენშტედტთან. (იხ. აგრეთვე ქრონიკები III, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ყორდანიას მიერ, თბილისი, 1967 წ., გვ. 307—308).

ვ. ითონიშვილი მიიჩნევს, რომ ადოს მინდორი იგივე კობის ვაკეა, მდებარე ჭერის უღელტეხილთან, იქ, სადაც ყაზბეგის რაიონის დღევანდელი ოსთა სოფელი ნოგყაუ არის, ხოლო წინათ სოფელი ადო იყო (იხ. ვ. ითონიშვილი, ხევის ტოპონიმია, თბილისი, 1971, გვ. 48).

1769 წლის 3 სექტემბერის პატაკში გრაფ ნ. პანიინსადმი ა. მოურავოვი დეტალურად აღწერს ერეკლე მეფისა და ტოტლებენის პირველ შეხვედრას და აღნიშნავს, რომ ადოს მინდორი ოსთა საზღვრიდან 18 ვერსზე მდებარეობს, სოფელ ხოდასთან, რომ შეხვედრა მოხდა 29 აგვისტოს. 12 ოქტომბერს დათარიღებულ პატაკში მოურავოვი აღნი-

შნავს, რომ აღოს მინდორი სოფელ ხოლადან 14 ვერსის მანძილზეა (Грамоты, I, გვ. 61, 68—69).

სოფელ კობთან მოიხსენიებს ტოტლებენისა და ერეკლე მეფის პირველი შეხვედრის ადგილს, „აღოს მინდორს“, აკად. გიულდენშტედტი (გიულდენშტედტის მოგზაურობა..., I, 1964, გვ. 225).

ერეკლე II-ისა და ტოტლებენის პირველი შეხვედრისადმი მიძღვნილ სპეციალურ წერილში გ. პაიჭაძე მიიხსენებს, რომ აღოს მინდორი ხადას თემში მდებარეობს, რომ „ა. მოურავოვმა ხადას თემი, თუ ხადას ხეობა „სოფელ ხოლად“ მიიწინაა. მისი მართებული შენიშვნით, განსხვავება შეხვედრის მოურავოვისეულ თარისს — 29 ავანტოსა და დე გრაიის მიერ შემოთავაზებულ 10 სექტემბრის შორის ალბათ იმიტად უნდა აიხსნას, რომ დე გრაი გრიგორიანული კალენდრით სარგებლობდა“ (იხ. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1976, გ. პაიჭაძე, ერეკლე II-ისა და ტოტლებენის პირველი შეხვედრა, გვ. 289—294).

ი. წიკლაურის მიერ მოწოდებული ცნობის მიხედვით, აღოს მინდორი შეიძლება იყოს სოფელ ზაქანსა და გულაურს შორის მდებარე ღაღოს მინდორი, ღუშეთის რაიონში.

ღაღო ოღრო-ჩოღრო, უსწორმასწორო ადგილს ეწოდება. ბუნებრივია, მთის რეგიონში მდებარე „მინდორი“ სწორედ ასეთი არის. ძნელი ასახსნელია, რატომ უწოდებს დე გრაი „აღოს მინდორს“ ბეკასების ველს (იქნებ ვინმემ ფრინველი ღაღო უხსენა?).

19. არაგვი საბოლოოდ კასპიის ზღვაში ჩაედინება, მაგრამ, ჩანს, დე გრაისთვის არ მიუწოდებიათ ცნობა, რომ იგი მცხეთასთან მტკვარს უერთდება.

20. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1744—1762 კახეთში, 1762—1798 ქართლ-კახეთში) ის ფიგურაა, რომელმაც ჩრდილოეთისაკენ, ერთმორწმუნე რუსეთისაკენ აღებული საგარეო-პოლიტიკური კურსით ფაქტიურად განსაზღვრა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის მომავალი ბედ-იღბალი.

ანტონ მოურავოვი 1769 წლის 3 სექტემბრის პატაკში ასე უსურათებს გრაფ ნიკიტა პანინს საქართველოს მეფეს: „რაც შეეხება პიროვნებას თვით მეფე ერეკლესი, რომელიც 48 წლის არის... მისი გარეგნობა ადასტურებს დიდებულ ღირსებას, შერწყმულს სიამაყესთან. ყველა საუბარი, რომელიც მასთან მქონია, მუდამ აღსავსეა გონიერებით, ღვთისმოშიშობით და ცრურწმენისაგან თავისუფალი პატივისცემით კანონისადმი. მის ღირსებათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ მისი მმართველობა ერთმხარობელია და სრულიად შეუზღუდავი“ (Грамоты, I, გვ. 65—66).

1770 წელს ვაკეთებულ საქართველოს საკმაოდ საინტერესო აღწერაში კაპიტანი იაზიკოვი აღნიშნავს — „ერეკლე მეფე 52 წლისაა, საშუალო ტანის, მოგარძო სახე აქვს ყვითელი ფერის, თვალები დიდი. აქვს პატარა წვერი (ქართველები წვერს არ იპარსავენ). მეტად ეშმაკია და დიდებული მხედარი... სპარსელ ხანებს, რომელთა სამფლობელოები მისი მიწების გარშემო არის, შიშში და ურთიერთ ქიშპობაში ამყოფებს“ (Грамоты, I, გვ. 183). ცოტა ქვევით იაზიკოვი დასძენს — ერეკლე მეფეს წარუმატებელი მცდელობა ჰქონდა, აღედგინა ბორჩალოს მადნის წარმოება, რაც ლეკთა თავდასხმების გამო ვერ შესძლო.

ერეკლეს ევროპაშიც საკმაოდ კარგად იცნობდნენ ფრანგი კომერსანტის პეისონელის თხზულებიდან. გ. ლესინგის ერთი დრამის გმირები საქართველოსკენ, ერეკლესკენ ისწრაფვიან სახელის განთქმისათვის (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 625).

1770 წლის 8/19 იანვარს ეკატერინე II თავის ფრანგულ მიმოწერაში დიდ ფრანგ ჯანმანათლებელს ვოლტერს სწერს: „ბოლოს ქართველებმა წამოიწყეს ჯანყი თურქების წინააღმდეგ... ერეკლე, ყველაზე უფრო ძლიერი მათ მეფეთა შორის, ჰკვიანო

და შამაქი კაცია. ადრე მან მონაწილეობა მიიღო ინდოეთის დაპყრობაში სახელგანთქველი ნადირ შაჰის თაოსნობით (Грамоты, I, XIII; ერეკლე II-ის შესახებ იხ. აგრეთვე საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 774—775).

21. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ I, იესე მეფის ძე, (1744—1755, 1764 წ. 5 მარტი — 1788), XVIII საუკუნის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ფილოსოფოსი-ლიტერატორი.

ანტონ კათალიკოსმა (ბაგრატიონმა) თარგმნა არისტოტელეს „ქატეგორიები“, სიმონ ჯღლეცის „დილაგეტიკა“ (ფილიპე ყაითმაზაშვილთან ერთად), ბაუმისტერის „ლოგია“, „მეტაფიზიკა“, „ეთიკა“, ვოლფის „ფიზიკა“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 792—794).

იხ. Б. Е с а д з е, Летопись Грузии, I, Тифлиси, 1913, с. 103—107, А. Х а х а н о в, Жизнь и деятельность католикаса Грузии Антония I.

კათოლიკე მისიონერების მფარველობისათვის მას აღმატებოთ აქვებს პატრი მიხეილ თამარაშვილი ფრანგულ ენაზე რომში 1910 წელს გამოცემულ ქართული ეკლესიის ისტორიაში, გვ. 378—384.

ანტონ ბაგრატიონის ორიგინალურ თხზულებათა რიცხვს ეკუთვნის „სპეკალი“ (იხ. ა. ბ. რ. გ. ა. ვ. ანტონ პირველის სპეკალი (ტექსტი და გამოკვლევა), თეზისები, 1947 წ.

პრობლემის განსჯისას, თუ როგორ დაეყოლიებინათ საქართველო, მონაწილეობა მიეღო რუსეთ-თურქეთის ომში, საქართველო-რუსეთის ერთმორწმუნეობის მნიშვნელოვანი ფაქტორის თვალსაზრისით ექვი გამოიწვია ერეკლე მეფის სიმტკიცემ მართლმადიდებლობისადმი. დაისვა კითხვა, ხომ არ გადაიხარა ერეკლე კათოლიციზმისაკენ?

დამეუკეებელი იყო ის ამბავი, რომ 1762 წელს მამის, თეიმურაზის გარდაცვალებისთანავე ერეკლემ კათალიკოს-პატრიარქად დააბრუნა ანტონ იესეს ძე ბაგრატიონი, რომელიც დედის მხრიდან მას ბიძად ერგებოდა (მისი დედის, თამარის ბიძაშვილი იყო). საქმე ის არის, რომ ანტონი საქართველოდან გაძევებული იყო კათოლიკური რწმენისადმი მიდრეკილებისათვის („სული წმინდისა საქმზე და პაპის უფროსობაზე შეცდა“). დავით ბატონიშვილი წერს: „იქმნა კათალიკოზი ანტონი, ძე მეფისა იესესი, შეცთომილ და მიიღო სარწმუნოება კათოლიკისი“ (დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თბილისი, 1941, გვ. 7). იმავე ამბავს ბაგრატ ბატონიშვილი განსხვავებული შინაარსით აღნიშნავს — ანტონ კათალიკოსს „შეამჩნივეს მცირე რაიმე განდრეკა მართლმადიდებელისა სარწმუნოებისაგან და მიქცევა ლათინთა სარწმუნოებისად“ (ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 50). რუსეთის სინოდალმა ანტონის იმხანად ვლადიმირის ეპარქია ჩააბარა საგამგიოდ (Грамоты, I, გვ. 12; Бутков П. Г. Материалы для повой истории Кавказа с 1322 по 1803 год. С.-Петербург, 1869, გვ. 286, შენიშვნა 4).

ანტონი თეიმურაზის დისწული იყო (Грамоты, I, გვ. 12), ამდენად ერეკლე მეფის მამიდაშვილი.

„წელსა ამახვე 1764, აღნიშნავს ბაგრატ ბატონიშვილი, მეფემან ირაკლიმ მოიყვანა მამიდაშვილი თვისი მეფის იესეს ძე ანტონი პირველყოფილი კათალიკოზი როსიდამა, მოულო კათალიკოზობა იოსებს და დაადგინა კვალად ანტონივე კათალიკოზად (ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 50; იხ. აგრეთვე გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, 1950, თეზი — ანტონ კათალიკოსი, გვ. 56).

როგორც ვახტანგ VI-ის მძისწულს, ანტონს, მეტი ლეგიტიმისტური უფლებები ჰქონდა ქართლის სამეფო ტახტზე, ვიდრე თეიმურაზს, ერეკლეს. „თავისი სახელმწიფოებრივი და ლიტერატურულ-მეცნიერული მოღვაწეობით მან ხელი შეუწყო... ქართველი ერის მობრუნებას ნაციონალური და ქრისტიანული კულტურის ტრადიციებისაკენ (გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, თბილისი, 1983, გვ. 50).

ანტონ კათალიკოსი უფლისწულ ლევანთან ერთად ერეკლე მეფის ელჩი იყო რუსეთში.

22. ბუტკოვი აღნიშნავს — „სამეფო კარისადმი გაგზავნილ პატაეებში გრაფი ტოტლენი არცთუ დიდად აქებდა ამ მითრიდატის შთამომავლებს, როგორც ამას აუწყებდა ეკატერინე II ვოლტერს 1770 წლის 4 დეკემბერის წერილით (Б у т к о в П. Г., დასახ. ნაშრომი, გვ. 282, შენიშვნა 1).

23. შემდგომში საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII (1798—1800). მის შესახებ იხ. პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. ვაწერელის რედაქციით, თბილისი, 1936; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 807.

24. 1769 წლის 19 მაისს ერეკლე II ყიზლარის კომენდანტს პოტაპოვს აცნობებს, რომ სოლომონ მეფესთან ერთად მზად არის, დაიწყოს ომი, თურქებს წინააღმდეგ (Грамоты, I, გვ. 420).

1769 წლის 4 სექტემბერს ერეკლე სწერს ეკატერინე II-ს: „როდესაც თქუენი უმაღლესი განზრახვა ზვანოქრისა მიმართ ბრძოლისა ნებას ბრძანებდეს — ჩუენც იმ თქვენის დიდებულების ნების და ბრძანების თანშეკრულნი ვიყუენო“. ამასთან ერეკლე მისთვის გამარჯვებათა დიდების მიწერას კი არა, უბრალოდ თხოულობს, თურქეთთან მომავალ საზავო ხელშეკრულებაში მისი სამეფოც გაითვალისწინონ (Грамоты, I, გვ. 440; Грамоты, II, I, გვ. 13—14 — ქართული ტექსტი).

25. დ. ლანგი სავსებით სწორად მიიჩნევს, რომ ფრანგული ტექსტის მეცარიენკევი მეჯვრისხევი უნდა იყოს.

26. აბისი სოფელია ქარელის რაიონში, მდინარეების ლაპანისწყლისა და ფრონეს შესართავთან.

თეიმურაზ მეფემ ზაქარია ავალიშვილს ერთგულებისათვის კვლავ უბოძა მეფეთაგან სამეკიდროდ ბოძებული სოფლები აბისი და სოჰანეთი (1633. V. 30. Hd — 9377 — მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის, I წიგნი, თბილისი, 1964, გვ. 12).

27. საგზაოდ, მხედრულად გამოწყობილ სოლომონ მეფეს საკმაოდ სავალალო შთაბეჭდილება დაუტოვებია დე გრაიზე.

1769 წლის 20 ოქტომბერს ანტონ მოურავოვი აცნობებდა ნიკიტა ჰანინს — „სოლომონს არცერთი ქალაქი და დაბა არ გააჩნია“, ქუთაისი, შორაპანი, ბაღდადი და ცუტხვათი თურქებს უკავიათ. „იმერლები უკიდურესად ღატაკ და საწყალობელ მდგომარეობაში არიან. თავადები და აზნაურები რუხი შალის სამოსს ატარებენ, ხოლო ქვეშევრდომი ხალხი თავნება, აპაყი და ურჩია... რაც შეეხება საკუთრივ მეფე სოლომონის პიროვნებას, რომელიც 35 წლისაა, იგი საშუალო ტანისაა, სანდომიანი სახის. უღვაწეობიანი, წვეკს იპარსავს... ყველაზე უფრო გამბედავი, მამაცი მეომრის იერი აქვს. დატენილი თოფი, ერთი დამბაჩა, ხმალი და დიდი ხანჯალი მუდამ თან აქვს, როგორც ყველა სხვა იმერელს. საუბარში საკმაოდ სულსწრაფია. უბრალო იმერლებთან ურთიერთობაში არავითარ განსხვავებას არ ავლენს და, ვინც მას პირადად არ ეცნობს, ქვეშევრდომთაგან ვერ განასხვავებს“ (Грамоты, I, გვ. 71—72).

სოლომონ მეფის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მან იმერეთში „ტყვის სყიდვა“ აკრძალა.

აკადემიკოს გიულდენშტედტის კვლადაკვალ ქებით მოიხსენიებს სოლომონ მეფეს პ. ბუტკოვი, რომელიც აღნიშნავს, რომ იმერთა მეფე ერეკლეს არც სიჩაუქით, არც სიჭკველთა და გონებით არ ჩამორჩებოა (Б у т к о в П. Г., I, გვ. 275, შენიშვნა 1).

1782 წელს სოლომონ მეფე ანდრია პირველწოდებულის ორდენით დააჯილდოვეს (Б у т к о в, I, I, გვ. 287).

სოლომონ I-ის პიროვნების შეფასებისათვის იხ. აგრეთვე საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 671—672.

გარდაიცვალა სოლომონ მეფე 1784 წლის 23 აპრილს, 49 წლისა.

28. სკანდა და შორაპანი ჯერ კიდევ ანტიკურ ავტორებთან მოიხსენიებან.

29. მოურავოვის რელატიის მიხედვით იმერლები ძირითადად ტყის ნაყოფით იკვებებოდნენ, ფეტვისაგან დამზადებულ პურს მეტად მცირე რაოდენობით ხმარობდნენ. თვით ზამთარშიც კი ტყეში მრავალ მცენარეულ საკვებს შოულობდნენ (Грамоты, I, გვ. 72).

30. ზუღმივი ქიშპი იმერეთის მეფე სოლომონსა და სამეგრელოს მთავარ კაცია II დადიანს შორის ცნობილი ფაქტია. სოლომონის წინააღმდეგ ბრძოლაში დადიანი ხშირად თურქთა მხარეს იჭერდა.

31. ალექსანდრიის პატრიარქის დიოსკორეს მონოფიზიტური მოძღვრება ქრისტე ღმერთის ერთბუნებოვანი, მხოლოდ ღვთაებრივი შინაარსის შესახებ 451 წელს დაპგმო ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრებამ და მწვალებლობად გამოაცხადა აქ დაპარაკია მონოფიზიტი-გრიგორიანი სომხების შესახებ.

სომხური ეკლესიის მონოფიზიტური საწყისების შესახებ იხ. A. A. Vasiliev, Histoire de l'Empire Byzantin, Paris, 1932, I, გვ. 126; René Grousset, Histoire de l'Arménie, Paris, 1947, გვ. 234—247; A. Harnak, History of dogma, London, 1898, IV, გვ. 190; უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბილისი, 1975, გვ. 5—8.

გარდა მონოფიზიტი სომხებისა, საქართველოში იყვნენ აგრეთვე კათოლიკეზმის მაღიარებელი მხითარისტი სომხები.

32. ერეკლე II-ის სიძე, მისი ქალიშვილის მარიამის მეუღლე დავით ციციშვილი ქალაქ თბილისის მოურავი იყო (იხ. იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავთანდილ იოსელიანმა და, ნაკვეთი 28, თბილისი, 1950, გვ. 88,24). ჩანს, სწორედ ამ სახელს მიიჩნევს დე გრაი პოლიციის უფროსის თანაშემწეობად.

XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოში დარსდა სახელო ქეშიჩიბაშის — მცველთუხუცესის (იხ. ი. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 1952, გვ. 300—301).

1784 წლის 22 სექტემბერს დავით ციციშვილს „სარდრობა უბოძეს შუამავლობით“ (ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, 100,34).

33. ერეკლე II საკმაოდ ტოლერანტულად იყო განწყობილი კათოლიკე მისიონერების მიმართ. უნდა ვთქვათ, კათალიკოს-პატრიარქ ანტონის გავლენით იმე ხელსაყრელად მისიონერთა საქმიანობის საქართველოში, განიხილავდა რა მას ევროპასთან კავშირუბრუნების დამყარების ერთ-ერთ საშუალებად.

ფრანცისკანელთა ორდენის კაპუცინი ტრისტეტიდან, ცხადია, არის პატრი დომინიკე, კაპუცინების წინამძღოლი საქართველოში (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, 386—388).

1770 წლის 16 ივნისს პატრი დომინიკეს ხელით ერეკლე მეფემ თავისი წინადადებანი გაუგზავნა ა. მოურავოვს (Грамоты, I, გვ. 128).

1779 წელს ერეკლე მეფემ პატრი დომინიკე დიპლომატიური მისიით გაგზავნა რომსა და ვენაში. ევროპაში გზად მიმავალი დომინიკე კონსტანტინოპოლში გარდაიცვალა 1781 წლის 3 ივლისს (M. Tamarati, L' Eglise georgienne, Rome, 1910, გვ. 639—640; მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა... გვ. 399).

34. უფის პოლკმა სახელწოდება მიიღო ორენბურგის გუბერნიის ქალაქ უფიდან.

35. ჭარისკაცები მათი ავანტიურისტო სარდლის ტოტლებენის მოქმედების შეზამამისად იქცეოდნენ. 1770 წლის I ავგისტოს არაგვის ერისთავი ქაიხოსრო ჩოლო-

ყაშვილი მეფე ერეკლეს სწერს: „თქვენს სიმაღლეს კეთილად მოეხსენება ღრაფი იანარალ შაიორი ტოტლებენი როგორის სახით დამესხა, როგორ ამიკლო ყოვლისფრით, რაც კი შეიძლება და ჩემთან მყოფი თქვენი თავადიშვილი იესე როქიაშვილი მომიკლა და რაც თქვენი წყალობა, ან თვალი, ან მარგალიტი, ან ოქრო, ან ვერცხლი, ან სახლის მოფენილობა, ან ტანი, ან ფეხი და ან ცხენი და იარაღი შეიძინა და მყვანდა ჩემს სახლობისა აღარაფერი დამრჩომიარა“ (Грамоты, II, I, გვ. 49 — ქართული ტექსტი).

1771 წლის 27 თებერვალს კაპიტანი იაზიკოვი ნიკიტა პანინს აცნობებს „ტოტლებენმა ამ მხარეში ჩვენს ერს უფრო სირცხვილი აქამა, ვიდრე ქება მოუხევეკა“ (Грамоты, I, გვ. 298. იხ. აგრეთვე Вейденгауи, Кавказские эиоды, 186).

80. ქალაქი სამხრეთ საქართველოში. მდებარეობს მდინარეებს ფარავანსა და შურჩახეთს შუა. ქალაქად იქცა IX—X სს. XVI საუკუნიდან ჩილდირის საფაშოს შემადგენლობაში შევიდა.

87. 1770 წლის 20 დეკემბერს იაზიკოვი წერდა პანინს, რომ საქართველოს უწარჩინებულესი თავადი დავით ერისთავი ყველა რუსულ რაზმს, რომელიც მის სამყოფელს გვერდით ჩაუვლის, უსასყიდლოდ ამარაგებს. როდესაც გზაფხულზე ტოტლებენს პური გაუქრდა, ერისთავი მას პურს უსასყიდლოდ სთავაზობდა; რომ დავით ერისთავი რუსების ერთგული კაცია (Грамоты, I, გვ. 178).

1771 წლის 20 იანვარს ნიკიტა პანინი იაზიკოვს მიუთითებს, რომ დავით ერისთავს, რომელიც საქართველოში „შემავალ გზაზე საპლობს, რუსებისათვის გაწეული სამსახურისათვის იმპერატორის წყალობა აღუთქვას (Грамоты I, გვ. 271—272).

დავით ქსნის ერისთავის მიერ მისი თანმხლები ხალხის გზაში საყვებით უზრუნველყოფის შესახებ წერს აგრეთვე გიულდენშტედტი (გიულდენშტედტი, II, გვ. 157).

დავით ერისთავი თეიმურაზ II-ის მამიდის შვილიშვილი იყო. როდესაც 1772 წლის დასაწყისში მეფე ზაალ ორბელიანსა და მაჩაბელს შემოსწყრა, დავით ერისთავი გააფრთხილეს — არ შეშინებოდა (იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 65—66).

დღ გრაის ცნობა დავით ერისთავის ერეკლესადმი ერგულეზაზე მეტყველებს საწინააღმდეგოდ დ. გვრიტიშვილის ვარაუდისა, თითქო. ერისთავი ერეკლეს საწინააღმდეგო შეთქმულებაში იღებდა მონაწილეობას (დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1955, გვ. 328).

დღ გრაის რელაციის დათარიღების თვალსაზრისით საინტერესოა, რომ მან იცის — ქსნის საერისთავო ერეკლე მეფემ გააუქმა დავითის (1753—1774) გარდაცვალების შემდგომ.

ქსნის გამდგარი ერისთავი, დავითის ძე, ყულარალასი გიორგი 1777 წლის 1 დეკემბერს, პარასკევს, ხელ-ხუნდით თბილისში ჩამოიყვანეს. 1778 წლის 17 იანვარს მუხრანში ერეკლე მეფე დარბაისელთ ეუბნებოდა: „თქვენც იცი თ ნადირშამ მამაჩემს უბოძა ქსანი და მოვედით და ხელშით დავიჭირეთ... მართალია როსტომს და მამას იმისას (გიორგის მამას, დავით ერისთავს — ჟ. ო.) არა დაუშავებია რა, მაგრამ მე ველარავის ვენდობი ქსანზე, ლიახზე, აღარავის შეუშეებო“ (იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 81, 83).

88. ქალაქის მოურავ დავით ციციშვილთან (იხ. შენიშვნა 32).

89. 1767 წლის 8 მარტს ახალციხიდან უფროსი პატრი ალოიზი პროპაგანდა ფიდეის წერს, რომ ერეკლე მეფეს პატრი გიორგი მოუთხოვია მისთვის გორის საზოგადოე-

ბი-სათვის, სადაც გიორგისთვის ისევე როგორც თბილისში, სახლი მიუცია. პატრიკიორგი გამოუწვევიათ ართინიდან, სადაც გიორგის დიდი გულმოდგინებით უმუშავია: სკოლა აუშენებია და სხვ. შემდეგ ალოიზი აღნიშნავს, რომ იწურებულა გიორგის ნაცვლად გორში გასაგზავნად ვინმე შეარჩიოს, რადგან პატრების ლაერენცისა და დომინიკეს ცნობით, გიორგი სააღდგომოდ ერეკლე მეფეს თბილისში დაუბარებია (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 385—386).

40. აქ ლაპარაკი უნდა იყოს ახალციხის ფაშის დესპანზე, მაჰმად ალაზე. სწორედ მას უნდა მოეტანა ერეკლე მეფისათვის ახალციხის ფაშის, ჩილდირის ვალის სეით ნაჰანის წერილი (იხ. Грамоты, I, გვ. 14—17). ნაჰან ფაშა მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის მოუწოდებს ერეკლეს, „დოსტობის ბედის გახელებაზე“. ნიშანდობლივია, რომ ცერკლესთან ურთიერთობას იგი განიხილავს, როგორც ნაწილს ოსმალეთ-ირანის ურთიერთობისა. „პეტერანის საზღვრებზედ ერთის კაცის წყენის და შეძლებისაგან — დიდ შროსა ვართ და ვყოფილვართ... საუკუნო მეგობრობა დამტკიცებული იყო, რომ ერთი რამ წყენა არა მომხდარა არც თქვენიდამ ჩვენთან და არც ჩვენიდამ კვალად თქვენთან, ნადაგ მეგობრობა გამოცხადებულ ყოფილა. და საუკუნოს მეგობრობისათვის გვეპყროცა და იმ დოსტობის სიმაგრის მიწაზედ ფეხით დამტკიცებული ვყოფილვართ“.

ნაჰან ფაშას წერილიდან ირკვევა, რომ მაჰმად აღს ელჩობა რიგით მერევა. აღრეული ელჩობა თბილისიდან უპატივცემულოდ გაუბრუნებით („იმ კაცების როგორ ურიგოდ დაბრუნება ისეე უკანვე თქვენ სიმაღლისთვის ცნობილი იქნება“).

სწორედ ახალციხის ფაშის ელჩობის თბილისში ყოფნის გამოა ქვაბულოვი აქ ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი რომ მოიყვანეს. როდესაც თურქმა ელჩებმა ქვაბულოვის ბიწის თვალთვალს დაუწყეს, ერეკლემ ისინი გააძევა (იხ. Грамоты, I, გვ. 427; Б у т к о в, Материалы, I, გვ. 278; ვ. მ ა ქ ა რ ა ძ ე, ასპინძის ბრძოლა, გვ. 39).

41. არტილერიის პოდპოლკოვნიკი (ლეიტენანტ-პოლკოვნიკი) თავად სიმონ ჩოლოყაშვილი (შალიკაევი, შოგლიკოვი) საქართველოში მოხალისედ გამოიგზავნა ქუსართა ერთი რაზმითა და ორი ზარბაზნით გენერალ-პროკურორ ეიაზმესკისა და სამხედრო კოლეგიის წინადადებით.

1770 წლის 1 თებერვალს ტოტლებენი ფრანგულ ენაზე დაწერილ პატაკში სთხოვს ზაქარია ჩერნიშოვს, გაიწვიოს საქართველოდან მაიორი რემენიკოვი. აჯრთვე დაატოვებინონ ეს ქვეყანა თავადებს: მოურავოვსა და შალიკაევს (ჩოლოყაშვილს). „ვინმესთვის ცუდის გაკეთება ჩემი ხასიათის საწინააღმდეგოა. მიჩქენია თვითონ ვიტანჯო, ვიდრე მოყვას ზიანი მივაყენო“, მაგრამ საქმე მოითხოვსო, აღნიშნავს ტოტლებენი (Грамоты, I, გვ. 205).

უკვე 6 თებერვალს ტოტლებენი აცნობებს ჩერნიშოვს, რომ დააპატიმრა სიმონ ჩოლოყაშვილი და ბადრაგით გააგზავნა მოზდოკს. ტოტლებენი ჩოლოყაშვილს ბრალად სდებდა, რომ მიუხედავად აკრძალვისა, იგი მუდამ თბილისში იყო მრჩეველ მოურავოვთან ერთად და ასწავლიდა ქართველთა მეფეს საარტილერიო საქმეს, მორტირების, პაუბიციების ჩამოსხმას, ზარბაზნების ლაფეტებზე დაღებას (იხ. Грамоты, I, გვ. 205; გ. თ. უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, II, გვ. 225—227; ვ. მ ა ქ ა რ ა ძ ე, ასპინძის ბრძოლა, გვ. 89).

42. 1770 წლის 12 მაისს მეფე ერეკლე წერს ნიკიტა პანინს: „ჩვენი ჩვეულება არის მრავალგზის დაღისტენლი ლეკნი შემორიგებულნი გუყულოან რომელისამე მიზეზებითა — ზოგი ჩვენის ქვეყნის დაცვისათვის და ზოგი მტერზედ მოხმარებისათვის, და ერთი ამისთანა შემძლებელი კაცი მყვანდა შემორიგებულნი, რომლისაც მიზეზით დაღისტენლი მრავალნი კაცნი ჩვენთან შემორიგებულნი იყუნენ, და ამით ოსმანთ ქვეყნის ნატყვენავი და საქონელი ჰყუანდათ, რომ ოსმანთა ქვეყანას არბეულენ, — ამისთანას ჩვენთან შემორიგებულს კაცს და ჩვენის ქვეყნის შესამატს კაცს

მიუხედავად სოფელსა ქარელს და ამოსწყვიტა იმ სოფლის კაცნი; ევედრენ ამ საქმის ესრეთ არ ყოფასა, მაგრა არც მოისმინა მათი ვედრება და არც დაიშალა, და ამის მიზეზით იმდენი კაცი აგვიშალა და მშვიდობილად დაგვიკარგა, და მტრად გავვიხილა. ის ლენი ცამეტის კაცის მეტნი არა ყოფილან, ცამეტი მოკლა, და იარანალ მაიორს ოცდა ორი კაცი მოუკლეს და დაუქრეს იმ ლკთა“ (Грамоты, II, I, გვ. 31—32).

დე გრაის ცნობა ალბათ აღნიშნულ ამბავს ასახავს.

43. დე გრაი, როგორც სამხედრო პირი, ბუნებრივია, დაინტერესებული იყო ერეკლეს სამეფოს ლაშქრის ორგანიზაციის საკითხებით. წარმოდგენილი ცნობა მეტად საყურადღებოა, ვინაიდან გულისხმობს რომელიღაც ადგილობრივი პირის თანადროულ ინფორმაციას. მორიგე ჭარის სისტემის შემოღებამდე ქართლ-კახეთის ლაშქარი სადროშების წესით შეიკრებოდა ხოლმე. სადროშების შესახებ ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბაგრატიონი. სადროშოების განლაგების შესახებ ერეკლე II-ის დაქრძალვის ცერემონიაზე — იხ. ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1960 გვ. 534 (იხ. აგრეთვე Karst, Corpus..., ნაწ. II, I განაკვეთი, გვ. 356—403).

შემორჩენილია ქართული ისტორიული დოკუმენტები: სასარდლოების განწესების, სადროშის სარდლობის წყალობის, სასარდლოდან ჭარის დაბარების წიგნები (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 190, 221, 333, 384, 397, 418, 423, 532).

44. ამილახორი (ამირახორი, ამილახვარი) მომდინარეობს არაბული ამირ ახურიდან (საქინბობს ამირა). ფეოდალურ საქართველოში ამირსპასალარის თანაშემწე იყო, სავაზიროს წევრი სათათბირო ხმის უფლებით. საქართველოს ერთიანი სამეფოს პოლიტიკური დაშლის შემდგომ, იყო ზემო ქართლის სადროშის სარდალი და უმეტესად გორის მოურავიც.

დე გრაის რელაციაში ლაპარაკია რევაზ ოთარის ძე ამილახვარზე, რომლის ქალიშვილი ცოლად ჰყავდა ერეკლეს ვაჟს იულონს.

1769 წლის 20 ივლისს ერეკლე მეფე რევაზ ამილახორს (ამილახარს) მღევრად იბარებს მორიგეობით; 1772 წლის 7 იანვარს მისი სასარდლოს ჭარითა და 40 დღის ნუხლით მეფე საგარეოში იბარებს რევაზ ამილახორს, გიორგი ყულარაღასთან ერთად დამოუკიდებელი სამხედრო ოპერაციის ჩატარებას ავალებს (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 419, 426; დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 437). რევაზის შემდგომ ამილახვარი იყო მისი ძე ოთარი.

45. იხ. შენიშვნა 32. საქართველოს სამეფო ხელისუფლებისადმი დავით ციციშვილის მიერ გამოვლენილი ერთგულების, სიამაყის აღწერა იხ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დოკუმენტში — Hd — 1818.

46. 1769 წლის 3 სექტემბერს ანტონ მოურავოვი ნიკიტა პანინს მოახსენებს, რომ ერეკლესთან ტოტლებენის პირველ შეხვედრას ადღის მინდორზე ერეკლეს სიძე სარდალ-სახლთუხუცესი (придворный маршал) დავით ორბელიანიც ესწრებოდა.

1770 წლის 30 აპრილს ტოტლებენისათვის წარდგენილ მოხსენებაში, ასპინძის ბრძოლის აღწერისას, ანტონ მოურავოვი ხაზს უსვამს მამაკობას სარდალ დავით ორბელიანისას, რომელმაც არ დაუშვა ქართველების უკანდახევა; თავისი გამპირიანი სარდლობით ბრძოლას ზედი ქართველების სასარგებლოდ გადაწყვიტა.

1770 წლის 29 ივნისს ასპინძის ომის მონაწილის, ზაალ ორბელიანის მოთხრობის საფუძველზე, ყიზლარის კომენდანტი პოლკოვნიკი ნემჩი დავით ორბელიანის, მარჯვენა ფრთის სარდლის, მამაკობის შესახებ აცნობებს საგარეო საქმეთა კოლეგიას (იხ. Грамоты, I, 108, 116, 462).

შემდგომში სარდალ-სახლთუხუცესი დავით ორბელიანი ირან-ოსმალეთის ორი-
წნტაციის პოლიტიკური დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი გახდა მსაჯულ სოლომონ
ლუნიძესთან ერთად (იხ. ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუ-
ნების ეპოქა, გვ. 233).

გიულდენშტედტი აღნიშნავს: „სომხთი რამდენიმე საუკუნეა, რაც წარმოადგენს
ქართლის მეფის საკუთრებას და ქართველ თავადურ გვარს ყუფლანოვს ანუ ორბე-
ლიანოვსაც აქვს იქ დიდძალი მამულები“ (გიულდენშტედტი, II, გვ. 179).

47. 1769 წლის 24 ივლისს ქვაბულში აცნობებს ყიზილბაშის კომენდანტს პოტაპოვს,
რომ მისი საქართველოში ჩასვლა ერეკლე მეფეს თავისი სამფლობელოდან, ციხი-
ვილიდან აცნობა იესუ მანაბელმა (Грамоты, I, გვ. 426; Бутков, Мате-
риалы, I, გვ. 451).

გიულდენშტედტის ცნობით, „დიდი ლიხვის თითქმის მთელი შუა ნაწილი დი-
ლია და იქ 1000-ზე მეტი ოჯახი ცხოვრობს. ის ეკუთვნოდა მანაბელთა ქართულ თა-
ვადურ გვარს; მაგრამ რადგან ეს ოსები ჩიოდნენ, (მანაბლები) ძალიან გვაევიწროე-
ბენო, ერეკლემ ეს მხარე ჩამოართვა თავადს და 1772 წ. გადასცა მფლობელობაში
თავის ვაჟს, გიორგის“ (გიულდენშტედტი, II, გვ. 67).

ვახუშტი ბაკრატიონის მიხედვით, თითქმის მანაბლები აჩაბეთის ციხიდან, აფხა-
ზეთიდან იღებენ სათავეს.

